

**ინფორმაცია 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით
გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ**

1 პრიორიტეტი – ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწი ნებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინ ებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
35 02	სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	2,034,014.8	2,034,014.8	2,033,962.4	2,033,962.4	0.0
35 03	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	771,576.0	771,426.0	790,615.3	790,577.4	37.9
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	53,398.7	51,925.2	57,493.7	56,499.1	994.6
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	24,647.8	24,647.8	24,408.3	24,408.3	0.0
27 04	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა	12,297.7	12,297.7	11,942.1	11,942.1	0.0
29 03	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	13,528.9	7,720.4	12,534.2	7,463.8	5,070.4
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,450.0	7,450.0	7,103.3	7,103.3	0.0
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	766.4	766.4	721.5	721.5	0.0
30 04	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	5,354.7	5,173.7	5,234.9	5,169.9	65.0
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	5,263.0	260.0	4,801.5	243.6	4,557.9
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		2,928,298.0	2,915,682.0	2,948,817.1	2,938,091.4	10,725.7

1.1. სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგი:

- ადეკვატური სერვისებით უზრუნველყოფილი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გაუმჯობესებული მიზნობრივი ჯგუფები.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- დაფინანსდა სამიზნე ჯგუფების ფულადი დახმარებები და სოციალური მომსახურებები;
- სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება მოიპოვეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამომიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილმა სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებმა, ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილმა, ზევადიანი სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე ოფიცრებმა და რიგითებმა, სხვა ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი პირებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების ანალოგიურად.
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციარების დაფინანსება სოციალური გასაცემლებით, სრულად და დროულად.
- შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შორის, ბავშვები), ხანდაზმულები და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული, სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი ბავშვები უზრუნველყოფილი არიან პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურებებითა და დამხმარე საშუალებებით, გაუმჯობესებულია მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- სახელმწიფო პენსია მიიღო თვეში საშუალოდ 699.4 ათასამდე პირმა, სახელმწიფო კომპენსაცია - თვეში საშუალოდ 20.5 ათასამდე პირმა, საარსებო შემწეობები - თვეში საშუალოდ 418.7 ათასამდე პირმა, რეინტეგრაციის შემწეობა - თვეში საშუალოდ 295-მა პირმა, საყოფაცხოვრებო სუბსიდია თვეში საშუალოდ 31.6 ათასმა პირმა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობები - თვეში საშუალოდ 187 ათასზე მეტმა პირმა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება - თვეში საშუალოდ 1075 ათასამდე პირმა, სოციალური პაკეტი - თვეში საშუალოდ 162.0 ათასამდე პირმა, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება - თვეში საშუალოდ 968 პირმა;
- 2015 წლის 1 იანვრიდან 500 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა;

- 2015 წლის სექტემბრიდან „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაიზარდა ასაკით პენსიის ოდენობა 10 ლარით და შეადგინა 160 ლარი;
- ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის და ომში დაღუპულთა თითოეული მარჩენალდაკარგულისათვის გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირება.

1.2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, გეგმური ქირურგია, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა/საკეისრო კვეთა) სამედიცინო დახმარება. ამასთან, პროგრამაში იგივე პირობებით სრულად ინტეგრირდნენ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების მოსარგებლეები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა დაზღვევის არმქონე მოსახლეობისათვის.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- გადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით;
- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა;
- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება;
- ინფექციური სნეულებებით დაავადებული მოსახლეობისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება;
- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომად ფუნქციონირებს ტუბერკულოზის ამბულატორიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები;
- აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა;
- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელთან შედარებით მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი პროსტატის სკრინინგის შემთხვევაში გაიზარდა (3,3%-ით), კოლორექტალური კიბოს სკრინინგის შემთხვევაში (1,6%-ით). საშვილოსნოს ყელის სკრინინგის შემთხვევაში (5%-ით), ჩატარებული კოლონოსკოპიის რაოდენობა კი გაიზარდა 18,5%-ით;
- იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი უმეტესი ვაქცინების მიხედვით (>80%);
- მალარიის პრევენციის მიზნით, პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად ჩატარებული სპეციალური სკრინინგული კვლევების რიცხვი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი;
- უანგარო დონაციათა რაოდენობამ საერთო დონაციების რაოდენობის 24% შეადგინა;

- 2014 წელს ინფექციური დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ პირთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 1,0%-ს;
- 2014 წელს ყოველ 100 000 მოსახლეზე ყველა ფორმის ტუბერკულოზის ინციდენტობამ შეადგინა 62.4 (2013 წელს მაჩვენებელი იყო 69,8);
- 2014 წელს გამოვლენილი იყო აივ ინფექციის 564 ახალი შემთხვევა, რაც 74-ით მეტია 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგი

- ონკოლოგიური დაავადებების გვიანი დიაგნოსტიკების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაიზარდა ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკების შემთხვევების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2015 წელს კიბოს სკრინინგით მოცვა ლოკალიზაციის მიხედვით შეადგენს: ძუძუს კიბო - 8,3; პროსტატის კიბო - 3,6; კოლორექტალური კიბოს - 2,1; ხოლო საშვილოსნოს ყელის კიბოს - 10.9.

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დაცულია მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან (იმუნიზაციით და მოსახლეობის ანტირაბიული ვაქცინით, იმუნოგლობულინითა და ანტირაბიული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოით);
- შესყიდულია იმუნიზაციის წარმოებისათვის საჭირო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების);
- უზრუნველყოფილია მოსახლეობა ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით და შესაბამისი სამედიცინო დახმარებით;
- მიმდინარეობს ვაქცინების, შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით, ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბცჟ (ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა) – 95,3 % (2014 წელს - 97,1%). ჰეპატიტი B – 90,7% (2014 წელს - 94,5%). დეც+ჰეპB+ჰიბ3 (ერთ წლამდე ბავშვებში) – 88% (2014 წელს - 92,4 %); დეც (წლინახევრის ბავშვებში) – 87% (2014 წელს - 78,8 %). ოპვ3 (ერთ წლამდე ბავშვებში) – 90,1% (2014 წელს - 90,7%); ოპვ4 (წლინახევრის ბავშვებში) – 87,4% (2014 წელს - 86,4 %); ოპვ5 (5 წლის ბავშვებში) – 90,6% (2014 წელს - 79,7 %). წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა 1 – 93,7% (2014 წელს - 93,4 %); წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა 2 – 90,2 % (2014 წელს - 79,2 %). დტ – 90,5% (2014 წელს - 80,8 %). ტდ – 76 % (2014 წელს - 65,2%); როტა 1– 81,4% (2014 წელს - 79,7%); როტა 2– 73,3% (2014 წელს - 71,3%); ჰკვ 1 - 100 %; ჰკვ 2 - 90,5%; ჰკვ 3 - 17,5%.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში მალარიის პრევენციის მიზნით სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად ჩატარებული კვლევების რიცხვი 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში ჩართული სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% გამოკვლეულია B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე (EIA მეთოდით) და სიფილისზე (TPHA ან RPR მეთოდით);
- მთლიან დონაციებში უანგარო დონაციების ხვედრითი წილი შეადგენს 20%-ს.

1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროფესიულ დაავადებათა პროგრამის მოცვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციით;
- შრომის პროცესში მოქმედი გარე ფაქტორების შესწავლა-შეფასება, სამიზნე ჯგუფებში პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა და დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინფორმირება პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისა და მათგან დაცვის მეთოდების შესახებ.

1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ინფექციური სნეულებებით დაავადებული მოსახლეობისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო ინფექციური და პარაზიტული დაავადებების სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს ინფექციური დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ პირთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 1,0%-ს.

1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- საჭირო გამოკვლებით, დიაგნოსტიკური საშუალებებითა და ხარისხიანი მედიკამენტებით უზრუნველყოფილი პაციენტები;
- ხანგრძლივადიან მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით;
- ადეკვატური მკურნალობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომად ფუნქციონირებს ტუბერკულოზის ამბულატორიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია უფასო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს ყოველ 100000 მოსახლეზე ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევის გამოვლენის მაჩვენებელმა შეადგინა 62,4 (2013 წელს მაჩვენებელი იყო 69,8).

1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- შემთხვევების ადრეული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება და მკურნალობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს გამოვლენილი იყო აივ ინფექციის 564 ახალი შემთხვევა, რაც 74-ით მეტია 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა. დედათა სიკვდილიანობის მხრივ გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა;
- შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა: 1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 2014 წელს შეადგენდა 8,2 - 1,000 ცოცხლადშობილზე (2013 წელს - 10.5);
- 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 2013 წელს შეადგენდა 9,3 - 1,000 ცოცხლადშობილზე (2013 წელს - 12.0).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

1.2.2.10 ნარკომანია (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ნარკომანიით დაავადებულ პირთა ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩამანაცვლებელი ნარკოტიკითა და სამედიცინო მეთვალყურეობით 3.5 ათასზე მეტი უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.

1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა;
- ჰიპერტენზიის ადრეული გამოვლენისა და კონტროლის/მართვის ხელშეწყობა და მოსახლეობის განათლება;
- სკრინინგში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სამიზნე კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ჯანმრთელობის ხელშეწყობის (თამბაქოს, ჯანსაღი კვების პრინციპების, მარილის და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების, რეგულარული ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის) საკითხებზე, (ჩატარებული ტრენინგების, განხორციელებული სოციალური მედია კამპანიების მეშვეობით);
- თამბაქოსა და სხვა ქცევითი რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმირებულობის, შეხედულებებისა და ქცევის (KAP) მიმდინარე ეროვნული კვლევის შედეგები, რომელიც საფუძვლად დაედება ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში მრავალწლიანი ინტერვენციების დაგეგმვას;
- თამბაქოსთვის თავის დანებების და თამბაქოს კონტროლის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ინტერვენციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სამიზნე კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე (ჩატარებული ტრენინგების, განხორციელებული სოციალური მედია კამპანიების მეშვეობით);
- თვისობრივი კვლევის შედეგები (ფოკუს ჯგუფების მეთოდით) ჯანმრთელობის ხელშეწყობის პრიორიტეტულ თემებზე სამიზნე პოპულაციაში ცოდნის, შეხედულებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და საკომუნიკაციო მიმართულებების, გზავნილების შემუშავებისა და გატესტვის მიზნით.

1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის დონისძიებების უზრუნველყოფა/C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 6,0 ათასმა პირმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დიაგნოსტირებულ პაციენტთა 90% ჩართულობა მკურნალობის კომპონენტში;
- მკურნალობის კომპონენტში მყოფი პაციენტების დასრულებული კურსი - 50%;
- პროგრამაში ჩართულ პაციენტთა 90% მიღწეულ დადებით შედეგი.

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

დასახული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით;
- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- დიაბეტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით, ასევე ხელმისაწვდომია პირველადი/ამბულატორიული მომსახურება.

მიღწეული სშუალედური შედეგები:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით;
- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- დიაბეტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოსახლეობა სრულად მოცულია ადექვატური სამედიცინო მომსახურებით;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტები, რომელთაც ჩართულები არიან პროგრამაში უზრუნველყოფილნი არიან ადექვატური სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით, გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და

ლეტალური შედეგების მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა. ასევე, ხელმისაწვდომია პირველადი/ამბულატორიული მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ამბულატორიული მიმართვიანობის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 2,7%-ით, ხოლო სტაციონარული მიმართვიანობის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 5,9%-ით;
- დიაბეტის პროგრამის მოცვა გაზრდილია 1%-ით;
- ჰემო-პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციართა მოცვა გაზრდილია 7,5%-ით;
- იშვიათი დაავადებების ფარგლებში პროგრამული მომსახურებით მოცვა შემცირებულია დაახლოებით 19.3%;
- მოსახლეობა სრულადაა მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ამბულატორიული პაციენტების რაოდენობა დაახლოებით იგივეა რაც 2014 წელს;
- უზრუნველყოფილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში სტაციონარული მკურნალობა, საჭიროებისამებრ სრულად (მწვავე და ქრონიკული).

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- დიაბეტით გამოწვეული სპეციფიკური გართულებების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო 5.8 ათასი ბენეფიციარი, თითქმის იგივე რაც 2014 წელს.

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაუმჯობესდა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოსახლეობა სრულად მოცულია ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჰემო-პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია ჰემო და პერიტონეული დიალიზით. ბენეფიციართა მოცვა გაზრდილია 7,5%-ით წინა წელთან შედარებით.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ინკურაბელური პაციენტების უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და სპეციფიკური მედიკამენტებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის სამედიცინო მომსახურებით.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტები, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამაში უზრუნველყოფილნი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვების: სტაციონარული მომსახურება 250, ამბულატორიული მომსახურება 153;
- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა 231 პაციენტის ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა დაფიქსირებული 4,5 ათასი შემთხვევიდან;
- პროგრამული მომსახურებით მოცვის შემცირება დაახლოებით 19.3%-ით.

1.2.3.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

დასახული შუალედური შედეგები:

- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.;
- დროული, ეფექტური და უწყვეტი პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური შედეგების მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობა სრულადაა მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში შეფასების მაჩვენებლების ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობამ შეადგინა 0.7, მაშინ როცა 2013 წელს უდრიდა 0.6-ს.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სამედიცინო დახმარებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 8.0 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- სამხედრო ძალების შევსება განხორციელდება ჯანმრთელი კონტინგენტით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სამხედრო ძალების შევსება განხორციელდა ჯანმრთელი კონტინგენტით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში გამოკველულ წვევამდელთა რაოდენობა -18,2 ათასზე მეტი.

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგი:

- დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დაფინანსდა ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული საექიმო სპეციალობის 20 მამიებელი დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიული მზადებაზე).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლებისა და პროფესიული კომპეტენციების შეფასების მაჩვენებელი

1.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური;

- ✓ სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი.
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვის სერვისები;
- შრომასთან დაკავშირებული ტრავმების, ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა აღრიცხვიანობის მოწესრიგება და პრევენცია;
- ქვეყნის მასშტაბით სამუშაოს მაძიებელთა ბაზის ფორმირება და ვაკანსიების პროფილის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, შრომის ბაზარზე ეფექტურად განხორციელებული სამუშაო საქმიანობა;
- ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული ფარმაცევტული ბაზარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი, საზოგადოებაში ინტეგრაციის გაძლიერებული უნარი;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემცირებული შემთხვევები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- შემცირებულია ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობა ფარმაცევტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოფილია ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრების ხარისხი;
- ტრეფიკინგის კუთხით გაზრდილი ცნობიერება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და პრობლემასთან დაკავშირებით;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, თავშესაფრებით და სხვა სერვისებით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით, სამკურნალო-სარეაბილიტაციო და დღის და სადღეღამისო მომსახურებებით;
- უზრუნველყოფილია დაზღვეულისათვის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სერვისების დროულად და ხარისხიანად მიწოდება;

- მოსახლეობა უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენით, რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულია სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვისა თუ კერძო სადაზღვევო პროგრამებით;
- დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები;
- შემოწმებული სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობამ შეადგინა 493 ერთეული და განხილულ იქნა 205 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი;
- გამოვლენილი ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობამ შეადგინა 73 755 ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა).
- კეთილმოეწყო სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ პირთა საცხოვრებელი პირობები, შშმ ადაპტირებული გარემოს შესაბამისად;
- ადამიანთ ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო (96 ბენეფიციარი), ფსიქოლოგიური (141 ბენეფიციარი), იურიდიული დახმარებით (66 ბენეფიციარი), ასევე თავშესაფრებითა (195 ბენეფიციარი) და სხვა სერვისებით;
- პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფილი და კმაყოფილი მოსახლეობა;
- ცენტრში დაფიქსირებული პრეტენზიების საგრძნობი კლება;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების ოპტიმალური განაწილების შედეგად, რეგიონული მასშტაბით, საქართველოს ტერიტორიის (გარდა თბილისი, ბათუმი და ოკუპირებული ტერიტორია) სრულად დაფარვა.

1.4 სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები;
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების, დაზიანებული გარე ფასადის მინების და საკეტების შეცვლის სამუშაოების, მოძრავი ტიხრების მოწყობის სამუშაოების და სანიტარული მომსახურების შესყიდვა.
- ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია/აღჭურვის ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამედიცინო

დაწესებულებების რეაბილიტაცია/აღჭურვა, ასევე, ახალი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

- მიმდინარეობს 5 სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა;
- სხვადასხვა სამედიცინო მოწყობილობებით, საოფისე ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით აღჭურვილი 30 სამედიცინო დაწესებულება.

შენიშვნა: *ცალკეული დაავადებების მიხედვით ინციდენტობის ან/და პრევალენტობის მაჩვენებლის შესახებ მონაცემები საქართველოში ხელმისაწვდომია ერთი წლის დაგვიანებით. შესაბამისად, ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 2014 წლის მონაცემები.

**მაჩვენებელი განისაზღვრა ყოველ 100 000 მოსახლეზე

1.5. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პენიტენციური სისტემაში პრევენციული ჯანდაცვის სერვისები ხელმისაწვდომობია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100%-თვის;
- ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი, შესაბამისი საჭიროების მქონე ბენეფიციართა პროცენტული რაოდენობა - 100%.

1.6. თავდაცვის სფეროში ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამხედრო-სამეცნიერო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა. პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის მაჩვენებლებისა და

შრომისუუნარობის ხანგრძლივობის შემცირება. ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შერდეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალი და სამხედრო მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები, აგრეთვე სხვა სამოქალაქო პირები უზრუნველყოფილი იყვნენ ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით. სამხედრო საექიმო კომისიისათვის აშენდა ახალი შენობა. ჩატარდა სხვადასხვა განყოფილებების კაპიტალური რემონტი, რაც გააუმჯობესებს პაციენტთა მომსახურების ხარისხს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2015 წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურება გაეწია 51 535 პაციენტს;
- 287 245 ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (კვლევა და კონსულტაცია) გაეწია 46 712 პაციენტს, კერძოდ: 26 562 სამხედრო მოსამსახურეს და სამხედრო პენსიონერს ჯამში 193 245 კონსულტაცია და კვლევა ჩატარდა, 3 062 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრს ჯამში 24 042 კონსულტაცია და კვლევა ჩატარდა;
- 17 077 სამოქალაქო პირს ჯამში 69 958 კვლევა ჩატარდა და კონსულტაცია გაეწია;
- სტაციონარული სამედიცინო მომსახურება გაეწია 4 834 პაციენტს, კერძოდ: 1 877 სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო პენსიონერი, 142 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრი, 2 815 სამოქალაქო პირი.

1.7 სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 54 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ვეტერანებისა და მათი შვილებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობის ხელშეწყობა;
- ვეტერანების ერთიანი ელექტრონული სრულყოფილი ბაზის შემუშავება;
- ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის მოქნილი სისტემების შემუშავება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა;
- განხორციელებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები;
- ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ვეტერანისა და მათი ოჯახის წევრებს რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სამედიცინო მომსახურება - 1 265 ბენეფიციარი;
- გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახების რაოდენობა, ვისზეც გაიცა ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება - 460;
- ვეტერანებისათვის ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;

1.8 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

დასახული საბოლოო შედეგები:

- დასაქმებულთა შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა; შრომითი ბაზრის ინფორმაციის სისტემატიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- დაფინანსდა საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა მოთხოვნად პროფესიებში მომზადება-გადამზადების ღონისძიებები, მათი დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით;
- შექმნა შრომით ბაზართან დაკავშირებული მთლიანი საინფორმაციო ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- შრომის ბაზრის საინფორმაციო მართვის სისტემით (worknet.gov.ge) დარეგისტრირებული 56 546 სამუშაოს მაძიებელი.
- ჩატარებული კონსულტაციები: ჯგუფური 1 939 და ინდივიდუალური 15 309;
- ჩატარებული ორი ფორუმი; ფორუმში მონაწილე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა 3335, ფორუმის შედეგად დასაქმებულთა რაოდენობა 165;
- ტრენინგების საფუძველზე გადამზადებული 37 ჟურნალისტი.

1.9. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- მიმაგრებული კონტიგენტის ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შენარჩუნდა და განმტკიცდა თანამშრომელთა ფიზიკური მდგომარეობა, შემცირდა შრომისუუნარობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფილი კონტინგენტი.

2 პრიორიტეტი – თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
29 01	შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამალგა	589,514.8	589,514.8	591,094.6	591,094.6	0.0
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	553,561.8	553,561.8	555,354.9	555,354.9	0.0
27 02	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	130,585.6	128,816.3	127,853.5	126,096.1	1,757.3
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,050.0	47,050.0	47,043.8	47,043.8	0.0
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცენტრალური აპარატი	37,400.0	37,400.0	37,374.8	37,374.8	0.0
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	35,191.4	35,191.4	34,924.0	34,924.0	0.0
29 05	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	40,306.9	36,436.6	41,108.0	37,962.8	3,145.2
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამალგა	56,723.3	15,134.2	55,912.3	15,128.9	40,783.4
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,921.0	17,921.0	17,855.3	17,855.3	0.0
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	12,400.0	12,400.0	12,399.8	12,399.8	0.0
30 02	ეროვნული საგანმურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამალგა	134,856.4	10,686.5	123,078.0	10,575.8	112,502.3
27 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	8,395.0	8,395.0	8,161.8	8,161.8	0.0
59 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	6,900.0	6,900.0	6,850.8	6,850.8	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინ ებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინ ებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
24 06	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	2,820.7	2,820.7	2,820.7	2,820.7	0.0
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	2,000.0	2,000.0	1,681.6	1,681.6	0.0
29 04	კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა	1,612.0	1,612.0	1,611.1	1,611.1	0.0
26 07	დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	2,041.5	1,315.0	1,771.3	1,506.0	265.3
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	360.4	360.4	358.9	358.9	0.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	83,094.4	0.0	74,844.4	0.0	74,844.4
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	13,696.1	0.0	10,057.6	0.0	10,057.6
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	2,912.0	0.0	2,377.7	0.0	2,377.7
29 06	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	0.0	0.0	21,709.9	21,709.9	0.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,779,343.27	1,507,515.70	1,776,244.89	1,530,511.75	245,733.14

2.1. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნება „ეროვნული სამხედრო სტრატეგიით“ განსაზღვრული სამხედრო მიზნების შესრულება, როგორცაა: შეკავება და თავდაცვის უზრუნველყოფა, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა, ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს.

მიღწეულული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა;
- გაუმჯობესდა თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემა;
- შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით მონაწილეობა იქნა მიღებული ნატოსა და ევროკავშირის მისიებში;
- გაუმჯობესდა გამჭვირვალობის ხარისხი;
- აღდგენილი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და სასწავლო ინფრასტრუქტურა; გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, თანამედროვე სტანდარტებით აშენებული არასაყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების გაზრდილი თავდაცვითი შესაძლებლობები;
- სოციალური და სამედიცინო უზრუნველსაყოფად შექმნილი სარეაბილიტაციო ცენტრები, განახლებული სადაზღვევო პაკეტი;
- ამაღლებული ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- სამშვიდობო მისიებში საქართველოს წვლილის დადებითად შეფასებები ევროკავშირის ხელმძღვანელობის და წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ;
- გამართული ინფრასტრუქტურის მქონე ყაზარმის შენობები, პოლიგონი, სასროლეთი, კაპიტალურად გარემონტებული სასადილოები;
- შეიარაღებულ ძალებში ლოგისტიკური მარაგების სათანადო დონეზე შენარჩუნება, პირადი შემადგენლობის კვებით უზრუნველყოფა.

2.2. საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება/გაღრმავება (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- ავტოსატრანსპორტო შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა;
- უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება;
- სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია;
- ნარკოტიკული საშუალებების, კონტრაბანდული საქონლის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების უკანონო იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთობლივად სააფთიაქო დაწესებულებების საქმიანობაზე ერთობლივი კონტროლისა და შემოწმების უზრუნველყოფა;
- ქბრზ სფეროში შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, არსებული შესაძლებლობების განვითარება და საჭიროების შემთხვევაში, ახლის ჩამოყალიბება;
- რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულობის პრევენცია;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება;
- ორგანიზებული დანაშაულის, მასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის გაზრდა;
- სამართალდამცავ სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
- ქალთა როლის გაძლიერება და წარმომადგენლობის გაზრდა პოლიციის სტრუქტურებში;
- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- საზღვაო სივრცეში სამძებრო-სამაშველო ოპერაციების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა;
- სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესება;
- შსს-ს გაზრდილი შესაძლებლობები პიროვნებების დაბრუნების და რეადმისიის სფეროში (კონკრეტული ღონისძიებების, გაფორმებული შეთანხმებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების რაოდენობა);
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებები;
- არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის, დაბრუნებისა და ქვეყნიდან გაძევების პროცედურების გაუმჯობესება/დახვეწა;
- დანაშაულის პრევენციის კუთხით საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის შემუშავება;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განვითარება და დაკავებულთა პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა გამოძიების ოპერატიულობა;

- განხორციელდა ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და გაუმჯობესდა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზრდილი შესაძლებლობები დაბრუნების, არალეგალური მიგრაციისა და რეადმისიის სფეროში (კონკრეტული ღონისძიებების, გაფორმებული შეთანხმებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების რაოდენობა);
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებები, პროგრამები;
- სახელმწიფო საზღვრის დაცვა და კონტროლი მოდერნიზებული სწრაფმავალი კატარღების, საფრენი აპარატებისა და მაღალი გამავლობის მანქანების გამოყენებით;
- საქართველოს საზღვაო სივრცეში შექმნილი უსაფრთხო გარემო;
- საზღვაო სივრცეში სრულყოფილად განხორციელებული სამაშველო ოპერაციები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შემცირებული სისხლის სამართლებრივი დანაშაულთა რაოდენობა;
- შემცირებული გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განახლებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მაქსიმალური კონტროლი;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონდარღვევები;
- მოდერნიზებული სწრაფმავალი კატარღების, საფრენი აპარატების, მაღალი გამავლობის მანქანების, თანამედროვე ღამის ხედვის ხელსაწყოების და სხვა თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენის გაზრდილი მაჩვენებელი;
- რეაბილიტირებული დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა/პროცენტული მაჩვენებელი; დაკავებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დაკავებისას ინფორმირებულნი იქნენ თავისი უფლებების შესახებ ან დაურიგდათ უფლებრივი მასალა;
- დაბრუნებული და რეადმისირებული პირების გაზრდილი რაოდენობა (სტატისტიკური მაჩვენებელი);
- სხვადასხვა ქვეყნებთან ერთობლივად განხორციელებული/გამოძიებული საქმეების, განხორციელებული პროგრამების გაზრდილი მაჩვენებელი;

2.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- ✓ სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი და ყოფითი პირობები;

- რესოციალიზაციის მიზნით, ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების შემუშავება, პატიმართა მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, საწარმოო ზონების შექმნით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა;
- ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაციის გზით სასჯელადსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია, დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებული ალბათობა;
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირება;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი და ჩატარებული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებით უზრუნველყოფილი პენიტენციური დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და გრძელვადიანი პაემნებისათვის შექმნილი შესაფერისი ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებელი ღონისძიებების გატარების შედეგად გააუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები, მათ მიერ სახელობო/პროფესიული სწავლებისა და განათლების მიღება, შექმნილია დასაქმების კერები და საწარმოო ზონა, სადაც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა დასაქმება;
- გამართულად ფუნქციონირებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, პრობაციონერები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებით;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილია ახალი №16 და №6 (რისკების მიხედვით) დაწესებულებები;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია პენიტენციური სისტემის ცალკეულ ობიექტებში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებული საცხოვრებელი და ყოფითი პირობები ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100%-სთვის და ექსპლუატაციაში შესული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი №16 დაწესებულება, რომელშიც განთავსებულია 80 მსჯავრდებული;
- სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამები გაიარა 8 238-მა, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები - 225-მა პრობაციონერმა, მონაცემები 5 991-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით.

2.3.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საწარმოო ზონების ამოქმედებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ინფორმატულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების (პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო) ამუშავებით;
- ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სისტემაში ამოქმედებულია 1 სამკერვალო და 3 სილამაზის სალონი;
- შენარჩუნებულია ბრალდებულ /მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი თავისუფლება აღკვეთის დაწესებულების მშენებლობის მთლიანი სამუშაოების შესრულებული 70%;
- ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%;
- პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროექტში ჩართულ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა 1 754, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 34,6%-ით მეტია;
- დასაქმებული პატიმართა რაოდენობა - 839 მსჯავრდებული, რაც 1-ით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით;
- საწარმოო ზონის დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები 100%-ის შესრულებულია.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა არ გაზრდილა.

2.3.2 სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირებით მსჯავრდებულების რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, ასევე დაწესებულების ბაზაზე არსებულ საწარმოებში მათი დასაქმება;
- სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების კურსებით, თავისუფლება შეზღუდული პირების სამუშაო ბაზარზე კონკურენტულ კადრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარებით პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებაში უმტკივნეულო რეინტეგრაცია, ასევე ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე პრობაციონერთა ჩართულობა საჭირო პროგრამებში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ფუნქციონირებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ეფექტური განხორციელებისათვის არსებობს სხვადასხვა სახელობო კურსების შემსწავლელი პროგრამები, სპორტული მოედნები და სატრენაჟორო დარბაზი. დაწესებულების ბაზაზე არსებულ საწარმოში დასაქმებული იყო 7 ადამიანი.
- სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართული პრობაციონერთა რაოდენობამ შეადგინა - 225 ადამიანი;
- სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული პირობით მსჯავრდებულების რაოდენობამ შეადგინა 8 238 ადამიანი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობა თითოეულ ოფიცერზე იყო 113 საქმე;
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება ფუნქციონირებს და მზადაა თავისუფლებაშეზღუდული 100 პიროვნების სრულფასოვანი მომსახურებისათვის;
- სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა -13.5%.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას გააჩნია შესაძლებლობა მიიღოს და მოემსახუროს თავისუფლება შეზღუდულ 100 პიროვნებას, თუმცა 2015 წელს ადგილობრივი საბჭოების მხრიდან აღსასრულებლად გადმოცემულ იქნა 50 საქმე.

2.4. გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა

დასახული საბოლოო შედეგი:

- დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის პროპორციული და ადეკვატური სანქციების სისტემის დანერგვა;
- მაღალკვალიფიციური პროკურორები და პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობა;

- ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით გაუმჯობესებული მდგომარეობა;
- დანაშაულის პრევენციის ახალი ღონისძიებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გადამზადებული პროკურორები.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- მომზადდა რეკომენდაციები დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის პროპორციულ და ადეკვატურ სანქციებთან დაკავშირებით;
- სხვადასხვა სემინარის, ტრენინგის, სასწავლო კურსის ჩატარების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება, მოქალაქეებსა და პროკურატურას შორის ეფექტური კომუნიკაცია; საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე დაწყებული სამუშაოები;
- ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ეხებოდა ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), არასრულწლოვნით ვაჭრობის, წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, რასობრივი დისკრიმინაციის, სიტყვის თავისუფლების ხელყოფის, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსების, განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების, რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულების გამო დევნის, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებული პირების გარდაცვალების ფაქტებს. საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოებს მიეცათ შესაბამისი მითითებები, განახლებული რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად აღკვეთის ღონისძიებების შუამდგომლობების დასაბუთების შესახებ;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში განხორციელებული სიახლეების სწორად დანერგვის და ამ მიმართულებით პროკურორების სპეციალიზაციის მიზნით ჩატარდა პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების გადამზადების ინტენსიური კურსები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომზადებული კვლევების, ანალიზების, რეკომენდაციების, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებებისა და არსებული პრაქტიკის ამსახველი ანგარიშების რაოდენობა – 33;
- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის აქტივობის შესახებ შექმნილი ანალიზების რაოდენობა – 3;
- არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე გადამზადებულ პროკურორთა/გამომძიებელთა რაოდენობა – 210-მდე;
- ტრენინგსაჭიროებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილი დოკუმენტებისა და ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა: დოკუმენტი – 1, ტრენინგი – 90;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა – 1 (განახლდა);
- დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით განხორციელებული კვლევების რაოდენობა – 4;

- საქართველოში კრიმინოგენური მდგომარეობის ამსახველი ანალიზის რაოდენობა – 3;
- არასრულწლოვნებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების რაოდენობა – 2.

2.5. თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შემთხვევითი და ტერორისტული აფეთქებისაგან დაცვა;
- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ადგილობრივი სტანდარტებისა და მეთოდის შექმნა; ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და ახალი კლასის მასალების მიღება; მეცნიერული კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება; სამოქალაქო პროდუქციის სპექტრისა და მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა;
- სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- კახეთის რეგიონში სეტვასაწინააღმდეგო სისტემის ამუშავების შედეგად შეამცირდა წვიმის უხვი ნალექით გამოწვეული მოსლოდნელი ზარალი;
- განაღმული ტერიტორიების ფართობი - მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს აფეთქებული საბრძოლო მასალების სკრის საცავისა და მიმდებარე ტერიტორიის გასაუნველველსაყოფად, ტერიტორიაზე მოიჭრა 18.000 მ3 დაბინძურებული მიწა და გასუფთავდა აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისაგან;
- გაიზარდა სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალი;
- გაფორმდა შეთანხმება სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანის დამზადებაზე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა დაწესებულებებისათვის შესრულდა საექსპერტო სამუშაოები, ხოლო კერძო სექტორის დაკვეთით განხორციელებული 61 სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო სამუშაო;
- შემცირებული ზარალი გასულ წელთან შედარებით, 2014 წელი განადგურებული 78 620 ჰექტარი, 2015 წელს 7 542 ჰექტარი;

- შემცირდა საქართველოს ყოფილ სამხედრო ბაზებზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ უკონტროლოდ დატოვებული ვადაგასული საბრძოლო მასალების რაოდენობა (80%)

2.6 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამოქალაქო უსაფრთხოების მაღალი დონე.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა სამოქალაქო უსაფრთხოების დონე;
- სხვადასხვა რეგიონში სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გარემონტებული ადმინისტრაციული შენობები და განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, პრევენციის და მზადყოფნის კუთხით გადამზადებული პირადი შემადგენლობა;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების მაღალი დონე.

2.7. ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგი:

- საფინანსო და ეკონომიკურ სფეროებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე, შემცირდა საგამოძიებო მოქმედების ვადები და დაზოგილ იქნა გამოძიების პროცესში ადამიანური და ფინანსური რესურსები;
- ამაღლდა გამოძიების ხარისხი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- გამოვლენილი 1143 სამართალდარღვევა და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება;
- პირთა რაოდენობამ, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, შეადგინა 822 ერთეული, აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 700 ერთეულის მიმართ;
- საქმეთა რაოდენობამ, რომლებზეც შეწყდა წინასწარი გამოძიება, შეადგინა 372 ერთეული.

2.8. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საქართველოს საპატრიარქოსა და მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოების დაცვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დაცული დიპლომატიური მისიები, რეზიდენციები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტები, ეროვნული საგანძური და მნიშვნელოვანი ობიექტები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების დაცვის მაღალი დონე.

2.10 საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჭირო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება

2.12 კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;

დასახული საბოლოო შედეგები:

- თავდაცვის სისტემისა და კრიტიკული ობიექტების კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კიბერსივრცეში არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და ინციდენტებზე რეაგირებისათვის მუდმივი მზადყოფნა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ელექტრონული სერვისების გამართვა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ინციდენტის მართვის პროცესი;
- გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ელექტრონული სერვისები;

- მოწესრიგებული ბიუროს ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ელექტრონული სერვისები;
- გაუმჯობესებული ბიუროს ინფრასტრუქტურა.

2.13. დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- პროგრამის სხვადასხვა მიმართულებების ბენეფიციართა, მათ შორის, განრიდებული არასრულწლოვნების, ყოფილ პატიმართა რაოდენობრივი ზრდა;
- პროგრამის სხვადასხვა მიმართულებების განხორციელების გეოგრაფიული არეალის გაფართოება;
- ყოფილი პატიმრების დასაქმება და კერძო ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა;
- განრიდებულ ახალგაზრდებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება; განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;
- მედიაციის გამოყენების სფეროების გაფართოება და მედიაციის სახეების დანერგვა; მედიატორების ეთიკის კოდექსის შექმნა და მედიატორის საქმიანობის სტანდარტის შემუშავება/დახვეწა;
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე მიმართული ქვეყნის მასშტაბით არსებული მომსახურებების ელექტრონული ბაზის განახლება;
- საგრანტო პროექტების ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პროგრამის სხვადასხვა მიმართულებაში ჩართული უნიკალურ მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის, განრიდებული არასრულწლოვნების, ყოფილი პატიმრებისა და ყოფილ პატიმართა ოჯახის წევრები;
- სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების გეოგრაფიული არეალის ზრდა;
- პროკურორებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში;
- დასაქმებული ყოფილი პატიმრები და მათი ოჯახის წევრები; ყოფილი პატიმრების მიერ მიღებული მცირე ბიზნესის ხელშეწყობის გრანტები;
- გაზრდილი განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა;
- მედიატორთა ამაღლებული კვალიფიკაცია;
- ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებული მომსახურებების განახლებული ელექტრონული ბაზა;
- დაფინანსებული საგრანტო პროექტები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის სხვადასხვა მიმართულებაში ჩაერთო 5 500-მდე უნიკალური მონაწილე, მათ შორის, განრიდებული არასრულწლოვნები, ყოფილი პატიმრები და ყოფილ პატიმართა ოჯახის წევრები;
- პროექტი „ლიდერთა სახლი“ ვრცელდება ქვეყნის 14 რაიონში; 2015 წელს ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ქ. ქუთაისში 1 რეგიონული რესურსცენტრის გახსნის მიზნით;
- დასაქმდა სულ 111 ყოფილი პატიმარი და მათი ოჯახის წევრი; 47-მა ყოფილმა პატიმარმა მიიღო მცირე ბიზნესის ხელშეწყობის გრანტი;
- 2015 წელს განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობა, 2014 წელთან შედარებით, გაზრდილია 45,8%-ით. ამასთან, პროგრამაში ჩართულ ბენიფიციართა საერთო რაოდენობა აღემატება 1000-ს;
- შემუშავდა და მომზადდა მედიატორთა სასწავლო კურსი, რომელიც წარმოადგენს სტანდარტს სისხლის სამართლის მედიატორებისათვის;
- ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით არსებული სერვისების შესახებ;
- დაფინანსდა 8 საგრანტო პროექტი.

2.14. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შსს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- შემუშავებული თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისად დაგროვილი მარაგები და მათი მოვლა-პატრონობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო რეზერვების, მატერიალურ ფასეულობათა უიმედო დებიტორული დავალიანების ბალანსიდან მოხსნა და ჩამოწერა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბალანსიდან მოხსნილი და ჩამოწერილი სახელმწიფო რეზერვების, მატერიალური ფასეულობების უიმედო დებიტორული დავალიანებების რაოდენობა.

3 პრიორიტეტი – რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	494,123.1	494,123.1	488,395.6	488,395.6	0.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	249,937.4	213,792.4	239,938.5	210,328.9	29,609.7
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	135,397.3	135,397.3	137,474.9	137,474.9	0.0
36 03	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	51,000.0	51,000.0	85,952.6	85,952.6	0.0
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	36,883.9	36,433.9	33,908.1	33,537.7	370.4
36 02	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	27,400.0	27,400.0	30,250.9	30,250.9	0.0
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	25,809.7	25,809.7	25,808.7	25,808.7	0.0
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	6,508.9	6,508.9	6,444.0	6,444.0	0.0
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2,354.3	1,423.3	1,428.5	1,406.8	21.7
24 07	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის	35.9	35.9	35.9	35.9	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწი ნებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწი ნებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
	მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია					
24 11	სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	7,807.6	0.0	5,715.5	0.0	5,715.5
24 14	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,209.3	0.0	4,133.2	0.0	4,133.2
24 13	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,972.1	0.0	3,656.9	0.0	3,656.9
24 12	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	6,155.5	0.0	3,382.6	0.0	3,382.6
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,051,594.91	991,924.49	1,066,526.00	1,019,636.03	46,889.97

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგი:

- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.
- მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები;
- შეკეთებული და აღდგენილი ხიდები;
- რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მნიშვნელოვნად მოწესრიგებული მისასვლელი გზები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ჩატარებული სამუშაოების შედეგად განხორციელდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია.
- რაიონულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, ასევე მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება.
- ჩატარდა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი, ასევე მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 255 კმ-დე საავტომობილო გზას;
- 6,100 კმ-მდე საავტომობილო გზას ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებით უზრუნველყოფილი იქნა გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების დროული აღდგენა, რითაც შეჩერებული იქნა მათი სრული დაზიანება და გზებზე მოძრაობის მოსალოდნელი შეფერხება;
- მდინარეთა კალაპოტებში ნაპირსამაგრი ღონისძიებების გატარების შედეგად შემცირებული იქნა სანაპირო ზონებში არსებული ავარიული სიტუაცია, რითაც უზრუნველყოფილ იქნა: სანაპირო ზონების მდგრადობა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო;
- გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივი შემცირება.

3.1.3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგი:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;
- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადის გამტარუნარიანობის და საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- გაიზრდება სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა;
- უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მშენებლობა ზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობას და უსაფრთხო მოძრაობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები. მოძრაობა გახსნილია 19.5 კმ, მათ შორის 2015 წელს დასრულდა 8.5 კმ გზის მშენებლობა;
- ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის კმ0-კმ15.2 მონაკვეთის 50% დაგებულია ცემენტობეტონის საფარით;
- ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის კმ0-კმ24 მონაკვეთის 9.2 კმ-ზე ძირითადად დასრულდა ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები (მოძრაობა ჯერ გახსნილი არ არის);
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აგარა-ზემო ოსიაური კმ114-126 მონაკვეთის 3 კმ-ზე მოეწყო ცემენტობეტონის საფარი;
- საანგარიშო პერიოდში სულ მოეწყო ცემენტობეტონის 29 კმ-იანი საფარი.

3.2. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;
- ✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;
- ✓ შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“;

- ✓ შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- რეგიონული და მუნიციპალური მნიშვნელობის გზების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, მუნიციპალიტეტების კომუნალური მეურნეობის, ტურისტულ ზონებში ქუჩების და საფეხმავლო გზების კეთილმოწყობის, განათების, სხვა ტურისტული და ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პროექტით გათვალისწინებულ ობიექტებში მოწესრიგდა და მოეწყო ინფრასტრუქტურა, გზები, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- პროექტით გათვალისწინებულ ტურისტულ რეგიონებში მოწესრიგდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დაიწყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა დასრულება დაგეგმილია 2016-2017 წლებში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული შიდა გზები, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების შედეგად გამაგრებულია რისკების შემცველი ადგილები;
- გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;
- ტურისტულ ზონებში მოწესრიგებული შიდა ინფრასტრუქტურა, გზები, გამწვანება, განათება, ქუჩები, ტურისტული დანიშნულების ნაგებობები;
- ურბანული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2015 წლისათვის დაგეგმილი სამუშაოები საანგარიშო პერიოდში სრულად ვერ განხორციელდა, რაც განპირობებული იყო: მიმდინარე პროექტების შემსრულებელი კომპანიების ფინანსური პრობლემებით; სამშენებლო ორგანიზაციების მხრიდან გრაფიკით გათვალისწინებული ვადების პერიოდული დარღვევით; რიგ პროექტებში არსებული ხარვეზებით, რამაც სამუშაოთა მიმდინარეობისას, შესაბამისი პროექტების კორექტირების აუცილებლობის გამო, ვადების გადაწევა გამოიწვია; რუსთავი-თბილისის ავტობანის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო განსახლების ღონისძიებების გაჭიანურებამ შეაფერხა შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულმა ფაქტორებმა კორექტივები შეიტანეს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების ვადებში, რაც შესაბამისად აისახა ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ათვისებაზეც და ა.შ. თუმცა, გატარებული მნიშვნელოვანი საორგანიზაციო ღონისძიებების ფონზე პროექტების განხორციელების საწყის ეტაპზე არსებული მეტნაკლები ჩამორჩენა წლის მეორე ნახევრიდან იქნა დამლეული და 2015 წლის საბიუჯეტო პარამეტრები თითქმის სრულად იქნა შესრულებული.

3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა - რეაბილიტაცია (25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გამოიცვალა მილები, აშენდა ახალი სატუმბო სადგურები, გარემონტდა საქლორატორო შენობები, გარემონტდა სადაწნეო მილსადენი და დამონტაჟდა მრიცხველები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული წყალმომარაგების სისტემები;
- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

3.4. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.4.1 რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 36 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული შუალედური შედეგები:

- საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება; ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობის შექმნა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- „ხორგას“ პროექტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდება ქვეყანას განახორციელოს ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში, ასევე ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა. „ქსანი“ ქვესადგურის რეაბილიტაციის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ელექტროენერჯის ძაბვის პარამეტრების ხარისხი, ასევე ახალი რეაქტორი წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოსისტემის სტაბილურობისა და 500კვ-იან ელექტროგადამცემ

ხაზებზე წარმოქმნილი რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციაში. „მარნეულის“ და „მენჯის“ ქვესადგურების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ჩვენი ენერგოქსელის იმედიანობისა და უსაფრთხოების გაზრდას, ახალი გენერაციის ობიექტების ქსელთან მიერთებას და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალი 220/110 კვ ძაბვის ქ/ს „ხორგას“ მშენებლობა, 500/220/110კვ „ქსანი“ ქვესადგურის რეაბილიტაცია; 220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგურის გაფართოება, 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა. 2018 წლისთვის ქვესადგურების სიმძლავრე გაიზარდა 1.300 მჰა (მეგაამპერი)-ით.

3.4.2 ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული შუალედური შედეგები:

- სისტემის მდგრადობა/იმედიანობა და სსე-ის ქვესადგურებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. ტექ-მომსახურებისა და გამორთვების ხანგრძლივობის გაუმჯობესება, ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის ამაღლება. ელექტროენერგიის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ელექტროენერგიის ექსპორტის/ტრანზიტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰესებიდან ელექტროენერგიის გატანის ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და თურქეთის მიმართულებით და ამავედროულად, აღმოსავლეთ საქართველოსკენ ელექტროენერგიის მიწოდების ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება და გაუმჯობესება, ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სამხრეთ საქართველოს რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესება, ქვეყნის ენერგობალანსში ნამეტი ელექტროენერგიის ექსპორტი, ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შეუფერხებელი განხორციელება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 1 ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა; ორი 8 კმ-იანი და ერთი 60 კმ სიგრძის 500 და 220 სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. 2018 წლისთვის ელექტროენერგიის ექსპორტი ადგილობრივი გამომუშავების 17%-ით გაზრდა.

3.4.3 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB) (პროგრამული კოდი 36 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული შუალედური შედეგები:

- ახალი ელექტროგადამცემი ხაზი უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერჯის სტაბილურ მიწოდებას, შეამცირებს ელექტროენერჯის გათიშვების შემთხვევებს, შესაძლებელი იქნება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხაზის საშუალებით ასევე მოხდება მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი შეახვევის 178 მგვტ-იანი და კორომხეთის 150 მგვტ-იანი ჰესების მიერთება სახელმწიფო ენერჯოსისტემასთან.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აჭარისწყალზე ასაშენებელი შუახვევიჰესის და კორომჰესის საშუალებით გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა (360მგვტ). ქალაქ ბათუმის ელექტრომომარაგების გაუმჯობესება, საქართველოს ენერჯოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება და ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთსა და სხვა პოტენციურ ბაზრებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ერთი ახალი 220 კვ ელექტროგადამცემი ორჯაჭვა ხაზის მშენებლობა.

3.5.1 ენერჯეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერჯომომარაგების უზრუნველყოფის გზით. ენერჯომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება. საქართველოს ენერჯოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერჯომომარაგების უზრუნველყოფის გზით.

ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

- მნიშვნელოვნად გამარტივებული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესი.
- გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების და ტექნიკური უსაფრთხოების სათანადო უზრუნველყოფის მიზნით რამდენიმე სალიცენზიო ბლოკზე მოხდა მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება/აღდგენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ხელი მოეწერა 52 მემორანდუმს 63 პროექტის განვითარების თაობაზე; ექსპლუატაციაში შევიდა ფშაველაჰესი, დასრულდა დებედაჰესის პროექტირება, დაიწყო რაჩხა ჰესის და საგურამო ჰესის პროექტების განხორციელება.
- ინვესტიციების მოცულობის გაზრდა - ინვესტიციების რაოდენობამ შეადგინა 58.8 მლნ. აშშ დოლარი, საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებით დაინტერესებული უცხოური კომპანიების რაოდენობა გაიზარდა 2 ერთეულით. რიგ სალიცენზიო ბლოკზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად შემცირდა გარემოზე მავნე ზემოქმედება.

3.5.2 მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სოფლების: ნოჯა, კომკასყელი (წობანო), ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალის, ჩონთოს და მოლიანის დასახლების (ნატანები) მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერჯით.
- ლაგოდების, ქარელის, კასპის, ონის, დუშეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ტყიბულის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აბაშის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების 58 დასახლებული პუნქტის მოსახლეობას მიეცათ ბუნებრივის აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- 113 სოფლის გაზიფიცირება, ბუნებრივი აირის დაახლოებით 33 ათასი აბონენტი. სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, მოსახლეობის ყოფიერების ამაღლება, სოფლის გაძლიერება.

3.5.3 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- ზამთრის პერიოდში მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ზამთრის პერიოდში ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, სოფლის გაძლიერება. ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირით მომარაგებული იქნა 3 600 აბონენტი.

3.6. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.6.1 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU) (პროგრამული კოდი 36 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლება. ჰიდროტექნიკური ნაგებობების, მოწყობილობების, კაშხლისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოებისა და ელექტროენერჯის მოწოდების საიმედოობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ვარდნილჰესის საპროექტო პარამეტრების უზრუნველყოფა, ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის გატარების უზრუნველყოფა. ვარდნილჰესის რეაბილიტაციის შემდეგ გაუმჯობესდება ჰესის მუშაობის საიმედოობა, არხის საპროექტო სიმძლავრის (არხის გამტარიანობა) უზრუნველყოფა, გაიზრდება ელექტროენერჯის წარმოება, უზრუნველყოფილი იქნება ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრესა 1300 მგვტ და ელექტროენერჯის 4,2 მლრდ. კვტ.სთ მიღწევა. ვარდნილჰესის კასკადის უსაფრთხო და უავარიო ფუნქციონირება.

3.6.3 ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID) (პროგრამული კოდი 36 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული შუალედური შედეგები:

- აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ქსელის განახლების, რეკონსტრუქციისა და ოპერირების ხელშეწყობა, გამორთვების რაოდენობის და ტექ-მომსახურების ხარჯების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ქსელი განახლდა, რაც შესაბამისად შეამცირებს გამორთვების რაოდენობას და ტექ-მომსახურების ხარჯებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ყველა გამანაწილებელი მოწყობილობა (35/10/6კვ) მიტანილია ქვესადგურებში, დასრულებულია შესაბამისი სამონტაჟო და ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოები. გამჭიმი მოწყობილობები შესყიდულია.

3.7. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნისა და ცალკეული რეგიონების დონეზე ტურიზმის განვითარების სწორი დაგეგმარება სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მაგალითების გაზიარებით და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა, რაც განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მის მიმართ ინტერესის გაზრდას;
- მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის და ტურისტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- შიდა და საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ცნობადობის ამაღლება, საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება და შესაბამისად ტურისტული ნაკადების მომატება;
- ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე გაიზარდა საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება;
- ამაღლდა საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, ცნობადობა;

- გადამზადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული 1 200-მდე წარმომადგენი, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას;
- შეიქმნა ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი, რომელიც მორგებულია სხვადასხვა ინტერესის მქონე ტურისტზე;
- შეიქმნა ახალი და გაუმჯობესებული მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ: 15 დაბასა და ქალაქში დამონტაჟდა 625 ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი; 17 დაბასა და ქალაქში განთავსდა 64 საინფორმაციო საორიენტაციო რუკა; დაბა ბაკურიანსა და გუდაურში გაკეთდა ველო ბილიკები და სხვა;
- სხვადასხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან გაღრმავდა თანამშრომლობა კონფერენციებში და ფორუმებში მონაწილეობის გზით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქართველი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა - 2015 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 5 897 685, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემებს აღმატება 6.9%-ით;
- საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის და მისი ტურისტული პოტენციალის ცნობადობა - 2015 წელს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ცნობადობის ამაღლების მიზნით საქართველო წარმოდგენილი იყო 25 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, მოეწყო 70 პრეს და გაცნობითი ტური (2014 წელი - წარმოდგენილი იყო 25 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, მოეწყო 48 პრეს და გაცნობითი ტური) შეიქმნა ვებ-გვერდი <http://georgia.travel>, რომლის მოხმარების სიხშირემ შეადგინა 3 261 537 მონახულება;

3.9 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მოთხოვნებთან;
- ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების ხელშეწყობა;
- ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;
- სამრეწველო პროდუქტის ბაზარზე რეაქტიული და პროაქტიული ფორმით ზედამხედველობა;
- სანებართვო დოკუმენტაციის ანალიზისა და ნებართვების გაცემის დროს შემცირება;
- სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით გაუმჯობესდა ტექნიკური და სამშენებლო სფეროების საკანონმდებლო ბაზა;

- განხორციელდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ავარიული/უბედური შემთხვევების სტატისტიკური მაჩვენებელი - 2015 წელს შახტებსა და მალაროებში დაფიქსირდა 4 უბედური შემთხვევა (დაიღუპა 2 ადამიანი და დაშავდა 3 ადამიანი), ხოლო 2014 წელს მოხდა 5 უბედური შემთხვევა შახტებსა და მალაროებში (დაიღუპა 3 ადამიანი და დაშავდა 9 ადამიანი) და 2 უბედური შემთხვევა - ამწე მოწყობილობებზე (დაიღუპა 2 ადამიანი). აღნიშნულიდან გამომდინარე 2015 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით.
- ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევები - განხორციელდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი 1440 ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგადაც უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დაჯარიმდა 181 ობიექტი. 2014 წელთან შედარებით შემოწმებული ობიექტების რაოდენობა გაიზარდა 90%-ით; არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 29 ობიექტი;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების თაობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა - გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 26 ნებართვა, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის - 90 ნებართვა, მათ შორის 17 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება, რაც 2014 წლის მაჩვენებლებს აღემატება შესაბამისად 41%-თა და 70%-ით.

4. პრიორიტეტი – განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
32 02	ზოგადი განათლება	486,887.4	486,451.6	485,371.7	485,043.8	327.9
32 04	უმადლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	455,395.3	153,044.0	406,123.0	158,095.1	248,027.8
32 05	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	103,070.1	103,070.1	99,364.4	99,364.4	0.0
32 06	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	46,816.5	46,816.5	33,850.2	33,850.2	0.0
32 03	პროფესიული განათლება	53,201.6	31,179.6	45,666.8	31,000.3	14,666.5
29 02	სამხედრო განათლების განვითარება	21,194.3	20,149.2	20,876.3	19,864.8	1,011.5
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	20,172.9	17,266.2	19,754.8	17,303.8	2,451.0
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	24,265.2	15,888.3	22,248.4	15,879.7	6,368.7
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,990.7	7,990.7	7,986.3	7,986.3	0.0
30 03	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება – გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა	7,283.4	6,733.4	7,487.9	7,077.8	410.1
61 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	5,850.1	5,850.1	5,144.8	5,144.8	0.0
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	4,195.4	2,200.8	3,640.3	2,155.4	1,484.9
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,607.2	1,530.0	1,564.8	1,520.3	44.5
27 03	სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა	991.0	991.0	1,050.6	1,050.6	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
	მომზადება და პროფესიული განვითარება					
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,645.4	825.0	1,557.4	821.3	736.1
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	449.3	449.3	0.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	395.0	385.0	289.3	288.6	0.6
24 10	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	5,120.3	400.0	4,992.9	417.4	4,575.5
64 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	9,047.0	0.0	7,631.9	0.0	7,631.9
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,255,578.8	901,221.5	1,175,051.1	887,314.0	287,737.0

4.1. ზოგადი განათლება (32 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები.

დასახული საბოლოო შედეგები

- ყველა მოქალაქისათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილი იქნა შესაბამისი დაფინანსებითა და მოსწავლეთა ხარისხიანი ზოგადი განათლებით;
- მოხალისე პედაგოგების დახმარებით გაუმჯობესდა არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხი;
- ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებისა და ჩინური ენის სწავლების მიზნით ინგლისურენოვანი და ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანის შედეგად ამაღლდა ქართველი მოსწავლეების ცოდნის დონე;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილ იქნა მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო, ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის შესაბამისი მომსახურება, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა გაკვეთილები;
- ჩატარებული ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები და გამარჯვებულთა მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ თბილისსა და რეგიონებში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების და პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლის მსურველი ბენეფიციარების იდენტიფიკაცია და შეფასება, განისაზღვრა მათი ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობი. განხორციელდა სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნა დამხმარე სპეციალისტების მომსახურებით.

- საგანმანათლებლო სერვისით უზრუნველყოფილია იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებულ ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები და სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის ერთ საჯარო სკოლაში და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის შვიდ საჯარო სკოლაში ფუნქციონირებდა შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით და საჭირო ტექნიკით, ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით აღჭურვილი ინტეგრირებული კლასები;
- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლე და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეები. ასევე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საჯარო სკოლები უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით და თვალსაჩინოებებით.
- სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისათვის ხელმისაწვდომი ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება, ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილია იმ მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ისეთ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია;
- 2015-2016 სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალებით უზრუნველყოფილი იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილია გალის რაიონის პედაგოგების გადამზადება და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებული 40 667 მოსწავლე, საიდანაც 34 767 მოსწავლემ მოიპოვა სრული ზოგადი განათლების ატესტატი;

4.1.1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უზრუნველყოფა შესაბამისი დაფინანსებით; მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი დაფინანსებით და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ხარისხიანი განათლება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაწოდებლად საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების 100%.

4.1.2 . მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

დასახული შუალედური შედეგები:

- მასწავლებელთა ეტაპობრივი პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; სერთიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა;
- ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება, რაც შესაძლებელს გახდის მათ ჩართვას, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო სექტორში; მოსწავლეების გაუმჯობესებული უცხო ენების ცოდნის დონე;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მივლენილი მოხალისე პედაგოგების დახმარებით გაუმჯობესებულია ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხი;
- ქართველი მოსწავლეების უცხო ენის სწავლების გაძლიერების მიზნით განხორციელდა უცხო ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანა საქართველოში და მათი გადამადრეკვა საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლებში, რომლებიც ქართველ მასწავლებლებთან ერთად ახორციელებდნენ სწავლებას, ადგილობრივი ინგლისური ენის პედაგოგები გაგზავნილ იქნენ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მაღალმთიან რეგიონებში;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებლებისათვის ჩატარებულია სხვადასხვა ტრენინგები მოდულურ სწავლებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებით;
- განახლებული და დამტკიცებულია მასწავლებლის პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორთა თანამდებობრივი სტანდარტები;
- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა" ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისათვის, რომელიც ნათარგმნია აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე;
- პროფესიული განვითარების სქემაში მონაწილე მასწავლებლების შეფასების მიზნით შექმნილია მასწავლების შეფასების ელექტრონული სისტემა eschool, რომელშიც განთავსდა შესაფასებელი დოკუმენტაცია და შეფასების შედეგები;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული სკოლების მასწავლებელთა 97%-მა უზრუნველყო თვითშეფასების კითხვარის შევსება. სქემაში ჩართული სკოლების 95%-ში არჩეულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორები, ხოლო თითქმის 99%-ში ჩამოყალიბდა მასწავლებლის შეფასების ჯგუფები. მომზადებული და დამტკიცებულია მასწავლებლის თვითშეფასების

კითხვარი. ტრენინგები ჩაუტარდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ყველა ფასილიტატორს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საჯარო სკოლაში დასაქმებული 74.7% პრაქტიკოსი მასწავლებელი, 25 % - უფროსი მასწავლებელი და 0,3 % - წამყვანი მასწავლებელი;
- არაქართულენოვანი სკოლების (სადაც ჩართული იყო პროგრამა „ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა“) მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების შედეგები გაუმჯობესდა 15%-ით;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით, საქართველოს მასშტაბით, თბილისის და ქუთაისის მასწავლებლის სახლების მეშვეობით პროფესიული გადამზადება გაიარა 16 700 - ზე მეტმა ბენეფიციარმა;
- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 250 - ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისათვის.

4.1.3. უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური

დასახული შუალედური შედეგები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევების შემცირებული რაოდენობა, გაცდენილი გაკვეთილების შემცირებული რაოდენობა;
- მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მათი ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის გაზრდილი ნდობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო;
- პრევენციული ღონისძიებების ჩატარების გზით საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე შემცირდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული და ნარკოტიკული დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მინიმუმამდე შემცირდა მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების, მათ მიერ ცივი იარაღის ტარების და ალკოჰოლური საშუალებების გავრცელება;
- გაუმჯობესდა დისციპლინა და გაიზარდა ნდობა საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის მიმართ;
- მანდატურთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საპილოტე პროგრამის ფარგლებში გაიზარდა მანდატურთა მხრიდან ისეთ შემთხვევათა იდენტიფიკაცია, სადაც საქმე ეხებოდა არა მხოლოდ დისციპლინურ დარღვევებს, არამედ ფსიქოლოგიურ

პრობლემებთან დაკავშირებულ ფაქტორებს, გაიზარდა მანდატურის როლი სკოლის გარემოში პრობლემურ შემთხვევათა მართვაში;

- სამსახურმა უზრუნველყო პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია დაეხმაროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ქცევითი გადაცდომის ფაქტების რაოდენობა შემცირდა 30%-მდე;
- გაიზარდა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი;
- ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე 1 228 მოსწავლეს და მათ ოჯახის წევრებს გაეწია ფსიქო-სოციალური მომსახურება;
- 35 486 მოსწავლე ჩართული იყო პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში;

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დასახული შუალედური შედეგები

- წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება;
- ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდები;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაციის დონე.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ჩატარებული ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები. ამასთან, ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- მედლებით დაჯილდოებული წარჩინებული მოსწავლეები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგნობრივ ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობის ზრდა 27%-ით;
- საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილედან დაჯილდოებულია 10 მოსწავლე;
- სასწავლო წლის ბოლოს წარჩინებულ მოსწავლეებისათვის გაცემულია 1 150 ოქროს და 960 ვერცხლის მედალი;

4.1.5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

დასახული შუალედური შედეგები

- ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება და მონიტორინგი;
- საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის გაუმჯობესებული პროცესი: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალიზირებული ინვენტარი, ტექნიკა, განმავითარებელი თვალსაჩინოებები და სათამაშოებით აღჭურვილი რესურს ოთახები;
- მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასებული სამასზე მეტი ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება, ორასზე მეტი საჯარო სკოლის კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;
- პროგრამაში ჩართულ მოზარდთა სოციალიზაცია და ინტეგრაცია;
- განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის გაზრდილი ხარისხი სპეციალური პროფილის მქონე სკოლა - პანსიონებში, შეფასებული ყველა ჩასარიცხი ბავშვი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;

მიღწეული შუალედური შედეგები

- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინარულმა გუნდმა უზრუნველყო საქართველოს მასშტაბით სკოლებისათვის კვალიფიციური დახმარების გაწევა ინკლუზიური განათლების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.
- სპეციალური პროფილის სკოლა-პანსიონებში მოხდა ზრუნვა განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის ხარისხის ამაღლებაზე. განხორციელდა აღნიშნულ დაწესებულებებში ჩასარიცხი ყველა ბავშვის შეფასება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;
- ყველა საჭირო შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის წევრების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით შეფასდა სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის მეთორმეტკლასელი და მეთერთმეტკლასელი მოსწავლეები;
- მულტიდისციპლინარული გუნდის წევრები გადამზადდნენ ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტების ჩატარებისა და ინტერპრეტაციის სწავლების საკითხებში;
- სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა;
- იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებულ ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის და რიგ საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდა დამატებითი ადამიანური რესურსით, სპეციალიზებული ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი ინტეგრირებული კლასები.
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი იქნენ დამხმარე სპეციალისტების მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულ მოსწავლეთა რიცხვი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15%-ით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მიზნით იდენტიფიცირებულია 250 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსით აღჭურვილი ინტეგრირებული კლასების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3 ერთეულით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 60 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს გაეწია დახმარება.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შვილები და აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეები;

მიღწეული შუალედური შედეგები

- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლე, ასევე კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შვილები და აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.

4.1.7 საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილება და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა;
- ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- 600 - მა მოსწავლემ გაიარა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი დაბა წყნეთის ბაზაზე მოწყობილ ინგლისური ენის საზაფხულო ბანაკში;
- 36 მოსწავლე გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში და გაიღრმავეს ცოდნა ინგლისურ ენაში;
- მოსწავლეებმა შეიძინეს მეტი გამოცდილება, ლიდერისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში;

- ქვეპროგრამის „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“ ფარგლებში მონაწილეებმა შეიძინეს უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება, გაეცნენ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურას, გაუზიარეს თავიანთი კულტურა, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საზაფხულო სკოლების მონაწილეთა მინიმუმ 50%-ს აქვს წინსვლა ინგლისური ენის ფლობის თვალსაზრისით;
- მულტიკულტურული საზაფხულო სკოლის 100-მა მონაწილემ აიმაღლა ცოდნის დონე სახელმწიფო ენაში;
- „მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლის“ 90 მონაწილემ აიმაღლა ლიდერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პროგრამაში ჩართულობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის გალისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგაორის რაიონების ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი კუთვნილი ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ფინანსურ დახმარება მიიღო 1 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ/ა(ა)იპ - საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - ქალაქ თბილისის №123 საჯარო სკოლა.

დასახული შუალედური შედეგები

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შესაძლებლობა მათ მიერ სპეციფიურ გარემოში შესწავლილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის

აუცილებელი საგნების და მიღებული შესაბამისი ატესტატი, მიღებული უფლება სწავლის გასაგრძელებლად განათლების სხვა საფეხურზე;

- დასაქმების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების პერიოდის დასრულების შემდგომ.

მიღწეული შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილია სპეციფიკურ გარემოში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნების შესწავლის და სკოლის დამამთავრებელ საატესტატო გამოცდებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის;
- უზრუნველყოფილია ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულისათვის;
- უზრუნველყოფილია ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებისა და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმრებისათვის, რომლებმაც წარმატებით დასძლიეს საგამოცდო პროგრამა და ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- პროფესიული მომზადების კურსების მეშვეობით სხვადასხვა პროფესიას დაუფლებული მსჯავრდებულები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართულია 170 - მდე ბრალდებული/მსჯავრდებული;
- ექსტერნის ფორმით სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე გამოცდები დაძლია 16 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, სკოლის გამოსაშვები გამოცდა დაძლია 5 მოსწავლე-პატიმარმა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მონაწილე 5 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა წარმატებით დასძლია გამოცდა და ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სხვადასხვა პროფესიული მომზადების კურსებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 359 ერთეულით.

4.1.10 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

დასახული შუალედური შედეგები

- მოსწავლეებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- ის მოსწავლეები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილნი იყვნენ უფასო ტრანსპორტით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- გაუმჯობესებულია გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი;

4.1.11 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- სწავლისადმი მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია და თანაბარკონკურენტული გარემო მოსწავლეთა უნარების წარმოსაჩენად;

მიღწეული შუალედური შედეგები

- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია სასკოლო ჟურნალებით, ხოლო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართული სკოლები სახელმძღვანელოებითა და სასწავლო თვალსაჩინოებები;
- საპილოტე სკოლების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო მომსახურებით;
- გაიზარდა მშობელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონე;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებმა აიმაღლეს ცოდნის დონე ქართულ ენაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლების უზრუნველყოფა სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით.
- 300 - მდე საჯარო სკოლა, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტები;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული 10 ქართული სკოლისათვის შეძენილი სახელმძღვანელოები და სასწავლო თვალსაჩინოებები;
- ქართული ენაში მომზადების ჯგუფში ჩარიცხული საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე 25 პირი.

4.1.12 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 32 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

მიღწეული შუალედური შედეგები

- ჩატარდა კლასში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი, საბაზო საფეხურზე.

- მომზადებულია საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის გადამუშავებული პირველადი ვერსია;
- საბაზო საფეხურის საათობრივი ბადისა და საგნობრივი სტანდარტების გადამუშავების მიმართულებით მომზადდა საბაზო საფეხურის საათობრივი ბადის და გადამუშავებული საგნობრივი სტანდარტების პირველადი ვერსიები;
- მომზადდა ქართული ენის ალტერნატიული (ფუნქციური) სასწავლო გეგმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- შემუშავებული მონიტორინგის ინსტრუმენტები: გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა, მასწავლებლის გამოკითხვის ანკეტა, ინსტრუქცია მონიტორებისათვის, საბოლოო ანგარიშის ჩარჩო;
- ვებპორტალზე განთავსებული გზამკვლევი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“.

4.2 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დასახული საბოლოო შედეგები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;
- ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და უზრუნველყოფილი ხარისხიანი სასწავლო პროცესები;
- ჩატარებული ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, მასწავლებლის საგნის, 2013-2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები და პროფესიულ სასწავლებლებში მისაღები გამოცდები;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის ჩამოყალიბებული შესაბამისი სამუშაო გარემო;
- დაფინანსებული სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები და დანერგილი ახალი სამეცნიერო პროდუქტები;

- დაფინანსებული სასწავლო და სამაგისტრო გრანტები და წარჩინებული სტუდენტების მიერ მიღებული სტიპენდიები;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით და/ან სტიპენდიით/საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის საჭირო თანხით უზრუნველყოფილია პროგრამის ბენეფიციარები;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება დაუფინანსდათ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მქონე სტუდენტებს და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს;
- ჩამოყალიბდა ახალი სასწავლო დისციპლინა - „ქართული, როგორც უცხო ენა“ და შეიქმნა ვებგვერდი www.geofl.ge, რომელზეც თანდათანობით იტვირთება მუშაობის შედეგები, ანუ სასწავლო-მეთოდური და დამხმარე მასალები (ქართული ენის ფლობის დონეებზე შედგენილი სახელმძღვანელოების სერია „აღმართი“, საკითხავი ლიტერატურა სათანადო ლექსიკონებით, კულტუროლოგიური ხასიათის მასალა და ა.შ).

4.2.1. გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დასახული შუალედური შედეგები

- განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება მხოლოდ შესაბამისი ცოდნის მქონე პირებისათვის;

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაიზარდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რაოდენობა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობები შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარდა პროფესიული გამოცდები;
- ჩატარდა სკოლის გამოსაშვები გამოცდები;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა The Program for International Student Assessment (PISA)-ის ფარგლებში, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის (Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS)) ფარგლებში და წიგნიერების საერთაშორისო (Progress in International Reading Literacy Study (PIRLS)) კვლევების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტესტირება, რომელშიც ჩართული იყო სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და დირექტორები;
- სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო გამოკითხვის (TALIS) ფარგლებში მომზადდა TALIS-ის კვლევის ანგარიშის (სკოლის დირექტორები, მათი საქმიანობა, პროფესიული განვითარება და შეფასება) საბოლოო ვერსია;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, მასწავლებელთა საგნის, პროფესიული განათლებისა და საატესტატო გამოცდების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა მიღებული მოსწავლეთა ცოდნის დონე 100%-ით შეესაბამება ზოგადი განათლების სტანდარტებს.

4.2.2 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02)

4.2.2.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დასახული შუალედური შედეგები

- კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა;
- შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის;
- მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი;
- უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გაცემულია სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები;
- ჩატარდა საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გაღრმავების მიზნით ჩატარდა ერთობლივი საგრანტო კონკურსები;
- სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზების მიზნით მოეწყო სამეცნიერო-კვლევითი კონკურსები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- დაფინანსებულ პროექტთა და მეცნიერთა გაზრდილი რაოდენობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული ქართული სამეცნიერო პროექტების გაზრდილი რაოდენობა;
- სამეცნიერო საქმიანობის პოპულარობის და დაინტერესების ხარისხის ზრდა სკოლის მოსწავლეებში.

4.2.2.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

- ✓ სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დასახული შუალედური შედეგები

- ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
- საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის ჩატარებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის გაღრმავება და კონკურენტული კვლევითი გარემოს ჩამოყალიბება;
- ორგანიზებული და ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, სიუბილევო დღეები და სხვა ღონისძიებები.

4.2.2.3 მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დასახული შუალედური შედეგები

- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედიები და ჟურნალები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- შემუშავებული სხვადასხვა სამეცნიერო წინადადებები;
- აკადემიკოსთა გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების გაზრდილი რაოდენობა.

4.2.2.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დასახული შუალედური შედეგები

- აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგების შეფასება დამოუკიდებელ რეცეზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების, მეცნიერების მიერ.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადდა და გამოიცა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები სოფლის მეურნეობის საკითხებზე;
- ჩატარდა ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარები და კონფერენციები;
- გაიმართა სამეცნიერო შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატით;
- საანგარიშო პერიოდში გამოცემული იქნა რეკომენდაციები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე მომზადებულ ნაშრომებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აგროსასურსათო სექტორში წარმოებულ კვლევათა რაოდენობის ზრდა.

4.2.2.5 მეცნიერების აღდგენა და განვითარება (32 04 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

დასახული შუალედური შედეგები

- სამეცნიერო - კვლევითი პროექტების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია კვლევითი პროექტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 42 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პროექტები;

4.2.3 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

დასახული შუალედური შედეგები

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გრანტის გაზრდილი დაფინანსება;
- შესაბამისი გამოცდების წარჩინებით ჩამბარებელთა განათლების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქება;
- სტუდენტების მოტივაციის ამაღლება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემულია სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები;
- წარჩინებულ სტუდენტებზე გაცემულია სტიპენდიები;

- დაფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტის სწავლება, აგრეთვე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტის სწავლება;
- გაიცა 2015–2016 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტები.
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით უზრუნველყოფილია ბენეფიციარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა აღემატება 2 700-ს;
- სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;
- სახელმწიფო მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულებაზე/მიმართულებებზე დაფინანსდა 11 000-ზე მეტი სტუდენტი;
- აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;

4.2.4 უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვევითი პროექტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

დასახული შუალედური შედეგები

- მსოფლიოში მიღებული თანამედროვე მეთოდებით შექმნილი სახელმძღვანელოების კომპლექტი – „ქართული ენა უცხოელი შემსწავლელისათვის“ საწყისი (A1.1) და ელემენტარული (A1.2) დონის წიგნები;
- შესაბამისი ტესტებით განვლილი მასალის შეფასება და შემსწავლელის ენის ფლობის განსაზღვრული დონე;
- შექმნილი და განახლებული სასწავლო მასალა და ვიდეო ფაილი;
- სტუდენტების მოტივაციის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მიმართულებით შექმნილ ვებგვერდზე www.geofl.ge, თანდათანობით იტვირთება მუშაობის შედეგები (სასწავლო-მეთოდური და დამხმარე მასალები);

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მიმართულებით შექმნილ ვებგვერდზე ატვირთული სასწავლო-მეთოდური და დამხმარე მასალების გაზრდილი რაოდენობა;

4.3 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კომპიუტერებით აღჭურვილი საჯარო სკოლები;
- პორტატული კომპიუტერით წახალისებული ნიჭიერი და წარჩინებული მოსწავლეები;
- საბავშვო - სასწავლო პორტატული კომპიუტერით უზრუნველყოფილი პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები;
- აშენებული და რეაბილიტირებული რიგი საჯარო სკოლები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები;
- ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

4.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო, მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია, უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საჯარო სკოლებს მიეწოდათ პირველკლასელებისა და მათი მასწავლებლებისათვის გადასაცემად საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერები;
- მოხდა ნიჭიერ და წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერით წახალისება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბენეციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა პორტატული კომპიუტერებით („ნოუთ-ბუქებით“).

4.3.2 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02)

4.3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულდა რიგი საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია, დასრულდა რიგი საჯარო სკოლების გამაგრებითი სამუშაოები, გაზიფიცირება და გათბობის სისტემის დამონტაჟება;
- რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო სპორტული მოედნები, მოეწყო და აღიჭურვა სამედიცინო ოთახები;
- შესწავლილი იქნა რიგი საჯარო სკოლების ავარიულობის საკითხი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) საჭიროებების გათვალისწინებით რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა შესაბამის ინფრასტრუქტურას, მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები და დამაგრდა პანდუსები;
- განხორციელდა რიგი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ახლად აშენებული, რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

4.3.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულდა რიგი პროფესიული კოლეჯების რეაბილიტაცია;
- გაუმჯობესდა რიგი პროფესიული კოლეჯების ინფრასტრუქტურა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული, შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

4.3.2.3 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულდა რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გაუმჯობესდა რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული, შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარითა აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

4.5 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები;
- ✓ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

დასახული საბოლოო შედეგები

- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული კვალიფიციური პერსონალი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;
- ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა

და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომლებმა და ქართული ენის სწავლებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა გაიარეს მომზადება/გადამზადება;

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე შექმნილი IT აკადემია - მაღალი ხარისხის პროფესიული კურსებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებში და სასწავლო პროგრამებში;
- საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელმისაწვდომი თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- დანერგილი ახალი ელექტრონული მართვის სისტემები და სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა ბაზები.

4.5.1 პროფესიული განათლების ხელშეწყობის და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ/ა(ა)იპ საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები.

დასახული შუალედური შედეგები

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესისა და ცოდნის ხარისხის ამაღლება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული კვალიფიციური პერსონალი, პროფესიულ განათლებაზე გაზრდილი მოთხოვნა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა;
- გაზრდილი ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე მათ შორის, პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ.);
- ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა; ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება;
- გაზრდილია დაინტერესებული მხარეების ცნობიერების დონე პროფესიული განათლების შესახებ;
- მოქმედებს არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები;
- ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულია შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;

- საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილი იყვნენ ვაუჩერული, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსებით;
- ყოფილი პატიმრები, მათი ოჯახის წევრები ან/და განრიდებულები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაეუფლენ მათთვის სასურველ პროფესიებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- წინა წელთან შედარებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21%-ით გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 900-ზე მეტი კვალიფიციური მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალია;
- წინა წელთან შედარებით გაიზარდა რეაბილიტირებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა.

4.5.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

დასახული შუალედური შედეგები

- საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომელთა ქართული ენის ცოდნის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გადამუშავდა სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამა საჯარო მოხელეებისათვის;
- მომზადდა და განხორციელდა ახალი დარგობრივი კურსები;
- სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონულ სასწავლო ცენტრებში, განხორციელდა საჯარო მოხელეების მომზადება სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამით;
- „საჯარო მართველობა და ადმინისტრირება“ პროგრამის ფარგლებში გადამზადება გაიარა საქართველოს მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში მცხოვრებმა საჯარო მოხელეებმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- გაზრდილი მომზადებული და განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა;
- სხვადასხვა სასწავლო პროგრამა გავლილი ბენეფიციართა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3%-ით.

4.5.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დასახული შუალედური შედეგები

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში;
- თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა საქართველოს საჯარო სკოლებში შესაბამისი ინტერნეტ-კავშირის უზრუნველყოფით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაუმჯობესდა საკომუნიკაციო კავშირის ხარისხი, უზრუნველყოფილია ინფორმაციის შეუზღუდავი და უსაფრთხო გაცვლა, წარიმართა მუშაობა ქსელური ხარვეზების ოპერატიული აღმოფხვრისა და დისტანციური მართვის სისტემის სრულყოფისათვის;
- გაუმჯობესდა სკოლების და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროცესების მენეჯმენტი;
- მიმდინარეობდა მუშაობა საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ არსებული მონაცემთა საინფორმაციო ბაზების ფორმირებისა და დახვეწის კუთხით, შეიქმნა ახალი საინფორმაციო ბაზები, გაიზარდა მონაცემთა ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა;
- ხელმისაწვდომი იყო პირველკლასელთა On-line რეგისტრაცია ნებისმიერი ადგილიდან, მონაცემთა ავტომატიზაცია, რეგისტრაციის პროცესში სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისათვის;
- საგამოცდო პროცესების მაღალ დონეზე ჩასატარების მიზნით უზრუნველყოფილი იყო სრულყოფილი ტექნიკური, საკომუნიკაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერა;
- აკადემიამ უზრუნველყო სტუდენტებისათვის კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში მომზადებული სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა;
- საჯარო სკოლების 100% უზრუნველყოფილია ინტერნეტ-კავშირით.

4.6. სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმია;

დასახული საბოლოო შედეგი:

- სამხედრო განათლების სრულფასოვანი სისტემის ჩამოყალიბება და კვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეები.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გამოსაშვები ჯგუფები მომზადებულ იყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის;

- სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება, ოფიცერთა თანმიმდევრული საფეხურეობრივი სამხედრო განათლების პროცესის უზრუნველყოფა;
- მომზადებული/გადამზადებული და კვალიფიციული უმცროსი და უფროსი ოფიცრები, კაპიტნები.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- სამხედრო განათლების სრულფასოვანი სისტემა; კვალიფიციურ ოფიცერთა და სერჟანტთა გაზრდილი რაოდენობა;
- მიღებულ კადეტთა რაოდენობა 120;
- გამოშვებული კურსდამთავრებულთა რაოდენობა 84;

4.7. განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

დასახული საბოლოო შედეგები

- განათლების ხარისხის გარე მექანიზმის ახალი სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მათ მიერ სტუდენტებისათვის შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება;
- ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე გადამზადებული ექსპერტები და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა;
- საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უცხოელი სტუდენტების ჩართვა და ასევე საქართველოს მოქალაქეების მიერ განათლების მიღება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის მიზნით სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, ქვეყნის მასშტაბით მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონცეფციის დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- წინა წელთან შედარებით გაიზარდა ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- გაიზარდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისათვის შემუშავებული/განახლებული პროფესიული სტანდარტების რაოდენობა;
- აქტუალური პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდილი რაოდენობა.
- თანამშრომლობის გაძლიერება ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

4.8 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (33 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დასახული საბოლოო შედეგი:

- საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მიღწევების აღიარება საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში და სხვა ფორუმებში მოპოვებული წარმატებებით;
- საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- ხელი შეეწყო საქართველოს სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრანტებს სამაგისტრო პროგრამის დაუფლებაში, სტუდენტების სწავლას საქართველოში და უცხოეთში.
- კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების მოღვაწეობა საზღვარგარეთ, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას და მათ მიერ მოპოვებული წარმატების, დიპლომებისა და პრიზების რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამებს დაეუფლა საქართველოს 4 სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 43 მაგისტრანტი, დაფინანსდა რეგიონებიდან შერჩეული მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული 10 მოსწავლის სწავლის ხარჯი.
- სახელოვნებო განათლების სფეროში განხორციელდა: 457 კონცერტი; 21 სტუდენტური სპექტაკლი და 9 ფილმის ჩვენება; 59 გამოფენა; 134 მასტერკლასი და ვორქშოპი; 23 სამეცნიერო კონფერენცია; 38 სადამო; სტუდენტებისა და მოსწავლეების მიერ საქართველოსა და უცხოეთში გამართულ 87 კონკურსსა და ფესტივალში მოპოვებულია 114 ჯილდო, მათ შორის: 4 გრან-პრი, 26 – I პრემია, 21 – II პრემია, 17 – III პრემია, 1 - ოქროს, 1 - ვერცხლის, 1 - ბრინჯაოს მედალი, 17 პრიზი, 3 ფულადი ჯილდო, 23 დიპლომი; საქართველოს 14 სკოლისგარეშე და უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული წარმატებით აგრძელებს სწავლას უცხოეთის წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე;
- განხორციელდა 75 საერთაშორისო პროექტი ქართული სახელოვნებო სკოლის საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით.
- საქართველოს 3 სახელოვნებო საგანმანათლებლო უმაღლესი დაწესებულების 57 სტუდენტი დაეუფლა პროფესიული განათლების პროგრამას. 14 სტუდენტის სწავლას ევროპისა და აშშ-ს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;

4.10. სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საქართველოს შსს აკადემია

დასახული საბოლოო შედეგები:

- შსს-ს თანამშრომლები მზად იქნებიან სრულყოფილად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები კონკრეტული საქმიანობის განხორციელების დროს.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა სერთიფიცირებული კადრების რაოდენობა;
- სამართალდამცავ სტრუქტურებში გაუმჯობესდა მენეჯმენტი;
- გაიზარდა საზოგადოების ნდობა მაღალკვალიფიციური პოლიციის მიმართ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კადრების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

4.11. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება და პრაქტიკული უნარების გაძლიერება;
- ობიექტური და გამჭვირვალე სასერტიფიკაციო, საკვალიფიკაციო და სავაკანსიო ტესტირებების განხორციელება სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული უწყებებისთვის არსებულის შეფასების ან/და ახალი კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით;
- ყვარლის სასწავლო ცენტრის დატვირთვის გაზრდა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული პროექტებითა და სხვადასხვა ღონისძიებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა იუსტიციის სამინისტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციების თანამშრომლების კვალიფიკაცია. თეორიულ ცოდნასთან ერთად აპლიკანტებმა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტირებები განხორციელდა მაღალ დონეზე. სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგად, სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ, გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე აეყვანათ კვალიფიციური კადრები;

- ყვარლის სასწავლო ცენტრმა მიიღო სხვადასხვა საჯარო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2015 წელს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარა სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციის 4 987-მა თანამშრომელმა. აპლიკანტთა 75%-ზე მეტმა გადალახა საგამოცდო ბარიერი;
- ტრენინგში მონაწილეთა 80%-ზე მეტმა ტრენინგი შეაფასა მაღალი (85%-ზე მაღალი შეფასება) მაჩვენებლით;
- ტესტირება გაიარა 20 000-ზე მეტმა აპლიკანტმა;
- ყვარლის სასწავლო ცენტრს 2015 წლის განმავლობაში ეწვია 3 383 სტუმარი.

4.12. მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

დასახული საბოლოო შედეგები:

- სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 85 ტრენინგი.
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები 3 წლის ვადით გამწესდნენ მოსამართლის თანამდებობაზე;
- მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესდა 72 მოსამართლე. აქედან 22 იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, 44 ყოფილი მოსამართლე, ხოლო 6 მოქმედი მოსამართლე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული და დასრულებული სასწავლო კურსების რაოდენობა;
- ახლადდანიშნული მოსამართლეთა რაოდენობა;
- ჩატარებული აქტივობების რაოდენობა;

4.13 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმების ეფექტურად განხორციელებისა და ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა სისტემისათვის მაღალპროფესიული კადრების მიწოდების გზით;

- სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევის ხელშეწყობა;
- სისტემაში ახლად მიღებული და მოქმედი კადრების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელების გზით;
- ახლად მიღებული თანამშრომლებისათვის კონსულტაციების გაწევის ინსტიტუტის დანერგვა-გამლიერება მენტორთა მომზადებითა და მათი საქმიანობის დაგეგმვით;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, სისტემაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;
- შიდა სამსახურების, ასევე ზემდგომ სტრუქტურებთან ურთიერთთანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სისტემაში დასაქმებულმა და სისტემასთან კავშირში მყოფმა 3 398 პირმა გაიარა მომზადება და გაიუმჯობესა სამუშაო უნარები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2015 წელს ჩატარებული 13 485 კაც/ტრენინგ/დღე;
- ტრენინგავლილ თანამშრომელთა 93%-ის მიერ დამღეული საგამოცდო ბარიერი

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- 2015 წელს სასჯელადსრულების სისტემაში განხორციელებული ფართო მასშტაბიანი საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით ჩატარდა სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადება. სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ტრენინგები ჩატარდა როგორც სასწავლო ცენტრში, ასევე - ადგილებზე დასავლეთ საქართველოში. საქართველოს კანონის „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, დაიწყო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სერტიფიცირების პროცესი, რომელიც გაგრძელდება 2016 წელს. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადების საკითხი. ყოველივე ამან და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულმა და სხვადასხვა თემაზე ჩატარებულმა ტრენინგებმა, რომელიც დაიგემა დონორ ორგანიზაციებთან, პენიტენციური და პრობაციის სისტემის სამსახურებთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, განაპირობა განსხვავება დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის.

4.14 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, სისტემის მასშტაბით ჩატარებული ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროექტების განხორციელება, თანამდებობრივი ტრენინგების სისტემის დანერგვა და კარიერის განვითარებაზე მიმართული სასწავლო პროგრამებისა და სხვა სახის პროექტების განხორციელება;
- სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასერთიფიკაციო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და საჯარო სამსახურების დაძმობილების (TWINNING) პროგრამის ფარგლებში;
- სამინისტროს სისტემაში სტაჟიორების პროგრამების განვითარება და ახალი კადრების დასაქმების აქტიური მექანიზმის ჩამოყალიბება;
- აკადემიის მიერ კერძო სექტორის განვითარებისაკენ, ასევე სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისაკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების, კონსულტირების გზით;
- კერძო ბიზნესის და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრების მოწყობა/ორგანიზება ფინანსურ სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობისა და კონსულტაციების გაწევის, მათ შორის საგადასახადო სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა/სტაჟიორთა კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლება და პროფესიული გადამზადება. ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ახალი კადრების შერჩევის მიზნით, ჩატარდა კონკურსები;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები ისეთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან როგორცაა - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აკადემიის ერთობლივი ორგანიზებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სამი რეგიონალური სასწავლო კურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების, ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები;
- წარმატებით დასრულდა ევროკავშირთან თანამშრომლობით განხორციელებული ფინეთთან და ესტონეთთან „დამეგობრების“ პროექტი.
- საქართველოსა და ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა 2015 წლის თანამშრომლობის გეგმა, განხორციელდა ტრენინგები და კონსულტაციები;
- საქართველოს გამოცდილებისა და დაგროვებული ცოდნის გაზიარების მიზნით, განხორციელდა ტრენინგები ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის ტაჯიკეთიდან და ყირგიზეთიდან.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა ფინანსთა სამინისტროს სისტემის 678-მა თანამშრომელმა. ფინანსთა სამინისტროს სისტემის ახალი კადრების შერჩევის მიზნით, ტესტირება ჩაუტარდა 1168 აპლიკანტს;
- სხვა დაინტერესებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის მიზნით, ტესტირება ჩაუტარდა 747 აპლიკანტს.
- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა 2739-მა საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციების თანამშრომელმა და სხვა დაინტერესებულმა პირმა. ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - 1145 მსმენელი; საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები IPSAS - 456 მსმენელი; პროგრამული ბიუჯეტი - 75 მსმენელი; ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - 206 მსმენელი; შიდა აუდიტის საფუძვლები - 65 მსმენელი;
- სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსი გაიარა 102-მა პირმა. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში აკადემიაში ჩატარდა ტრენინგები 108 სტუდენტისთვის.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნიდან აკადემიაში სწავლება გაიარა 83-მა წარმომადგენელმა.
- „დამმოხილების“ პროექტის ყველა კომპონენტი წარმატებით განხორციელდა: შეიქმნა სტრატეგია, ხარისხის სახელმძღვანელო, სასწავლო კალენდარი, შემუშავდა ელექტრონული სწავლების პლატფორმა და ელექტრონული კურსები, ა.შ.
- ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები თემებზე: “IT აუდიტი” (13 მსმენელი), ადამიანური რესურსების მართვა (21 მსმენელი).
- აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებს დაესწრო 40 მონაწილე, 20-მდე სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი.

4.16 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების მომზადება და ჩატარება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება;
- თანამშრომლობის გაღმავება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;
- სასწავლო ცენტრის იმიჯის პოპულარიზაცია;
- სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის შევსება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ამაღლდა სასწავლო ცენტრის იმიჯი, შეიქმნა ცენტრის დამოუკიდებელი ვებ და ფეისბუქ გვერდები;
- შეიქმნა და წარმატებით განხორციელდა ახალი სასწავლო და უცხო ენის კურსები;
- შეივსო სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები უცხოელ პარტნიორებთან;
- სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების შედეგად საქართველოს საელჩოებსა და საკონსულოებში გაიგზავნა მაღალკვალიფიციური კადრები;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველო“ ფარგლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 600-მდე საჯარო მოხელემ;
- ხელი მოეწერა 7 ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- განხორციელდა 2 პროგრამა უცხოური დონორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით;

5 პრიორიტეტი – მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
24 01	ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია	98,106.6	90,810.0	97,625.6	91,405.1	6,220.5
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	142,427.3	38,044.0	137,150.6	38,042.8	99,107.7
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	25,190.0	25,190.0	25,122.5	25,122.5	0.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	33,218.5	30,873.5	32,957.4	30,869.0	2,088.3
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-მენახვა	9,574.3	9,500.0	8,932.8	8,863.9	69.0
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5,105.0	4,945.0	4,971.7	4,897.0	74.7
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	2,055.0	2,055.0	2,039.9	2,039.9	0.0
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	2,150.0	1,084.7	1,084.7	0.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,900.0	1,900.0	1,218.8	1,218.8	0.0
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	1,900.0	1,900.0	2,063.2	2,063.2	0.0
49 02	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	1,058.8	1,049.0	766.5	766.5	0.0
49 01	საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა	1,035.2	1,031.0	998.1	998.1	0.0
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,264.9	978.6	2,709.7	1,636.0	1,073.6
04 03	საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატი	690.4	690.4	690.4	690.4	0.0
04 04	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	501.9	501.9	501.9	501.9	0.0
52 01	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2,325.6	1,934.1	2,183.2	1,912.7	270.5
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	612.5	257.5	608.1	257.5	350.6

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებულ ი გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწი ნებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწი ნებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
23 06	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	24,094.2	0.0	19,835.8	0.0	19,835.8
62 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	4,199.0	0.0	4,018.9	0.0	4,018.9
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		358,409.2	213,810.0	345,479.9	212,370.2	133,109.8

5.1. ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო
- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

5.1.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები

- სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;
- საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია;
- არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითარება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების გაფორმება (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის);
- საქართველოს მიმართულებით გადაზიდული ტვირთების მოცულობისა და სამგზავრო გადაყვანების რაოდენობის გაზრდა;
- ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლება და მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარება;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საქართველოს სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- საქართველოს საჰაერო კანონმდებლობის მოყვანა ევროკავშირის სტანდარტებთან;
- საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადის და ტვირთნაკადის გაზრდა;
- სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება;
- ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ქსელების უზრუნველყოფა, ფუნქციონირების და ინფორმაციული რესურსების დაცვა ეროვნულ დონეზე.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მიმდინარეობდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების რეალიზება;
- 2015 წელს გაიმართა მოლაპარაკებების ორი რაუნდი საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით;
- გაფორმება 9 საერთაშორისო შეთანხმება და 14 შეთანხმება მომზადდა ხელმოსაწერად;

- გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიების მორიგი სხდომები 6 ქვეყანასთან;
- გაუმჯობესდა ექსპორტის სტრუქტურა;
- საინვესტიციო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი;
- პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული საინვესტიციო კლიმატის თაობაზე (განხორციელდა 77 ბიზნეს ვიზიტი საქართველოში), ხოლო დაინტერესებულ ინვესტორებს - კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებები და განხორციელდა პროექტების დამუშავება;
- 25-მდე კომპანიას გაეწია ინვესტორთა შემდგომი მომსახურება, გაიზარდა ინვესტორთა კმაყოფილება და რეინვესტიციის მაჩვენებელი და ასევე, საქართველოში დარეგისტრირებული უცხოური კომპანიების რაოდენობა;
- წარმატებით განხორციელდა 20 საინვესტიციო პროექტი;
- ამაღლდა ტრანსპორტის დარგის კონკურენტუნარიანობა, გაღრმავდა საერთაშორისო თანამშრომლობა და საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია;
- ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, მაუწყებლობის და საფოსტო კავშირის სფეროში მიმდინარეობდა ინოვაციური განვითარების პროცესი. გაიზარდა სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა რაოდენობა, განვითარდა კონკურენცია, გაუმჯობესდა არსებული და დაინერგა მომსახურების ახალი სახეობები.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- მაკროეკონომიკური მაჩვენებლები:
 - ✓ სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები - 2015 წელს მსოფლიოში არსებული მდგომარეობისა და რეგიონში მიმდინარე ნეგატიური პროცესების შედეგად, საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 13%-ით (შეადგინა 9 928 მლნ აშშ დოლარი), ექსპორტი - 23%-ით (შეადგინა 2 204 მლნ აშშ დოლარი), ხოლო იმპორტი - 10%-ით (შეადგინა 7 724 მლნ აშშ დოლარი). მიუხედავად საგარეო სავაჭრო ბრუნვის კლების ტენდენციისა, ევროკავშირთან შენარჩუნდა ზრდის ტენდენცია (ბრუნვა გაიზარდა 6%-ით, ექსპორტი - 4%-ით, ხოლო იმპორტი - 6%-ით) და 2015 წლის მონაცემებით ევროკავშირის წილმა სავაჭრო ბრუნვაში 6 პროცენტული პუნქტით მოიმატა და შეადგინა 32%, ხოლო დსთ-ს წილი შემცირდა 3-ით და შეადგინა 28%. ამავე პერიოდში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის წილი 22%-დან გაიზარდა 29%-მდე, ხოლო დსთ-ს წილი 51%-დან შემცირდა 38%-მდე;
- ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა და სიხშირე - 2015 წელს წარმატებით განხორციელდა 20 საინვესტიციო პროექტი, რაც 2014 წლის მაჩვენებლის ტოლია;
- სამშენებლო სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით გაიცა სულ 10 186 მშენებლობის ნებართვა, რაც წინა წელთან შედარებით მეტია 707-ით (მ. შ. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე - 60 ნებართვა, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია 4-ით), სარეკრაციო ტერიტორიებზე და

განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მოხდა 193 პროექტის კომისიური განხილვა;

- სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, მგზავრთნაკადებისა და ტვირთნაკადების რაოდენობა:
 - ✓ სამოქალაქო ავიაცია - 2015 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მიერ რეგულარული და ჩარტერული რეისების შედეგად გადაყვანილ იქნა 2,1 მლნ მგზავრი, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს აღემატება 13%-ით;
 - ✓ საქართველოს რკინიგზა - 2015 წელს საქართველოს რკინიგზით პირველად ბოლო წლების განმავლობაში გადაიზიდა ისეთი ახალი ტრანზიტული ტვირთები, როგორცაა ყაზახური მანქანები, უზბეკური ბამბა, თურქმენული გოგირდი, აზერბაიჯანული მეთანოლი. ახალი შეთანხმებების შედეგად უკვე დაიწყო უზბეკური და თურქმენული კარბამიდის გადაზიდვა. სადგურ ვალედან (რომლის რეაბილიტაცია განხორციელდა 2015 წელს) თურქეთის მიმართულებით გადაიზიდა ნახშირის მოცულობითი პარტია; ჩინეთიდან საქართველოს მიმართულებით რამოდენიმეჯერ განხორციელდა საკონტეინერო მატარებლით ტვირთების გადაზიდვა;
 - ✓ შავი ზღვის საზღვაო ტერმინალი (ყულევი) - 2015 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში გადამუშავებულმა ტვირთების რაოდენობამ შეადგინა 2.2 მლნ ტონა, რაც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17%-ით მეტია;
- მწვანე ბიზნესის სფეროში განხორციელებული საპილოტე პროექტების რაოდენობა - აღმოსავლეთ პარტნიორობის გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებების პანელის (EaP Panel on Environment and Climate Change) მიერ ინიცირებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-2 პლატფორმის „ეკონომიკური ინტეგრაცია და კონვერგენცია“ ფარგლებში დაიწყო მოქმედება პროექტმა „აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება“ (EaP Green); მიმდინარეობდა სამუშაოები დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS) შემუშავებასა და განხორციელებაზე. „წინასწარ განზრახული ეროვნული კონტრიბუციის“ (INDC) ხელმოწერის შემდეგ ამოქმედდება „მწვანე კლიმატის ფონდი“, რომელიც დაეხმარება ქვეყნებს სათბური გაზების ემისიების შემცირებაში;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოსადმი მინიჭებული რეიტინგები:
 - ✓ 2015 წლის შეფასებით საქართველოს რეიტინგი Frazer Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ 2013 წელთან შედარებით გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 7,83-იანი ქულით მე-12 ადგილი დაიკავა 157 ქვეყანას შორის (გაუმჯობესდა 0.05 პუნქტით);
 - ✓ მსოფლიო ბანკის „Doing Business-ის“ შეფასებით, ბიზნესის წარმოების სიმარტივის მხრივ 2015 წელს საქართველო 24-ე პოზიციაზე იმყოფებოდა 76.84 ქულით;
 - ✓ Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ 2016 წლის შეფასებით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუარესდა წინა წელთან შედარებით და მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 2016 წელს 72.6 ქულით 23-ე ადგილზე გადმოინაცვლა (2015 წელი - 22-ე

- პოზიცია) კვლავ „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის საქართველო იკავებს მე-12 ადგილს (2015 წელი - მე-11 ადგილი);
- ✓ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ 2015-2016 წლების შეფასებით, საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა 3 საფეხურით და იმყოფება 66-ე პოზიციაზე 4,22 სარეიტინგო ქულით (2014-2105 წლები - 69-ე ადგილი 4,22 ქულით);
 - ✓ საერთაშორისო გამჭირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ შეფასებით საქართველოს რეიტინგი 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, 2 ადგილით გაუმჯობესდა და 175 ქვეყანას შორის დაიკავა 48-ე პოზიცია 52 ქულით, ხოლო პირველი ადგილი - აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზიის რეგიონის 19 ქვეყანას შორის;
 - ✓ Moody’s Investors Service-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი Ba3 დაადასტურა, ხოლო პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურამდე გააუმჯობესა;
 - ✓ Fitch-მა დაადასტურა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი „BB -“, ხოლო პერსპექტივა პოზიტიურიდან სტაბილურით შეცვალა (2015წ.). საქართველოს რეიტინგის პერსპექტივის „პოზიტიურიდან“ „სტაბილურით“ ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკაზე საგარეო შოკების გავლენით, ექსპორტის შემცირებით და აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაუარესებით.

5.1.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ხარჯების შემცირება და მოგების გაზრდა;
- აქტივების ეფექტური მართვა;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გამარტივებული პროცესი;
- საწარმოების ოპტიმიზაცია, მათი რენტაბელობის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- განხორციელდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია;
- შესრულდა პრივატიზების სახელმწიფო გეგმა;
- შემცირდა სახელმწიფო უმოქმედო/არამომგებიანი საწარმოთა სია 94 ობიექტით;
- შეფასდა განსაკარგავად მომზადებული ყველა საპრივატიზაციო ობიექტი;
- სახელმწიფო ბიუჯეტში მოზილიზებულ იქნა სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღული თანხები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხული, კლასიფიცირებული და რეგისტრირებული ქონების რაოდენობა - საქართველოს მასშტაბით იდენტიფიცირებულია სულ 27 280 სახელმწიფო ქონება, მათ შორის: ქ. თბილისში - 863 ობიექტი, ხოლო რეგიონებში - 26 417 ობიექტი;
- პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა - სულ პრივატიზებულია 1 810 ობიექტი, მათ შორის ელექტრონული აუქციონის ფორმით -1 573 ობიექტი, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით - 237 ობიექტი;
- სახელმწიფოს მიერ მიღებული დივიდენდების მოცულობა - სახელმწიფოს მიერ მიღებულმა დივიდენდების მოცულობამ შეადგინა 0.4 მლნ ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატება 0.2 მლნ ლარით.
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისების რაოდენობა - სსიპ-სახელმწიფო ქონებისა და სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოების მიერ ერთობლივად შემუშავდა კონსოლიდირებული რეაგირების პორტალი (CRP), რომელშიც ჩაერთო კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები და ასევე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები; მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისების დელეგირება სსიპ - იუსტიციის სახლისათვის.

5.1.3 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- კომპანიების პერსონალის ცოდნის, უნარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლება;
- ბიზნესის განვითარება რეგიონებში;
- საწარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- ახალი ბიზნესების შექმნის წახალისება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება;
- ექსპორტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
- საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხრიდან განხორციელდა კერძო სექტორის მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების გზით;
- საქართველოს რეგიონებში დაიწყო მოქმედება მიკრო და მცირე მეწარმეობის წახალისების პროგრამამ, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა თანადაფინანსების გაცემა პროგრამის ბენეფიციარებისათვის;
- განხორციელდა ექსპორტის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი მწარმოებლებისათვის ახალი ბაზრების ათვისების დახმარების გზით;

- განახლებული ვებ-პორტალის www.tradewithgeorgia.com მეშვეობით, უცხოელ შემსყიდველებს და დაინტერესებულ პირებს მიეცათ ქართული პროდუქციის გაცნობის საშუალება;
- განვითარდა საერთაშორისო ურთიერთობები და ჩამოყალიბდა აქტიური თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან;
- გაფართოვდა „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამა კინონდუსტრიისა და სასტუმროების ინდუსტრიის კომპონენტების დამატების გზით და შემუშავდა ახალი კომპონენტების განვითარების მექანიზმები.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები

- ახლად დარეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა, საწარმოების და რეგიონებში ბიზნეს აქტივობის მაჩვენებელი, შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა:
 - ✓ 2015 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა 64 ხელშეკრულება; დამტკიცებული სესხების საერთო რაოდენობამ შეადგინა 97.3 მლნ ლარი, ხოლო მოსალოდნელმა ინვესტიციამ - 147.1 მლნ ლარი;
 - ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფილ იქნა წვდომა სალიზინგო მომსახურებაზე;
 - ✓ შემუშავდა მიკრო და მცირე მეწარმეობის წახალისების პროგრამის კონცეფცია. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 20.0 მლნ ლარი. პირველი რაუნდის დაფინანსების შედეგად, რომელიც სრულად დასრულდება 2016 წლის პირველ კვარტლში დაფინანსებული ბიზნეს-გეგმების რაოდენობა იქნება 1 140 (განმცხადებელის რაოდენობა - 1 700) და სავარაუდოდ დასაქმდება 2 300 ადამიანი;
- საერთაშორისო გამოფენებზე პროდუქციის წარდგენის შედეგად ექსპორტზე გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 70-მდე კომპანიამ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით საკუთარი პროდუქცია წარადგინა მსოფლიოს პრესტიჟულ გამოფენებსა და სავაჭრო მისიებზე, რასაც ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის კუთხით მოჰყვა პოზიტიური შედეგები.

5.1.4. საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა (პროგრამული კოდი 24 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- მიწისზედა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების საინფორმაციო ვაკუუმში მოქცევის საფრთხის აცილება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- 2015 წელს საქართველო გადავიდა ანალოგურიდან ციფრულ ღია საეთერო ტელემაუწყებლობაზე, რაც აისახა ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) ოფიციალურ ვებ გვერდზე;

- დასრულდა და დაიწყო სრულფასოვანი ფუნქციონირება სახელმწიფო ღია საეთერო სატელევიზიო ინფრასტრუქტურამ, რომელიც თავისი ქსელის საშუალებით ავრცელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამ პროგრამას;
- მოსახლეობას მიეწოდება კომერციული ტელევიზიების გადაცემები;
- 210 858 სოციალურად დაუცველი ოჯახი (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახები) უზრუნველყოფილ იქნა სუბსიდირებული სეთ-თოფ ბოქსებით და მოსახლეობისათვის დარიგებული სეთ-თოფ ბოქსების 0.4% ჩანაცვლდა ახალი აპარატურით.

მიღწეული შუალედური ინდიკატორები

- მიწისზედა ციფრული საეთერო მაუწყებლობით უზრუნველყოფილი აბონენტების რიცხვი - დასრულდა კომერციული ქსელური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ღია საეთერო ტელევიზია მიეწოდება ციფრული მაუწყებლობის საშუალებით. მიწისზედა ციფრული საეთერო მაუწყებლობის მიღების მიზნით, 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახი (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახები) უზრუნველყოფილია ციფრული მიწისზედა სიგნალის მიმღები სერტიფიცირებული აღჭურვილობით (ე.წ. სეთ-თოფ ბოქსებით).

5.1.5. საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ინვესტიციების მოცულობის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შეიქმნა სამრეწველო ინოვაციების 5 ლაბორატორია (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი და ქ. თბილისი), ინოვაციების ცენტრი ხარაგაულში (ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე) და ინოვაციების ლაბორატორია ქ. გორში (გორის უნივერსიტეტის ბაზაზე);
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომზადდა 53 ტრენერი და მათ მიერ გადამზადდა 613 სპეციალისტი;
- სააგენტოს მიერ ან/და მხარდაჭერით ჩატარდა 50-მდე ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია და კონკურსი, რომელთა მიზანს წარმოადგენდა საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება და ასევე, საქართველოს მოსახლეობაში ინოვაციური აზროვნების, ტექნოლოგიების სფეროში უნარ-ჩვევების განვითარების და ინოვაციური იდეების გენერირების ხელშეწყობა;
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე სტარტაპების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდა ტრენინგები ბიზნესის სტრატეგიული განვითარების, ინვესტიციების მოძიებისა და გლობალურ ბაზრებზე შეღწევის შესახებ;
- „ინოვაციებისა და ინიციატივების მართვა“ ტრენინგის ფარგლებში მომზადდა 70 ახალგაზრდა;

- მოეწყო 8 სტარტაპის საკუთარი ბიზნესის წარდგენა საერთაშორისო გამოფენებსა და კონფერენციებზე;
- სააგენტოს ორგანიზებით/მხარდაჭერით ჩატარებულ კონკურსებში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში განხორციელებადი ბიზნეს იდეების მქონე 200-მდე სტარტაპი.

მიღწეული შუალედური ინდიკატორები

- შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში შეიქმნა დაახლოებით 214 ახალი სამუშაო ადგილი, საიდანაც: „დაიწყე ბიზნესი FabLab-თან ერთად“ პროექტის ფარგლებში 120-მდე ადგილი, ახლად შექმნილ ლაბორატორიებში 30-მდე ადგილი, საგრანტო პროექტის ფარგლებში 34 ადგილი და „ტრენერთა მოსამზადებელი პროგრამის“ კურსდამთავრებულთათვის 30 ადგილი.

5.2. შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – შემოსავლების სამსახური

დასახული საბოლოო შედეგი:

- გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის ელექტრონული მომსახურების განვითარება და შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება;
- საგადასახადო დავების მექანიზმების დახვეწა და მედიაციის საბჭოს ფუნქციონირების გაუმჯობესება;
- საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მაღალი საჯაროობა და გადამხდელთა ინფორმირებულობა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- ელექტრონული მომსახურების განვითარებითა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად, გაუმჯობესდა გადამხდელთა მომსახურების პროცესი;
- გამარტივდა საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი;
- დაიხვეწა საგადასახადო დავების მექანიზმები და გაუმჯობესდა მედიაციის საბჭოს ფუნქციონირება;
- უზრუნველყოფილია საგადასახადო საკითხების საჯაროობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ელექტრონული მომსახურების სერვისების სასწავლო გარემოს ეტაპობრივი მოწყობის (6 ეტაპი) განხორციელებული 4 ეტაპი;
- საგადასახადო და საბაჟო მომსახურების მიმართულებით შეიქმნა და დაინერგა ორი ახალი პროგრამა და ორი მოდული, შშმ პირებისათვის განხორციელდა საიტის (rs.ge) ადაპტირება;
- გადამხდელთა მომსახურების ორ ყველაზე დიდ ობიექტზე (ვაკე-საბურთალოს სერვის-ცენტრი და სგპ „თბილისი“) დაინერგა მომსახურების ახალი მოდელები (საქონლის წინასწარი დეკლარირების პროცედურის კიდევ უფრო გამარტივება და ყვითელი დერეფნის ზონაში მოხვედრილი საქონლის პროცედურების გამარტივება);

- თამბაქოს მწარმოებლებისათვის და იმპორტიორებისათვის შეფუთვის მოცულობა შემცირდა 10-ჯერ;
- საბაჟო და საგადასახადო მიმართულებით ტრენინგი გაიარა 496 თანამშრომელმა;
- საგადასახადო დავები შემცირებულია დაახლოებით 20%-ით.

5.3 სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, რაც საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის საშინაო წყაროებით დაფინანსების საშუალებას მოგვცემს;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მართვის გაუმჯობესება;
- საბიუჯეტო პროცესისა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობის ზრდა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება და ანგარიშების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დამატებითი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო ვალის პორტფელი ინარჩუნებს ხელსაყრელ ფინანსურ პარამეტრებს, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის მდგრადობას. სახელმწიფო ვალი აკმაყოფილებს ვალის მდგრადობის ძირითად ინდიკატორებს;
- ჩატარდა ფასიანი ქაღალდების აუქციონები;
- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე სრულად გადმოვიდა ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემაში სრულად მოექცა ადგილობრივი თვითმმართველობები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. აღნიშნული სუბიექტების შემოსულობების და გადასახდელების, ასევე ფულადი სახსრების ეფექტურად მართვის კუთხით ამოქმედდა PFMS-ის ახალი მოდულები და შეიქმნა სხვადასხვა ტიპის რეპორტები;
- პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებების ინიცირება და გაფორმება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფო ვალმა წინასწარ ნომინალური მშპ-სთან მიმართებაში 41.5% შეადგინა, სახელმწიფო საგარეო ვალმა - 32.6%. იანვარ-დეკემბერში მთავრობის საგარეო ვალის მომსახურებამ ბიუჯეტის შემოსავლების წინასწარ მონაცემებთან მიმართებაში 6.1% შეადგინა;

- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების შეფასებები („Standard & Poor’s“ და „Fitch“ „BB-“ სტაბილური რეიტინგი, „Moody’s“ - „Ba3“ პოზიტიური რეიტინგი);
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება;
- ჩატარებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 36 აუქციონი, გამოშვებული იყო 843.0 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;
- ძალაში შესული შეთანხმება შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ბელარუსის რესპუბლიკასთან, პორტუგალიასა და ისლანდიასთან.

5.4 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესის უზრუნველყოფა და გეგმის მიხედვით განვითარება;
- ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება, მათი სხვადასხვა რესურსებზე წვდომის უფლებების განსაზღვრა, კონტროლი და მონიტორინგი, მომხმარებელთა სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენების ოპტიმიზაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან.
- უზრუნველყოფილია: ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირებული.

განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი.

- ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ.
- დაინერგა და განვითარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისები, ვებპროდუქტები და ვებსერვისები, ელექტრონული მმართველობის კომპონენტები, სხვა ახალი ტექნიკური სისტემები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან;
- ელექტრონული ბიუჯეტის სისტემის (eBudget) რეფორმის ფარგლებში ხარვეზების 80% აღმოფხვრილ იქნა;
- შემუშავებული და დანერგილი ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე, ვებ-პროდუქტების, ელექტრონული სერვისების, სხვა ტიპის ტექნიკური სისტემების ზოგადი მაჩვენებლები;
- საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი.

5.5. სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება; მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევები; ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოები; შემუშავდა მეთოდოლოგიური სტანდარტები; განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიური და პროგრამული სისტემები, განახლდა ოფისები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, შესრულდა დასახული ამოცანები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პერიოდულობის 100-ზე მეტი კვლევა.
- შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა და ეფექტიანობა.

5.6. მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა პროგრამული დამუშავება, პირველადი შედეგების გამოქვეყნება, სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დასრულდა მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერა, მიღებული და გამოქვეყნებული იქნა პირველადი შედეგები, ეტაპობრივად მუშავდება მონაცემთა ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგი გამოყენებული იქნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრისთვის.
- ექსპერტული შეფასებები გაეროსგან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

5.8. სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- კვლევების შედეგად მიღებულ იქნა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაანგარიშდა ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაანგარიშდა: მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) მონაცემები, ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლები, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი; სხვადასხვა სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მოცულობა;
- გავრცელდა: ტურიზმის კვლევის, შინამეურნეობებისა და სოციალური სტატისტიკის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები;
- განხორციელდა სამომხმარებლო კალათის დადგენისთვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა;
- მიღებული იქნა, როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად;
- ექსპერტული შეფასებები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

5.10. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სათანადო დონეზე შენარჩუნება და ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორების განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ქიმიურ სექტორში მოღვაწე მსოფლიოს ერთ-ერთმა ლიდერმა კომპანია „Henkel“-მა დაიწყო გარდაბნის მუნიციპალიტეტში წებოცემენტის საწარმოს აშენება, რომელიც გაიხსნება 2016 წლის პირველ ნახევარში;
- ბრიტანული ინვესტიციით შექმნილმა კომპანია „ქეი ბი ფი თბილისმა“ შეიძინა წყალტუბოში მდებარე შენობა (ყოფილი „მეშახტე“) და დაიწყო 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს და კაზინოს მშენებლობა (დამთავრდება 2017 წელს);
- ლოჯისტიკურმა კომპანიამ „Marpro Logistic“ (აზერბაიჯანი, თურქეთი, გაერთიანებული ემირატები) საქართველოში საქართველოში საგზაო ტვირთების გადამზიდავი ტრანსპორტის ლოჯისტიკური ცენტრის შექმნის მიზნით, შეარჩია მიწის ნაკვეთი ქ. ფოთში და უკვე განახორციელა დანადგარები/მოწყობილობების ფოთის პორტში ჩამოტანა;
- სამხრეთ კორეულმა კომპანიამ „WONIL Co“ იყიდა ქ.თბილისში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა, სადაც აშენდება 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო და ტერიტორიის ნაწილზე განთავსდება მაღალი კლასის კომერციული ცენტრი საოფისე ფართებისთვის;
- აზერბაიჯანული ინვესტიციით შექმნილმა კომპანია „ნიუ პლასტმა“ დაამთავრა პლასტმასის საწარმოს აშენება, რომელიც აწარმოებს პლასტმასის მილებსა და შეკიდულ ჭერს;
- უკრაინულმა კომპანია „REC“-მა ამბროლაურში შეიძინა სასტუმრო და მიწის ნაკვეთი რძის პროდუქტების საშუალო ზომის ფერმის შესაქმნელად;
- ინდურ კომპანიამ „Tata Group IFC“ ნორვეგიულ კომპანიებთან („Norsk Mineral“ და „Clean Energy“) ერთად გააგრძელა მდინარე აჭარისწყალზე მდებარე ჰიდროელექტროსადგურების ინვესტირება და ხელი მოაწერა კორომხეთის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის დაწყებას.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა - სააგენტოს უშუალო მონაწილეობით განხორციელდა 157.5 მლნ დოლარის ინვესტირების ხელშეწყობა, რაც 2014 წლის მაჩვენებელს აღემატება 65,8 მლნ დოლარით.

5.12 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სფეროებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი მიკვლევადი ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარება, როგორც გაზომვების ახალ მიმართულებებში, ასევე უკვე საერთაშორისოდ აღიარებულ ლაბორატორიებში (მასა, ელექტროობა და ტემპერატურა);
- საქართველოში ჩატარებული გაზომვების შედეგების და დაკალიბრების სერტიფიკატების საერთაშორისო დონეზე აღიარება;

- საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი ექსპორტის გაზრდა;
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების რაოდენობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მნიშვნელოვნად გაიზარდა სააგენტოს შესაძლებლობები მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული სერვისების მიწოდებისა და საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე კომპანიებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, რომელიც ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს ხელს უწყობს ხარჯების შემცირებასა და წარმოებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში;
- გაფართოვდა შეთავაზებული მომსახურების სფეროები და მიმართულებები სააგენტოს მიერ დაინტერესებული მხარეებისათვის;
- გაიზარდა საქართველოს სტანდარტად რეგისტრირებული საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების რაოდენობა, განახლდა სტანდარტების მონაცემთა ბაზა და გაუმჯობესდა სტანდარტების გავრცელების სფერო ელექტონული საშუალებების გამოყენების გზით. სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსდა ISO-ს ახალი ონლაინ მაღაზია (<http://geostm.isolutions.iso.org/geostm>);
- განახლდა სააგენტოს ეტალონური ბაზა და განხორციელდა ტექნიკური აღჭურვილობის მოდერნიზაცია;
- ამაღლდა სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოში სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების რაოდენობა - 2015 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 1 737 სტანდარტი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 733 სტანდარტით;
- სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში სააგენტოს მონაწილეობა - სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (BIPM, ISO, IEC, CEN/CENELEC, COOMET) ეგიდით გამართულ ღონისძიებებსა და საქმიანობაში: ტექნიკური კომიტეტების შეხვედრებში, გენერალურ ასამბლეაში, სემინარებსა და ტრენინგებში, ასევე ეტალონების საერთაშორისო შედარებებში და სხვა;
- თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიების რაოდენობა - განხორციელდა სააგენტოს ლაბორატორიული, ადმინისტრაციული ფართების და დამხმარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის რენოვაცია. რადიოფიზიკის, ოპტიკის, აკუსტიკისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილებების ლაბორატორიები განთავსდა განახლებულ სათავსებში;
- საქართველოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში ხარისხის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო აღიარება - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ ზომისა და წონის სფეროებში გაცემულმა დაკალიბრების და გაზომვების სერთიფიკატებმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება; ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მიერ სააგენტოს მიეცა CMC მონაცემებით დაფარულ სფეროებში (ელექტრობა, მასა და ტემპერატურული გაზომვები) გაცემულ დაკალიბრებისა და გაზომვის სერტიფიკატებზე ურთიერთაღიარების შეთანხმების (CIPM MRA) ლოგოს დატანის უფლება;

5.14. აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ცენტრის საქმიანობის (აკრედიტაციის მენეჯმენტის წესები, პროცედურები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა) სწრაფი დაახლოვება EA-ის, ILAC-ის, IAF-ის მოთხოვნებთან;
- საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისათვის ტექნიკური ბარიერების შემცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აკრედიტაციის სისტემაში ამოქმედდა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები და აკრედიტაციის პროცესი წარიმართა საერთაშორისო განახლებული სტანდარტების შესაბამისად;
- აკრედიტაციის წამყვანმა შემფასებლებმა, მოწვეულმა ტექნიკურმა შემფასებლებმა და ექსპერტებმა გაიარეს ტრენინგები განახლებული სტანდარტების შესაბამისად;
- ევროკავშირის CIB პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა პროექტი „აკრედიტაციის სისტემის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა; ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აკრედიტაციის მენეჯმენტის წესების, პროცედურების და ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ჰარმონიზაცია EA-ის, ILAC-ის, IAF-ის მოთხოვნებთან - აკრედიტაციის ცენტრმა აკრედიტაციის სისტემაში განახორციელა განახლებული საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია და ასევე, ბაზარს შესთავაზა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები; განხორციელდა ტრენინგები/სწავლებები მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისათვის ახალი და განახლებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ასევე, მიმდინარეობდა აკრედიტაციით დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების შესახებ;
- EA-ს მიერ ჩატარებული აკრედიტაციის ცენტრის კოლეგიალური შეფასება - აკრედიტაციის ცენტრის წინასწარი კოლეგიალური შეფასების დადებითი შედეგებიდან გამომდინარე, EA-ს შემფასებელთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება აკრედიტაციის ცენტრის შეფასების გაგრძელების თაობაზე, აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით;
- აკრედიტებულ პირთა (საგამოცდო ლაბორატორიები, საკალიბრო ლაბორატორიები, სერტიფიკაციის ორგანოები, ინსპექტირების ორგანოები) რაოდენობა კანონმდებლობით რეგულირებულ და ნებაყოფლობით სფეროებში - აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტებულ იქნა 36 შესაბამისობის შემფასებელი პირი. გეგმური მონიტორინგი გაიარა 88-მა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა.

6. პრიორიტეტი – ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	45,091.0	45,091.0	41,740.9	41,740.9	0.0
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	22,497.3	22,497.3	22,344.8	22,344.8	0.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	12,813.0	12,813.0	12,859.4	12,859.4	0.0
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	12,261.5	12,261.5	12,152.0	12,152.0	0.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	12,123.7	12,123.7	11,259.3	11,259.3	0.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	9,189.7	9,189.7	9,133.5	9,133.5	0.0
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	33,635.4	33,635.4	33,490.5	33,490.5	0.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	13,638.5	7,700.0	12,726.8	7,629.4	5,097.3
26 08	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	51,740.8	6,222.9	52,797.2	9,740.6	43,056.6
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,500.0	4,500.0	4,387.0	4,387.0	0.0
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი)	3,950.0	3,950.0	5,300.1	5,300.1	0.0
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,735.0	3,735.0	3,729.0	3,729.0	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	4,969.9	2,442.0	4,876.3	2,441.7	2,434.6
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,841.9	2,359.9	2,690.2	2,332.7	357.5
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,205.0	2,205.0	2,154.0	2,154.0	0.0
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	1,394.7	1,394.7	1,386.3	1,386.3	0.0
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	1,300.0	1,273.5	1,273.5	0.0
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,165.0	1,165.0	1,061.2	1,061.2	0.0
26 14	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	1,169.0	1,169.0	0.0	0.0	0.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1,000.0	1,000.0	896.5	896.5	0.0
26 10	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,987.7	387.7	2,576.0	384.4	2,191.5
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებში, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	900.0	900.0	853.1	853.1	0.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ	800.0	800.0	799.1	799.1	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
	ქუთაისის მუნიციპალიტეტში					
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	668.8	668.8	0.0
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	723.0	723.0	688.0	688.0	0.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	631.9	631.9	0.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	676.2	676.2	0.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	506.5	506.5	0.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	637.6	637.6	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინ ებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინე ბული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	645.0	645.0	609.2	609.2	0.0
26 09	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	33,016.9	500.0	28,168.6	496.6	27,672.0
26 11	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	53,152.2	0.0	44,173.1	0.0	44,173.1
26 13	სანოტარო მომსახურების ხელშეწყობა და განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	1,800.1	152.2	716.1	114.8	601.3
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		339,696.2	194,312.9	317,962.7	192,378.7	125,584.0

6.3. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია,
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მრავალპარტიული გარემოს შენარჩუნება;
- კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის შექმნა;
- არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები უზრუნველყოფილი იქნენ ფინანსური მხარდაჭერით;
- ფინანსური მხარდაჭერა გაეწია საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიას.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად დაფინანსდა 11 პოლიტიკური პარტია;
- 2014 წელთან შედარებით 2015 წელს დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა გაზრდილია 5%-ით.

6.5. სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის წლიური ანგარიში, სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განახლება, თანამედროვე საერთაშორისო პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი განახლებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ პროექტი;
- მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების შესახებ ანგარიში და აღსრულების სტრატეგიის შემუშავება;
- შემუშავებული ცვლილებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, შრომის კანონმდებლობაში ქალთა უფლებების გაზრდის, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის, „ინფორმაციის თავისუფლების“ კანონის პროექტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“

კანონის, ახალი „აღსრულების კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიმართულებით;

- ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდა და გაძლიერება, მისი წლიური ანგარიშისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ახალი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები;
- ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებისა და 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის სტრატეგიის განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დამტკიცებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის ანგარიში, განახლებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად განახლებული სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი;
- შედარებით-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტი, პარლამენტის მიერ მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, განახლებული არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტი, მომზადებული აღსრულების კოდექსის ახალი პროექტი თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში;
- დამტკიცებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებული ეროვნული სტრატეგია და 2015-2016 წლების ახალი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული ანტიკორუფციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგია;
- 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის პირველი ექვსი თვის პროგრესის შესახებ ანგარიში, ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის გაზრდის და საბჭოს გაძლიერების მიზნით მომზადებული წინადადებები;
- „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების შუალედური ანგარიში, რომელიც წარედგინა „ღია მმართველობის პარტნიორობას“;
- ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანილი 20-ზე მეტი ნორმატიული აქტის პროექტი;
- შემუშავებული საკორპორაციო სამართლის სფეროს გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

მიღწეული საბოლოო შედეგების ინდიკატორები:

- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2014 წლის პროგრესის ანგარიში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ

დამტკიცდა. განახლდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები თითქმის ყველა მიმართულებით;

- გაიმართა ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად განახლებული სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის პრეზენტაცია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი მომზადდა ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით;
- 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის პირველი ექვსი თვის პროგრესის შესახებ მომზადდა ანგარიში და შედგა პრეზენტაცია ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე.

6.6 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ცენტრალიზაციას დაქვემდებარებული 47 ადგილობრივი არქივი;
- მოქალაქეთა მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრების განახლება-დახვეწა;
- საარქივო სერვისებზე მაღალი ხელმისაწვდომობა;
- დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა;
- საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე გადატანა;
- საარქივო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგების წარმოება;
- სათანადო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ოთხი რეგიონული და ერთი ცენტრალური არქივი;
- დოკუმენტების სათანადო პირობებში შენახვისათვის არსებული და ახალი დამატებითი საცავების მოწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია;
- განახლდა და დაიხვეწა მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული პროგრამა და დაფიქსირდა საარქივო სერვისით კმაყოფილ მოქალაქეთა პროცენტულად მაღალი მაჩვენებელი;
- განხორციელდა ელექტრონულ მატარებლებზე დოკუმენტების შენახვა და საარქივო დოკუმენტების ციფრული ასლებისათვის ელექტრონული კატალოგის წარმოება;
- ეროვნული არქივის ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში დასრულდა რეგიონული არქივის შენობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა. დაიწყო ერთი ცენტრალური არქივის სამშენებლო სამუშაოები;

- დოკუმენტების სათანადო პირობებში შენახვისათვის განხორციელდა არსებული და ახალი დამატებითი საცავების მოწყობა, მათ შორის, კონდიციონერ-ვენტილაციის, ხანძარქრობისა და დაცვის სისტემების დეტექციის მონტაჟი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაიხსნა არქივის 8 ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში;
- გაცემული ცნობების რაოდენობა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 16%-ით და სერვისით კმაყოფილია მოქალაქეთა 85%;
- ციფრულ მატარებელზე გადატანილ იქნა ეროვნული საარქივო ფონდის საარქივო დოკუმენტების 865 ათას გვერდზე მეტი; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საარქივო დოკუმენტების – 1 420 ათას გვერდზე მეტი, ხოლო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური ფონდის – 188 ათას ფაილზე მეტი;
- ელექტრონულად შენახულ იქნა 8 455 ერთეული ფოტოდოკუმენტი, 386 ერთეული კინოდოკუმენტი და 24 ერთეული აუდიოკომპაქტდისკი;
- აშენდა და გაიხსნა თანამედროვე კონდიციონერ-ვენტილაციისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე სისტემებით აღჭურვილი ორი რეგიონული არქივი (კახეთი, ქვემო ქართლი); დასრულდა სამეგრელოს რეგიონული არქივის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა თბილისში მდებარე სამი ცენტრალური არქივის (უახლესი ისტორიის, საისტორიო არქივისა და კინოფოტოფონოარქივების) ხანძარქრობის ავტომატური სისტემების სამონტაჟო სამუშაოები, ხოლო ახალი რეგიონული არქივის შენობებში მოეწყო ახალი საცავები (თელავის არქივში საცავების მთლიანი ფართი – 1 275 კვ. მ, რუსთავის რეგიონულ არქივში საცავების მთლიანი ფართი – 975 კვ. მ, ზუგდიდის რეგიონულ არქივში საცავების მთლიანი ფართი – 1 100 კვ. მ).

6.7 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- გაზრდილი ხელმისაწვდომობა სააგენტოსა და სხვა უწყებების სერვისებზე ადგილობრივ დონეზე; თვითმმართველობის ორგანოების გაზრდილი წვდომა საჭირო ინფორმაციაზე, დარეგულირებული და სტანდარტიზებული პროცედურები, დანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა; 7 საპილოტე მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული მმართველობის სისტემა;
- მოსახლეობის რეესტრის გაუმჯობესებული ხარისხი, მაქსიმალურად სრულყოფილი პოტენციურ საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირთა სია, გამარტივებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პროცესი, შემცირებული დოკუმენტების გაცემისას შეცდომების რაოდენობა, ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრირებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ამაღლებული მოსახლეობის

რეესტრში დაცული მონაცემების ვალიდურობის ხარისხი, მოსახლეობის განსახლების სწორი ინფორმაციის არსებობა, მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზებით გამოწვეული შეფერხებისა და ინციდენტების შემცირებული რაოდენობა, სერვისის უწყვეტობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

- შექმნილი ციფრული შტამპის მომსახურების სისტემა და მისი უტყუარობის გადამოწმების სერვისი, საკანონმდებლო დონეზე ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის გამოყენების პროცედურული და საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა, დამტკიცება და პრაქტიკაში გამოყენება;
- დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემის განვითარება და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში არსებული ყველა მომსახურების ეტაპობრივად გადასვლა დისტანციურ ფორმაზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქის ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების აუთენტურობის შემოწმება; ქართული სამგზავრო დოკუმენტების მიმართ გაზრდილი ნდობა საერთაშორისო საზოგადოებაში; მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აშენებული და აღჭურვილი საზოგადოებრივი ცენტრები; ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ამაღლებული ხარისხი საზოგადოებრივი ცენტრების თანამედროვე ინფრასტრუქტურის პლატფორმაზე; ადგილობრივ თვითმმართველობებში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; რეგიონებში ამოქმედებული ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრები;
- დაზუსტებული მოსახლეობის საცხოვრებელი მისამართები და სააგენტოს სისტემაში დანერგილი მისამართების ახალი რეესტრი; პოტენციურ ამომრჩეველთა სიიდან ამორიცხული გარდაცვლილი და გაორებული ჩანაწერების მქონე პირები; შეცვლილი უხარისხო ფოტოსურათები; დიגיტალიზებული სამოქალაქო აქტები; აღმოფხვრილი მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზები; დანერგილი მონაცემთა კარგვის მონიტორინგის (DLP) სისტემა; სერვისის უწყვეტობის გაზრდილი ხარისხი;
- შექმნილი ციფრული შტამპის პორტალის საპილოტე ვერსია; საკანონმდებლო ცვლილებები ელექტრონული ხელმოწერის განვითარების მიზნით;
- განვითარებული დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემა, სააგენტოს ელექტრონული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და მათი ხელმისაწვდომობა;
- გაუმჯობესებული მიგრაციის მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნებთან;
- შექმნილი დიპლომატიური ბარათების დამუშავების, გაცემისა და მართვის უსაფრთხო სისტემა;
- სააგენტოსა და სხვადასხვა უწყებას შორის (აღსრულების ეროვნული ბიურო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო) ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული ფორმით;
- დანერგილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის სერვისი;
- ელექტრონული პირადობის მოწმობითა და ბიომეტრიული პასპორტით მოსარგებლე მოქალაქეთა გაზრდილი რაოდენობა;
- ქორწინების სახლებისა და ტერიტორიული სამსახურების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აშენდა და გაიხსნა 10 საზოგადოებრივი ცენტრი; საზოგადოებრივი ცენტრების მიერ გაიცა 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისი; 5 საპილოტე მუნიციპალიტეტში (ახმეტა, ყვარელი, ქარელი, ხობი და ხაშური) დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; 32 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრი მოემსახურა 700-ზე მეტ სოფელს;
- დაზუსტდა და სააგენტოს სისტემაში დაინერგა 18 ქალაქის მისამართების ახალი რეესტრი; გასწორდა 285 გაორებული ჩანაწერი; შედგა 187 გარდაცვალების ოქმი; 374 მოქალაქეს დაუმზადდა პირადობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი, ხოლო 104 მოქალაქეს მიეცა ფოტოსურათის (პირადობის მოწმობის აღების გარეშე) გადაღებისა და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში განთავსების შესაძლებლობა; მოძიებულ იქნა 483 მოქალაქის ფოტო; ციფრულ ფორმატში გადაყვანილ იქნა 1 142 341 აქტი; აღმოიფხვრა იდენტიფიცირებული ხარვეზების 70%; მონაცემთა კარგვის მონიტორინგის (DLP) სისტემა დაინერგა მომხმარებელთა 95%-თან; მონაცემთა ბაზების ინფრასტრუქტურის დაზიანების ხარისხის შესაბამისად, სერვისების მიწოდება აღდგება 2 წთ-დან 2 სთ-მდე დროის ინტერვალში;
- შემუშავდა ციფრული შტამპის ადმინისტრირების პორტალის საწყობის ფუნქციონალი, კანონპროექტი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“.
- შეიქმნა 13 დისტანციური სერვისი; ყველა დისტანციური სერვისის 5%-ის მიღება განხორციელდა მომხმარებლის დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემით; დისტანციური სერვისით ისარგებლა 20-ზე მეტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა;
- აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიეწოდა ინფორმაცია 150-მდე ადმინისტრაციული ჯარიმის შესახებ;
- შეიქმნა სააგენტოსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის სერვისი;
- დოკუმენტების დაზღვევაზე მიღებულ იქნა 1 483 განაცხადი;
- აქციის ფარგლებში გაიცა 440 844 პირადობის ელექტრონული მოწმობა და 19 789 საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი;
- გარემონტდა 2 ქორწინების სახლი (ბათუმი, სიღნაღი) და 2 ტერიტორიული სამსახური (ასპინძა, ხარაგაული).

6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;

- თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;
- სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვის უფლებათა ცენტრი, ტოლერანტობის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;
- სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის შექმნა;
- ცხელი ხაზის ამოქმედება;
- ადამიანის უფლებათა აკადემიის დაფუძნება და ტრენინგების ჩატარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აღმოჩენილი და დაფიქსირებული ადამიანის უფლებების დარღვევები;
- საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად გატარებული პრევენცია;
- ყველა ტიპის დახურულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგი (გეგმიური - არაგეგმიური);
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის შექმნა;
- ცხელი ხაზის ამოქმედება;
- ადამიანის უფლებათა აკადემიის გახსნა და ტრენინგების ჩატარება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შემოწმების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით 15 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა 54 ვიზიტი – მონახულებულ იქნა 3300 პატიმარი; რელიგიური კონფესიების ბავშვთა სახლებში განხორციელდა 7 ვიზიტი – მონახულებულ იქნა 200 ბავშვი; ხანდაზმულთა პანსიონატებში განხორციელდა 7 ვიზიტი – მონახულებულ იქნა 150 ბენეფიციარი. 1 ვიზიტი განხორციელდა შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში – მონახულებულ იქნა 18 პირი. ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში დეპორტირებული 35 მიგრანტის დაბრუნების პროცესზე დასაკვირვებლად განხორციელდა 1 ვიზიტი.
- მონიტორინგი განხორციელდა 30 დროებითი მოთავსების ობოლატორსა და 59 პოლიციის სამმართველოში – მონახულებული იქნა 54 დაკავებული. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში განხორციელდა 1 ვიზიტი – მონახულებულ იქნა 25 პატიმარი. სამხედრო ნაწილში განხორციელდა 1 ვიზიტი – მონახულებულ იქნა 35 ჯარისკაცი. 2 ჰაუპტვახტებში განხორციელდა 2 ვიზიტი – მონახულებულ იქნა 1

ჯარისკაცი. 12 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელებული 18 ვიზიტის დროს მონახულებულ იქნა 661 პაციენტი.

- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 8517 განცხადება, აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 7068 განცხადება. განცხადებები სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 16 განცხადება; სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 680 განცხადება; სისხლის სამართლის მართლსაჯულების დეპარტამენტი – 3214 განცხადება; რეგიონული სამმართველო – 2186 განცხადება; ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი – 382 განცხადება; გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 155 განცხადება; შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 186 განცხადება; ანალიტიკური დეპარტამენტი – 52 განცხადება; თანასწორობის დეპარტამენტი – 155 განცხადება; თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი – 53 განცხადება.

6.10. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურებაზე აყვანა, მომსახურების მიმღები დაწესებულებების ინფრასტრუქტურული ტექნიკის შეძენისა და მათ მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯების შემცირება;
- სისტემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცულობის დონის გაზრდა;
- IT სერვისის მიწოდების ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვა „Cloud Computing“-ის „IaaS“ მოდელის გამოყენებით;
- დანახარჯების კონტროლისა და ანგარიშსწორების მარტივი მექანიზმები; სისხლის სამართლის საქმეთა ავტომატიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში ახალი ორგანიზაციების ჩართვისთვის მოდულების შექმნა და სისტემაში ჩართვის განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომსახურებაზე აყვანილი სახელმწიფო სტრუქტურების გაზრდილი რაოდენობა;
- მომსახურების მიმღები დაწესებულებების ინფრასტრუქტურული ტექნიკის შეძენისა და მათ მხარდაჭერაზე შემცირებული გაწეული დანახარჯები;
- გაზრდილი სისტემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცულობის დონე;
- დანერგილი IT სერვისის მიწოდების ახალი, თანამედროვე ტექნოლოგია „Cloud Computing“-ის IaaS მოდელის გამოყენებით;
- დანახარჯების კონტროლისა და ანგარიშსწორების მარტივი მექანიზმი.

მიღწეული საბოლოო შეფასების ინდიკატორები:

- მომსახურებაზე აყვანილია 34 სახელმწიფო სტრუქტურა, მომხმარებელთა ჯამური რაოდენობით – 4 968;
- მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციების პოტენციური დანახარჯები შემცირდა საშუალოდ 30%-ით;

- მომსახურების მიმღები დაწესებულებების სისტემებზე არასანქცირებული წვდომისა და ვებგვერდების გატეხვა განულებულია;
- მომხმარებლების კაპიტალური დანახარჯები გადავიდა საოპერაციო დანახარჯებზე;
- შეიქმნა Billing სისტემა – მომხმარებლის მიერ გამოყენებული სიმძლავრეების მიხედვით ანგარიშსწორების სისტემა.

6.11. ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული ის სახელმწიფო ორგანიზაციები და მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურა, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონული სერვისების მიწოდებას;
- სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისების (მათ შორის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ელექტრონული სერვისები) ხელმისაწვდომობის ზრდა მოქალაქის პორტალის მეშვეობით;
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის გაშვება და მისი მოქმედების არეალის ზრდა;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემაში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებები და შესაბამისად გაზრდილი დოკუმენტბრუნვა;
- მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ზრდა;
- ღია მონაცემების იდენტიფიკაციის, შეგროვების, გამოქვეყნებისა და შეფასების ადმინისტრაციული მექანიზმისა და შესაბამისი პროცედურების შექმნა. ღია მონაცემების პორტალის შემუშავება;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში; მსხვილ სახელმწიფო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში ინციდენტების გამოვლენის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული სახელმწიფო ორგანიზაციების რაოდენობა; მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში წინა წელთან შედარებით 6-ჯერ გაზრდილი ტრანზაქციების ჯამური რაოდენობა;
- მოქალაქის პორტალზე სრულად რეალიზებული მოქალაქის ფუნქციონალი, ინტეგრირებული ახალი სერვისები;
- განახლებული ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის განვითარების პროცესი. იმპორტის პარალელურად დაიწყო ექსპორტის პროცესების სრული ავტომატიცაზია;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული ახალი სუბიექტები, გაზრდილი დოკუმენტბრუნვა;
- სახელმწიფო დაწესებულებებიდან ღია მონაცემების პორტალზე (data.gov.ge) გამოქვეყნებული მონაცემები. შემუშავებული პორტალის განვითარების პროექტი და დეტალური სამოქმედო გეგმა;

- დაწესებულია ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2015 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დამატებით ჩაერთო 26 ახალი ორგანიზაცია. ამ პერიოდში ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ გადააჭარბა 55 მილიონს;
- მოქალაქის პორტალზე არსებული სახელმწიფო სერვისებიდან ინტეგრირებულია 56 სერვისი. ასევე, თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს, პორტალიდან გადაიხადოს 80-მდე კომუნალური და სხვა სახის გადასახადი. სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნის სერვისით „My.gov.ge“-ს მეშვეობით 2015 წელს სახელმწიფო დაწესებულებებში გაგზავნილია 584 წერილი;
- ჩატარდა ექსპედიტორების ტრენინგი ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის გამოყენებაში, რომელსაც ესწრებოდა 40-მდე ექსპედიტორი;
- 2015 წლის 12 თვეში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაიგზავნა 344 183 ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტი;
- რეალიზებულია და რეალურ რეჟიმში გაშვებულია პორტალი – data.gov.ge. პორტალზე 2015 წელს ჯამურად ატვირთულია 207 მონაცემთა ცხრილი, სულ ღია მონაცემების პორტალზე განთავსებულია 263 ცხრილი. ჩამოტვირთვების ჯამურმა რაოდენობამ წლის განმავლობაში გადააჭარბა 20 000-ს;
- 2015 წელს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა დანერგილია 2 უწყებაში (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ეროვნული ბანკი), დანერგვა მიმდინარეობს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების 13 სუბიექტში. ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვაში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სპეციალისტებმა 2015 წელს კონსულტაცია გაუწიეს 15 ორგანიზაციას. OTRS სისტემის ამუშავების შემდეგ, 2015 წელს, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში დაფიქსირდა 471 ინციდენტი.

6.12 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი;
- ამალღებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო და კერძო ორგანიზაციების ნაწილში დანერგილია პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები;
- ამალღებულია საზოგადოების ცნობიერება, საჯარო და კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა ინფორმირებულობა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წინა წელთან შედარებით 6-ჯერ გაზრდილი კონსულტაციების რაოდენობა მოქალაქეთათვის;
- წინა წელთან შედარებით 4-ჯერ გაზრდილი გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების რაოდენობა;
- მოქალაქეთა მომართვიანობა გაზრდილი რაოდენობა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ჩატარებული 49 ტრენინგი, 9 საჯარო ლექცია და 12 საინფორმაციო შეხვედრა. ასევე 3 სექტორული და თემატური რეკომენდაცია, 2 საინფორმაციო მასალა, სოციალური კლიპი.

6.13 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შემოწმების შედეგად მნიშვნელოვნად იკლო დარღვევების რაოდენობამ, რაც გამოწვეულია სადაზღვევო კომანიების მხრიდან აღრიცხვიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით;
- მიმდინარეობდა სადაზღვევო საქმიანობის განზოგადება;
- დამუშავდა და საქართველოს მთავრობისთვის მიწოდებულ იქნა კანონპროექტი ავტომფლობელთა სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ კანონპროექტი.

6.17. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

დასახული საბოლოო შედეგები

- ტერმინოლოგიაზე მუშაობის შემუშავებული მეთოდი და შექმნილი, სისტემატიზებული და ადმინისტრირებული ტერმინოლოგიური ბაზა;
- თარგმნილი ვერსიებისა და საჯარო ტერმინოლოგიური ბაზის ხელმისაწვდომობა;
- თარგმანის ხარისხის მართვის მექანიზმის დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ნათარგმნი/რედაქტირებული აქტების საფუძველზე ტერმინოლოგიური ბაზის განახლება და სრულყოფა;

- საკანონმდებლო აქტების ინგლისურ ენაზე გეგმურად თარგმნა, რედაქტირება, სისტემატიზაცია, კონსოლიდირება და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსება;
- ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა/რედაქტირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ტერმინოლოგიურ ბაზას დაემატა 2 000 ახალი ტერმინი;
- ითარგმნა 88 საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, მათში შეტანილი და შესატანი ცვლილებების პროექტები, ჯამურად – 3 819 გვერდი;
- ხელმისაწვდომობა, თარგმნის სიზუსტე – 100%;
- ითარგმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფიდან (586 გვერდი) და სხვა სამთავრობო სტრუქტურებიდან მიღებული (324 გვერდი) ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- 2015 წლის განმავლობაში სულ ითარგმნა 4 729 გვერდი.

6.18. საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- კვალიფიკაცია ამაღლებული მოხელეები;
- ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სერტიფიცირებული 455 მოქალაქე;
- ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით განხორციელდა 8 პროექტი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის მსურველთა რაოდენობა (გამოცდაზე დარეგისტრირებული) 2014 წელთან შედარებით შემცირდა 10%-ით, გამოცდაზე გამოცხადებულთა რაოდენობა შემცირდა 24%, ხოლო სერტიფიკატი მიიღო 33%-ით ნაკლებმა მოქალაქემ. აღსანიშნავია, რომ 2014 წელი იყო საარჩევნო წელი, რამაც განაპირობა ამ კუთხით მაღალი აქტივობა 2015 წელთან შედარებით.
- განხორციელებული პროექტების რაოდენობა 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 75%, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ არასაარჩევნო წელს (2015წელი) განსახორციელებელი პროექტები ორიენტირებულია ამომრჩეველზე, მაშინ როდესაც საარჩევნო წელს (2014 წელი) პროექტები მიმართულია უშუალოდ საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებზე (პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, დამკვირვებლები, მედია და სხვა).

6.19. იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის სერვისის მაღალკვალიფიციური მიწოდება;
- კმაყოფილი მომხმარებლების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;
- იუსტიციის სახლში არსებულ სიახლეებზე ინფორმირებული მომხმარებლების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი;
- იუსტიციის სახლის კონცეფციის გაზიარება დაინტერესებული უცხო სახელმწიფოებისათვის;
- იუსტიციის ახალი სახლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ცენტრში: ფოთში, მცხეთაში, თიანეთში, ყაზბეგში, ბორჯომში, სამტრედიაში, ლაგოდეხში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომხმარებლებისთვის მიწოდებული მაღალკვალიფიციური სერვისი;
- კმაყოფილი მომხმარებლების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;
- განხორციელებული აქტივობების შედეგად (სხვადასხვა მარკეტინგული თუ პიარლონისძიებები) იუსტიციის სახლში არსებულ სიახლეებზე ინფორმირებული მომხმარებლების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი;
- საანგარიშო პერიოდში მიღებული მრავალრიცხოვანი დელეგაციები;
- იუსტიციის სახლის ახალაშენებული და აღჭურვილი ფილიალები;
- იუსტიციის სახლის მშენებარე ფილიალები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტესტირებაში თანამშრომელთა 99.5%-მა გადალახა მინიმალური ზღვარი;
- მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის საფუძველზე მომხმარებელთა კმაყოფილების დონემ შეადგინა – 86%;
- მიღებულია 385 დელეგაცია; 32 დელეგაციისთვის, მათივე დაინტერესებიდან გამომდინარე, ჩატარდა დეტალური პრეზენტაცია (ამ ეტაპზე მემორანდუმი არ გაფორმებულა);
- გაიხსნა ლენტეხის საზოგადოებრივი ცენტრი და იუსტიციის სახლის სამი ახალი ფილიალი ფოთში, თიანეთსა და ყაზბეგში; მიმდინარეობს ბორჯომის, ლაგოდეხისა და ონის იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოები.

6.20 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნები №64 სენაკის და №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქების №64.13 ფოცხოს და №67.11 ერგეტის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. არჩევნებში სულ მონაწილეობა მიიღო 1 710 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 69,31%-ია, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 850 ქალმა ამომრჩეველმა (49,71%) და 860 კაცმა ამომრჩეველმა (50,29%);
- ჩატარდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N11 საგარეჯოსა და N65 მარტვილის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის შუალედური და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების ჩაილურის თემის N11.12, დიდი დმანისის თემის N24.06, ზედა ვანის თემის N53.07 და გურიფულის თემის N66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გასამართი საგარეჯოს, დმანისის, ვანისა და ხობის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები;
- 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის საგარეჯოს, მარტვილის, დმანისის, ვანისა და ხობის საარჩევნო ოლქებში შეიქმნა 95 საარჩევნო უბანი, მათ შორის საგარეჯოში შეიქმნა ერთი გამონაკლისი საარჩევნო უბანი; არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 31 254 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 37.56%-ია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 13 651 (43.68%) ქალმა ამომრჩეველმა და 17 603 (56.32%) კაცმა ამომრჩეველმა;
- ცესკოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა როგორც ამომრჩეველთა ერთიანი სიის, ისე არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა; ორივე შუალედურ არჩევნებს აკვირდებოდა 29 ადგილობრივი ორგანიზაციის 741 წარმომადგენელი და 4 საერთაშორისო ორგანიზაციის 22 დამკვირვებელი. კენჭისყრის პროცესები წარიმართა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩეველს ჰქონდა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობა, მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია;
- შუალედურ არჩევნებზე სულ მიიმართა 1,4 მლნ ლარამდე.

7. პრიორიტეტი – იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	61,968.3	61,968.3	0.0	61,928.5	0.0
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	30,327.5	30,327.5	0.0	55,754.6	0.0
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	9,840.7	9,840.7	0.0	11,442.4	0.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,686.0	1,686.0	0.0	1,680.7	0.0
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	216.8	216.8	0.0	215.5	0.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		104,039.3	104,039.3	131,021.6	131,021.6	0.0

7.1. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლება, ჩასახლების ობიექტებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი პირობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიმდინარეობდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 857 ობიექტი, აღწერილ იქნა 7 990 ოჯახი. საკუთრებაში ბინები გადაეცა 5 575 ოჯახს;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:
 - ✓ მიმდინარეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებულ შენობებსა და ახალშენებულ კორპუსებში ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის, წყლის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მიერთება-მოწყობისა და სახურავის გადახურვის სამუშაოები;
 - ✓ რეაბილიტირებულ შენობებსა და ახალშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილ იქნა 1 328 დევნილი ოჯახი (თბილისში, ქუთაისში, ქარელში, ზუგდიდში, კასპში, ფოთში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელსა და ახალციხეში);
 - ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 440 საცხოვრებელი სახლი.
- ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 152 ობიექტს;
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 14 ობიექტის გამოსყიდვა (სულ 268 ბინა);
- 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად 5 549 დევნილი ოჯახისთვის 2015 წლის იანვარსა და თებერვალში მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიური ლიმიტი განისაზღვრა 50 ლარით;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 3 817 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 851 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

- დასრულდა შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქ. ხაშურში სააკაძის ქუჩა N2-ში, ქ. ახალციხეში რუსთაველის ქ. N113-ში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერაში კოტეჯი N5-ის, ქ. მცხეთაში - სოფელ წინამძღვრიანთკარში (პროფტექნიკუმის შენობა) N1, N2, N3 კორპუსების და აღმაშენებლის ქ. N21-ში (სასტუმრო მცხეთა), ქ. თელავში სოხუმის ქუჩაზე (ყოფილი გვარდიის შენობა), ქ. ბოლნისში აღმაშენებლის ქ. N4-ში (ყოფილი გეოლოგების ს/ს), ქ. ხაშურში რუსთაველის ქ. N38-ში, ქ. ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩაზე, ქ. თბილისში - ფეიქრების ქ. N8-ში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, კადეტთა N1, N5 და N6 კორპუსების, ჟორესის ქ. N7ა-ში (ავტოსარემონტო საწარმო) და N13-ში (საქგაზმშენის შენობა), წყნეთი - მ. წყნეთელის შესახვევში კოტეჯი N19-ის, წმინდა ბარბარეს ქ. N29-ში, ერისთავის ჩიხში (ტექნოსერვისის შენობა), ვარკეთილის N3ა-ში 327-ე კორპუსის, თემქის დასახლება III მ/რ-ის IV კვარტალში, ფონიჭალის III მ/რ-ში, ჯიქიას ქ. N5-ში, უნივერიტეტის ქ. N6-ში (ყოფილი სასტუმრო „ამირანი“), ერისთავის ჩიხი N1-ში, წმ. ბარბარეს ქ. N19-ში, თევდორე მღვდლის ქ. N13-ში;
- დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შექმნა ქ. თბილისში - ც. დადიანის ქ. N7-ში, დოდაშვილის ქ. N22/18-ში, ქ. ქუთაისში - შმიდტის ქ. ნაკვეთ N1-ზე და მიმდინარეობდა: ქ. თბილისში - ახლადამშენებულ კორპუსებში ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“, კალაუზნის ქ. N22-ში, დიდი დიდმის I მიკრო რაიონში და კაიროს ქ. N320-ში, დოდაშვილის ქ. N22, ც. დადიანის ქ. N7-ის ე-1 და ე-2 ბლოკებში, ქ. ქუთაისში - ერისთავის ქ. N7-ში და შმიდტის ქ. ნაკვეთ N2-სა და ნაკვეთ N3-ზე, ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან;
- მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. ქუთაისში შერვაშიძის ქ. N53-ში და ქ. ზუგდიდში ბარამიას ქ. N7-ში და ქ. გორში მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე; ასევე, შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქ. ქუთაისი - ნიკეას ქ. N21-ში და ავტომშენებლის ქ. N41-ში, ქ. თბილისი - ბაღდათის ქუჩაზე (ყოფ. ჰოსპიტალი);
- ვაჟა-ფშაველას გამზირზე №25 მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობიდან გამოსახლებულ 90 დევნილ ოჯახს აუნაზღაურდა საკომპენსაციო თანხები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 184 ობიექტს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო, სამშენებლო-სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა გადაეცა იძულებით გადაადგილებულ პირთა 5 575 ოჯახს; დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 7 622 ოჯახზე;
- გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იქნა 2 036 ოჯახი.

7.2. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის პირობების შექმნა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დევნილთა და მათი ადგილობრივი გაერთიანებებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა (კოლექტიური საცხოვრებელი ცენტრების მშენებლობა და ინფრასტრუქტურული განვითარება) და მათი საზოგადოებრივი აქტივობის მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 1990-იანი წლების იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დევნილთათვის აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლები;
- გაუმჯობესებული საკანალიზაციო სისტემა;
- გაუმჯობესებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;
- რეაბილიტირებული ქუჩები, მოედნები და სანიაღვრე არხები;
- დასრულებული საბავშვო ბაღი.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარეობდა დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა კონტრაქტების განხორციელების ვადების ცვლილებას, რაც უმეტეს შემთხვევაში, განაპირობა კონტრაქტორების მხრიდან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების გრაფიკიდან ჩამორჩენამ. პრობლემური საკითხების უმეტესი ნაწილი გადაჭრილი იქნა და შესაბამისი პროექტები დასრულდება 2016 წელს.

7.5. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- დევნილთა გაუმჯობესებული სოციალური, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მდგომარეობა და მათი სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების ხარისხის შემცირება; განსახლების ადგილებში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო და სხვა ბიზნეს-პროექტები; დევნილების გადამზადების შედეგად, მათი შრომით ბაზარზე სრულყოფილი მონაწილეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირდა 337 იძულებით გადაადგილებული პირი-დევნილი, სააგენტოს რეკომენდაციით გამოცხადებული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო 84 დევნილმა, 43 მუშა-მოსამსახურის რეზიუმე წარგზავნილ იქნა გამოცხადებულ სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე, ხოლო მათგან 13 ხელშეკრულებით იქნა აყვანილი;

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე სააგენტოს რეკომენდაციით წარგზავნილ იქნა 13 დევნილი, ხოლო დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში წეროვნის დევნილთა ჩასახლებაში სააგენტოს ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე დასაქმების შეთავაზება მიიღო 28 ქალბატონმა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულ 337 დევნილი პირიდან განხილულ იქნა 168 პირის რეზიუმე;
- საანგარიშო წლის განმავლობაში დასაქმდა 54 იძულებით გადაადგილებული პირი-დევნილი;

8. პრიორიტეტი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ	73,554.7	57,300.4	79,989.4	64,828.3	15,161.1
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	69,638.7	69,077.7	69,354.6	68,947.5	407.0
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	43,778.6	40,978.6	43,469.6	41,086.1	2,383.5
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	27,556.9	22,075.8	27,210.7	22,126.3	5,084.4
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	16,133.0	16,133.0	16,131.1	16,131.1	0.0
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	6,820.0	5,710.4	6,116.5	5,658.1	458.4
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,670.1	5,670.1	5,659.5	5,659.5	0.0
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	5,559.0	5,559.0	5,554.8	5,554.8	0.0
55 02	რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება	3,500.0	3,500.0	3,500.0	3,500.0	0.0
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	14,599.8	14,599.8	21,989.9	21,989.9	0.0
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,449.0	2,449.0	2,449.0	2,449.0	0.0
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	0.0
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი	1,768.0	1,768.0	1,768.0	1,768.0	0.0

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
	გრანტი					
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.0	959.0	958.8	958.8	0.0
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	800.0	800.0	0.0
55 01	სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	700.0	700.0	696.6	696.6	0.0
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	653.0	653.0	0.0
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	500.0	500.0	0.0
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	447.0	447.0	447.0	447.0	0.0
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	260.7	260.7	0.0
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	230.0	230.0	0.0
45 02	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	300.0	300.0	299.7	299.7	0.0
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	100.0	100.0	0.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		276,977.7	250,771.7	289,138.9	265,644.5	23,494.4

8.1. ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს, როგორც უნიკალური და უძველესი კულტურით, ასევე თანამედროვე კულტურით ღირსეული ადგილის დაკავება მსოფლიო კულტურის სივრცეში;
- განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან;
- საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებში ქვეყნისადმი პოზიტიური განწყობის ამაღლება;
- საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელებული ახალი დადგმებით, გასტროლებით, კონცერტებით, კონკურსებით, ფესტივალებით, გამოფენებით, კინოფილმების ჩვენებით, ახალი წიგნებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით, კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირებით საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება, გემოვნების დახვეწა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გაუთვალისწინებელი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ქართული კულტურის მაქსიმალური პოპულარიზაცია საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში, ასევე მის საზღვრებს გარეთ;
- ახალი მიღწევებითა და თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შევსების შესაძლებლობა და კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია;
- საქართველოს რეგიონებში ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენებისა და მასტერკლასების მოწყობა-ორგანიზება, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ და უცხოელ ხელოვანთა მოწვევა, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების, ახალი იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა;
- საქართველოს რეგიონების კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზღვარგარეთ ჩატარდა 2 პრეზენტაცია საქართველოს კულტურის დღეები (ქ. ბონში იუნესკოს 39-ე სესია; ქ. გდანსკში ქართული კულტურის კვირეული);
- ეროვნულ უმცირესობათა კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა - 5;

- განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიისა და საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა 776 342 კაცი.
- საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული 34 მუსიკალური ფესტივალების, 13 კინოფესტივალი, 429 კონცერტი, 2 514 სპექტაკლი, 38 გამოფენა, 8 გასტროლი, 4 ახალი გადაღებული ფილმი, 80 შემოქმედებითი სადამო-კონცერტი, 26 კონკურსი, 126 განხორციელებული ღონისძიება, გამოიცა 61 წიგნი; 6 ჟურნალი;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებაში 1 329 ქართველმა ხელოვანმა მიიღო მონაწილეობა;
- გაფორმდა 9 საერთაშორისო ხელშეკრულება.

8.2. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სპორტულ ცხოვრებაში ბავშვების და მოზარდების აქტიურად ჩაბმვა;
- მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა;
- ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ფიფას სტანდარტებით საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობა, შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურებით ნაკრებების უზრუნველყოფა;
- მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით შევსებული ქვეყნის ნაკრები გუნდები;
- გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
- ფიფას სტანდარტებით მოწყობილი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა;
- შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურებით უზრუნველყოფილი ნაკრებები;
- მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაიზარდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა;

- სპორტის 45 სახეობაში ჩატარდა 130-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 200 - მდე სასწავლო - საწვრთნო შეკრება, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 19.3 % -ით;
- მონაწილეობა მიღებულ იქნა 170 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში, საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 200 ოქროს, 200 ვერცხლის და 279 ბრინჯაოს მედალი, სულ 679 მედალი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 25.5 % -ით;
- გაიზარდა სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა.

8.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო,
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო,
- ✓ სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- მოეწყო მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა;
- რესტავრირებული კულტურული ძეგლებისა და ექსპონატების რაოდენობა.

8.4.1. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები და სახლ - მუზეუმები.

დასახული შუალედური შედეგები:

- მუზეუმების ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- რესტავრირებულ და კონსერვირებულ მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები;

- მუზეუმების კოლექციების, კატალოგებისა და გზამკვლევების მომზადებითა და გამოცემით მუზეუმებში დაცული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;
- საქართველოს მუზეუმების პოპულარიზაციის გაზრდილი დონე ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხელი შეეწყო მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები და ვორქშოპი;
- მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით მიღებულ იქნა პრევენციული ზომები - რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა მუზეუმებში დაცულ განსაკუთრებით დაზიანებულ სხვადასხვა სახეობის ექსპონატებს;
- მუზეუმების პოპულარიზაციისა და სამუზეუმო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის მიზნით, განხორციელდა საზოგადოების მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და მოეწყო გამოფენები;
- საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობით შემუშავდა ერთობლივი პროექტები, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სამუზეუმო სფეროში აღიარებულმა ექსპერტებმა, რითაც ხელი შეეწყო ქვეყანაში სამუზეუმო რეფორმის ქმედით განხორციელებას და საქართველოს მუზეუმების ეტაპობრივ გადასვლას საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებზე.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 590 000 ათასამდე;
- სხვადასხვა მიმართულების ღონისძიებების განხორციელება - 782
- მუზეუმებში დაცული რესტავრირებული ექსპონატების რაოდენობა -320;
- მუზეუმების რეაბილიტირებული საექსპოზიციო დარბაზების და ფონდსაცავების რაოდენობა-15;
- სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვისა (eGMCIS) და მართვის მოქნილი, ერთიანი სისტემის შექმნის პირველი ეტაპის დასრულება.

8.4.2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

დასახული შუალედური შედეგები:

- ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება;
- ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი და სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნა;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა;

- მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;
- მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები.
- განხორციელდა ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნა საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდა რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემების ასახვა საინფორმაციო სივრცეში;
- განხორციელდა ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
- მომზადდა მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 100-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი;
- მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული 12 ტრენინგი;
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით გამოცემული 10-მდე სახეობის ნაბეჭდი პროდუქცია;
- ვიზიტორთა რაოდენობის 47 %-ით გაზრდა წინა წელთან შედარებით და კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების ინტერესი.

8.6. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- ✓ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ - საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

დასახული საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, სამოქალაქო თვითშეგნებითა და პატრიოტული სულისკვეთებით გაზრდილი ახალგაზრდები;
- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების აქტივობების ზრდა;

- ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის საქმიანი თანამშრომლობა, ახალგაზრდებში გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და კანონის პატივისცემა, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა;
- კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდულ სექტორში მასობრივად ჩართული სუბიექტები, კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები, საზოგადოებაში მაქსიმალურად ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები;
- მოზარდთა ინტერესების შესაბამისად შექმნილ პროფილურ წრეებში, ცენტრებში, კლუბებში და სტუდიებში ჩართული ბავშვები. სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, მათ შორის სოციალურად დაუცველებისათვის ჩატარებული ტრენინგ-სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონცერტები, ფესტივალები, გამოფენები, ოლიმპიადები, საქველმოქმედო აქციები და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა, მათ შორის ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიხედვით პროგრამების მონაწილე 100 000-მდე ბენეფიციარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 66.0 % -ით;
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2015 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერი 43 პროექტის 5 000-მდე პირდაპირი ბენეფიციარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 4.2 % -ით;
- პროგრამა „მომავლის ბანაკის“ 1 728 ბენეფიციარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 1.7 % -ით;
- პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი – 2015“-ის 4 802 ბენეფიციარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 20.0 % -ით;

8.8. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენების და სპორტის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სოციალურად და ფინანსურად უზრუნველყოფილი ოლიმპიური ჩემპიონები და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები;
- გამოჩენილ ვეტერან სპორტსმენტა, დამსახურებულ მუშაკთა და დაინვალიდებულ სპორტსმენტა გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები;
- საქართველოს წამყვან სპორტსმენტა, მწვრთნელთა და ნაკრებების მომსახურე პერსონალთა გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები და სოციალური მდგომარეობა, სპორტული მაჩვენებლების გაზრდა და სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფინანსურად უზრუნველყოფილი პროგრამის ბენეფიციარების და სტიმულირებული სპორტსმენტების რაოდენობა - 1 141 ბენეფიციარი;

8.9. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდობაში დამკვიდრებული ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- წახალისებული ახალგაზრდული ინიციატივები;
- მასობრივი სპორტი;
- მიღწეული მაღალი სპორტული შედეგები.

9. პრიორიტეტი – საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	89,782.5	89,451.8	89,511.5	89,210.0	301.5
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,668.5	4,656.5	4,616.2	4,604.2	12.0
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,757.8	1,757.8	1,699.1	1,699.1	0.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		96,208.8	95,866.1	95,826.8	95,513.3	313.5

9.1.1. საგარეო პოლოტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დამგმობი განცხადებების/სხვა დოკუმენტების მიღება;
- ჟენევის მოლაპარაკებების არსებული ფორმატის და დღის წესრიგის უცვლელად შენარჩუნება;
- საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის უკანონო ქმედებების დაგმობა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან;
- დევნილების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე;
- ევროკავშირთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და ახალი მიზნების/პერსპექტივების დასახვა; „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება; ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღება;
- ევროკავშირთან ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტის იმპლემენტაციის დროული და ეფექტური განხორციელება;
- ANP-ის წარმატებით განხორციელების შედეგად ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოება;
- ამერიკის შეერთებული შტატებთან და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება; მათი მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება;
- გაერო-ს სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება და იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ რეზოლუციის მხარდაჭერ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა, ასევე საქართველოს არჩევა გაერო-ს ქვეუწყებებში;
- ეუთო-სთან და ევროსაბჭოსთან მუშაობის გააქტიურება ყველა სფეროში;
- ევროპის საბჭოს რეზოლუციებში და შესაბამის დოკუმენტებში საქართველოს წინაშე არსებული საკითხების ადეკვატური ასახვა;
- ევროპის საბჭოს მხრიდან რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება, რათა მან შეასრულოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებები;
- ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, რეგიონებში დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა და ამ რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავება;

- საქართველოს საინვესტიციო კლიმატისა და საინვესტიციო სფეროების, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება;
- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (OECD, WTO, ICAO, IMO), გაეროს ეკონომიკური კომისიებისა (ECOSOC, UNECE, UNESCAP, UNCTAD) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (BSEC, სუამი) ფორმატებში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შენარჩუნდა და განმტკიცდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების ტენდენციები. გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დევენილთა უფლებების მხარდამჭერი რეზოლუციები და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან შენარჩუნდა არაღიარების პოლიტიკა;
- „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტზე საქართველომ წარმატებით წარმოაჩინა ევროინტეგრაციის კუთხით მიღწეული პროგრესი, რაც შესაბამისად აისახა სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში;
- საანგარიშო პერიოდში საქართველო ჩართული იყო ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში (ცენტრალურ აფრიკაში, უკრაინაში და მალიში);
- საქართველომ მიიღო ალიანსის დადებითი შეფასება წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელებასთან დაკავშირებით. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა NATO-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტით გათვალისწინებული NATO-წევრი ქვეყნების ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლა და პროექტების განხორციელება;
- გაიზარდა საქართველოს როლი გლობალური უსაფრთხოების ხელშეწყობის კონტექსტში;
- დაფიქსირდა მნიშვნელოვანი გზავნილები და ურყევი მხარდაჭერა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი;
- ურთიერთობები განვითარდა ლათინური ამერიკისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან; მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აფრიკის კონტინენტის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებისათვის; კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა არაბულ სახელმწიფოებთან და არაბული სახელმწიფოების ლიგის სამდივნოსთან;
- ხელი მოეწერა ჩინეთსა და საქართველოს შორის „ახალი აბრეშუმის გზის - ეკონომიკური სარტყელის“ განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წლის განმავლობაში მიღებულ იქნა საქართველოს მხარდამჭერი არაერთი განცხადება/რეზოლუცია;
- საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარება არც ერთი ქვეყნის მიერ არ მომხდარა;
- გაიზარდა ადგილნაცვალ პირთა რეზოლუციის მხარდამჭერ სახელმწიფოთა რაოდენობა;

- საქართველო არჩეულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს/კომიტეტის წევრად;
- „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის მხარდამჭერი სახელმწიფოების რიცხვი 75-მდე გაიზარდა;
- შედგა ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების 4 ვიზიტი საქართველოში და გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების 4 რაუნდი;
- ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის იმპლემენტაციის შედეგად გახსნილი ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი საქართველოში;
- ნატოს შტაბ-ბინაში გამართული ნატო - საქართველოს კომისიის 20-ზე მეტი სხდომა, 2 საგარეო საქმეთა და 2 თავდაცვის მინისტრიალი;
- საქართველოსა და ევროკავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმება;
- 2015 წლის მონაცემებით, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა/მალაში შევიდა 105 ხელშეკრულება;

9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგი:

- საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე;
- პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მიღებულ იქნა ქვეყნისათვის მხარდამჭერი რეზოლუციები, ასევე საქართველო არჩეულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციის კომიტეტებისა და საბჭოს წევრად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში (აგრეთვე, ამ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა კონვენციაში, კომისიაში, ჯგუფში, ღონისძიებაში და ა.შ), რომლებშიც საქართველო არის გაწევრიანებული.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო

დასახული შუალედური შედეგი:

- დოკუმენტების თარგმნის ხარისხის გაუმჯობესება, სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხარისხიანი ნათარგმნი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმება, სულ 10 180 გვერდი და 168 საათი სინქრონული თარგმნა.

10. პრიორიტეტი – სოფლის მეურნეობა

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	282,117.7	233,846.0	263,895.9	231,793.2	32,102.7
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსამედობა	28,860.0	24,370.0	34,143.8	30,053.5	4,090.2
37 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	44,732.0	44,244.0	44,588.3	44,205.5	382.7
37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	8,672.5	8,646.0	8,301.4	8,279.9	21.5
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		364,382.2	311,106.0	350,929.3	314,332.1	36,597.2

10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“;
- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“;
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“;

დასახული საბოლოო შედეგები:

- სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა;
- დამუშავებული ფართობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა;
- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა.
- აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება.
- ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებების შედეგად გაიზარდა გასარწყავებული და დამშრობილი ფართობის მაჩვენებელი.
- სოფლის მეურნეობის დარგში შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები.
- გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობის მაჩვენებელი.
- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.
- აშენდა და მანქანა-დანადგარებით აღიჭურვა დარგობრივი მიმართულების საწარმო, რომელიც სარგებლობაში გადაეცემა კოოპერატივებს;
- დარგობრივ კოოპერატივებს გაეწიათ დახმარება პროდუქციის წარმოების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინვენტარით.
- აგროდაზღვევის პროექტში ჩართულმა ბენეფიციარებმა სადაზღვევო კომპანიებიდან აინაზღაურეს ზარალი დადგენილი პირობების შესაბამისად და შეინარჩუნეს შემოსავალი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 7 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 8 საგამოფენო ღონისძიებაზე, ქვეყნის შიგნით მოეწყო 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება.
- ტრენინგ გავლილი და კვალიფიკაცია ამაღლებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების 387 მეპაიე.
- 98 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის შესყიდულია 7 588 ერთეული სკა.
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში მონაწილეობდა 13 კომერციული ბანკი;
- 2015 წელს გაცემულია 3 950 სესხი, სულ გადაიარაღდა 600-მდე და შექმნილია 129 ახალი საწარმო.

- საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სარგებელი მიიღო 622 523-მა ბენეფიციარმა და ჯამში დამუშავდა 225.2 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.
- რეგულარულ სარწყავში გადაყვანილი მიწის ფართობი (დამატებით გასარწყავებული ფართობი) 12.4 ათასი ჰექტარი, სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 14.6 ათასი ჰექტარი, ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 0.62 ათასი ჰექტარი, დამშრობ სისტემებზე რეაბილიტირებული ფართობი 1.37 ათასი ჰექტარი.
- სულ 2014-2015 წლებში დაზღვეული ფართობი შეადგენს 23.7 ათას ჰექტარს, ანაზღაურებული ზარალის ოდენობა - 9 270.4 ათასი ლარი.

10.1.3 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

დასახული შუალედური შედეგები:

- წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- დამშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 44 ობიექტზე, მათ შორის საირიგაციო სისტემებზე - 37 ობიექტი, ხოლო დამშრობ სისტემებზე - 7 ობიექტი. 21 ობიექტზე მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება განაპირობებს წყლის რესურსების ეფექტურ და ეკონომიურ გამოყენებას, გასარწყავებული ფართობების ზრდას და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები

- რეგულარულ სარწყავში გადაყვანილი მიწის ფართობი (დამატებით გასარწყავებული ფართობი) 12.4 ათასი ჰექტარი;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 9.0 ათასი ჰექტარი;
- ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 0.62 ათასი ჰექტარი;
- დამშრობ სისტემებზე რეაბილიტირებული ფართობი 1.37 ათასი ჰექტარი.

10.1.4 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა.

- აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ქალაქ ბერლინში, კომპანია „ტიბანელმა“ გახსნა ქართული ღვინის გალერეა. გალერეაში მხოლოდ ქართული დასახელების ღვინო, ჭაჭა და ბრენდია წამოდგენილი. ღვინის გალერეაში დაახლოებით 25 დასახელების ქართული ღვინის პროდუქცია იყიდება („მელვინეობა გრანელი“, „ასკანელი“, „ტყუპების ღვინის მარანი“, „ყვარელის სარდაფი“ და სხვა).
- ღვინის კომპანია „ქიმერიონმა“ 2015 წელს დაიწყო თანამშრომლობა გერმანულ კომპანიასთან, რომელიც 2015 წლიდან აწარმოებს „ქიმერიონის“ პროდუქციის ინტერნეტ-გაყიდვებს ევროკავშირის ბაზარზე.
- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 7 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 8 საგამოფენო ღონისძიებაზე.
- ქვეყნის შიგნით მოეწყო 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება.
- 2015 წელს ესტონეთში 2014 წელთან შედარებით ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა 53%-ით.

10.1.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები

- თანამედროვე IT ინფრასტრუქტურითა და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი კოოპერატივები;
- კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება;
- კოოპერატივების მიერ მოგების მიღების პოტენციალის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შედეგად ხელი შეეწყო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ცნობადობის ზრდას.
- განხორციელდა ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების (დევნილები, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სოციალურად დაუცველი პირები და სხვა) კოოპერატივებში ჩართულობის სტიმულირება.
- აშენდა და მანქანა-დანადგარებით აღიჭურვა დარგობრივი მიმართულების საწარმო, რომელიც სარგებლობაში გადაეცემა კოოპერატივებს;
- დარგობრივ კოოპერატივებს გაეწიათ დახმარება პროდუქციის წარმოების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინვენტარით.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მონაწილეობა მიიღეს მათ მიერ წარმოებული ან/და გადამამუშავებული პროდუქციის 4 გამოფენა-გაყიდვის ღონისძიებაში.
- ტრენინგ გავლილი და კვალიფიკაცია ამაღლებული 387 მეპაიე საქართველოს მასშტაბით.
- 98 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის შესყიდულია 7 588 ერთეული სკა.

10.1.7 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;
- ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება;
- დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროექტის განხორციელებით გაიზარდა ფერმერებისათვის შეღავათიან სესხებზე ხელმისაწვდომობა;
- პროექტის განხორციელებით შეიქმნა ახალი საწარმოები და გადაიარაღდა არსებული, ვითარდება პირველადი წარმოება.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- პროექტში მონაწილეობდა 13 კომერციული ბანკი;
- საანგარიშო პერიოდში გაცემულია 3 950 სესხი;
- პროექტის ფარგლებში სულ გადაიარაღდა 600-მდე საწარმო და შექმნილია 129 ახალი საწარმო.

10.1.8 მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება;
- ბენეფიციარების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დამუშავებული მიწის ფართობის ზრდა;
- მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- სულ სარგებელი მიიღო 622.0 ათასმა ბენეფიციარმა.
- 424.5 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო 30 336.4 ათასი ლარის სარგებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით;
- ხვნის ბარათით სარგებელი მიიღო 198 ბენეფიციარმა;
- პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 225.2 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

10.1.9 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 01 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში სრულად იქნა დაფარული (2015 წლის) ვალდებულებები და შესყიდული ტექნიკით შპს „მექანიზატორის“ მიერ საანგარიშო პერიოდში დამუშავებულია 300.0 ათას ჰექტრამდე მიწის ფართობი.

10.1.10 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები

- აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- 2015 წლის განმავლობაში, პროექტში ჩართულმა ბენეფიციარებმა სადაზღვევო კომპანიებიდან აინაზღაურეს ზარალი დადგენილი პირობების შესაბამისად და შეინარჩუნეს შემოსავალი. სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს აგროდაზღვევის სარგებელს, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას.
- მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები
- სულ 2014-2015 წლებში დაზღვეული ფართობი შეადგენს 23 667 ჰექტარს, ანაზღაურებული ზარალის ოდენობა - 9.3 მლნ ლარს.

10.1.11 აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 01 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- დაშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გაუმჯობესებულია სარწყავი წყლის მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გაუმჯობესებულია სარწყავი წყლის მიწოდება 5 618 ჰექტარზე;

10.1.12 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 37 01 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში სულ 2014-2015 წლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 29 პროექტი, ჯამური ღირებულებით 18.7 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 6.6 მლნ აშშ დოლარს. ხელშეკრულება გაფორმებულია 18 კომპანიასთან. 2014-2015 წლებში სახელმწიფო თანადაფინანსების სახით გაცემულია 3.5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. 2015 წელს აღნიშნული თანადაფინანსებიდან გაცემულია 5.6 მლნ ლარი. პროექტის ფარგლებში ექსპლუატაციაში შევიდა 8 საწარმო, დასრულების პროცესშია 3 საწარმო, ხოლო 7 საწარმო მიმდინარეა.

10.1.13 მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 19)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- მანდარინის (არასტანდარტული) რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ხილის გადამამუშავებელი 4 კომპანია;
- პროექტის ფარგლებში, არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც სამრეწველო გადამამუშავების მიზნით, ფიზიკური პირებისგან 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდოდნენ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას გასცემდა. პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ 2014/15 წლებში შეადგინა 10.4 ათასი ტონა.

10.1.14 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 37 01 20)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში სულ შემოსულია 123 განაცხადი. მათ შორის 4 განაცხადი იყო სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტის, ხოლო 119 განაცხადი მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში ჯამში 117 ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი, სადაც სააგენტოს ჯამური თანადაფინანსება ნერგებსა და სარწყავ სისტემებზე შეადგენს 4 399.9 ათას ლარს. აღნიშნული პროექტების განხორციელებით გაშენდა/ან გაშენების პროცესშია 835.9 ჰექტარი ახალი მრავალწლიანი სხვადასხვა კულტურის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური თანამედროვე ტიპის ბაღები.

10.1.15 ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 21)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- 2015 წლის რთველის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სს „აკურა“-ს მიერ 2015 წლის რთველის პროცესში შესყიდულია 45.0 ათასი კგ ყურძენი.

10.2. სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა;
- განსაკუთრებით საშიში მავნებლებისგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება;
- ბაზარზე უსაფრთხო პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა;
- ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ამა თუ იმ დაავადებების პროფილაქტიკა და გამოვლენის შემთხვევაში ლოკალიზება-ლიკვიდაცია;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გატარებული ღონისძიებების შედეგად სამომხმარებლო ბაზარზე აღკვეთილ იქნა მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტები;
- ცხოველთა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ განხორციელებული პროფილაქტიკური ვაქცინაციის და დაავადების კერებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური სიტუაცია. შემცირებულია ცხოველებში და ადამიანებში ზოონოზური დაავადებებით გამოწვეული შემთხვევების რაოდენობა. თავიდან იყო აცილებული საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის რისკები (ექსპორტი, ტრანზიტი). ხელსაყრელი გარემოა შექმნილი ცოცხალი ცხოველებისა და მეცხოველეობის ნედლეულის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით. იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საშუალებით გაადვილებულია მიკვლევადობის პროცესი, მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 500.0 ათასა-მდე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი;
- მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბიოლოგიურმა ეფექტმა შეადგინა 80-85%, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად დროულად განისაზღვრა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ვადები და ჩატარების ადგილები;
- გატარებული ღონისძიებების შედეგად აღკვეთილ იქნა ბაზარზე უხარისხო ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის ფაქტები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღებული იქნა სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) 4 226 ნიმუში/სინჯი. მონიტორინგი - დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა სურსათის 8 234 ბიზნეს ოპერატორთან. შემოწმებისას 1 240 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები და დაჯარიმდა 1 240 ბიზნეს-ოპერატორი. განადგურებული იქნა: 39 223 კილოგრამი ხორცი და ხორცპროდუქტები, 45 289 კილოგრამი სხვა მყარი სურსათი, 4 498 ლიტრი თხევადი სურსათი და 11 403 ცალი სასურსათო კვერცხი;
- გეგმიური ინსპექტირება განხორციელდა სურსათის მწარმოებელ 3 794 საწარმოში, ხოლო არაგეგმიური ინსპექტირება - 558 ბიზნესოპერატორთან, აღიარება - 147 ბიზნესოპერატორთან და გადამოწმდა 3 725 ბიზნესოპერატორი. გაიცა 52 199 რეკომენდაცია აღმოჩენილ არაკრიტიკულ შეუსაბამობებზე, შედეგად მიცემული რეკომენდაციების გონივრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო 434 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა. კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმდა 162 ბიზნესოპერატორი.
- თურქულის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 1 541.1 ათასი სული მსხვილფეხა და 865.1 ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინირებულია 451.8 ათასი სული მსხვილფეხა, 380.0 ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი და 5.1 ათასი კენტკლიქიანი ცხოველი. იძულებით პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 19.0 ათას სულ ჯილეხის ამთვისებელ ცხოველს. 2012 წელთან შედარებით, როდესაც არ ხორციელდებოდა ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, დაავადების გამოვლინება 25%-ით შემცირდა ცხოველებში, ხოლო ადამიანებში 52%-ით.
- ცოფზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 257.5 ათასი სული შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი (ძაღვი, კატა). ცოფით დაავადების კერებში იძულებით

პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 46.6 ათას სულ ცოფის ამთვისებელ ცხოველს. 2014 წელთან შედარებით დაავადების გამოვლინება 20%-ით შემცირდა შინაურ ხორცისმჭამელ ცხოველებში (მალი, კატა) და ჰიდროფობიის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა ადამიანებში (2014 წელს ჰიდროფობიით გარდაცვლილია 4 ადამიანი).

- ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია 167.8 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო თხის და ცხვრის ყვავილის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია 1 416.9 ათასი სული ცხვარი და თხა;
- ბრუცელოზზე გამოკვლეულია 68.2 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი მათ შორის დადებითად მორეაგირა 1.1 ათასი სული (1,7%);
- ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ მაღალი რისკის ზონებში ინსექტოაკარიციდული საშუალებებით დამუშავებულია 12.9 ათასი მსხვილფეხა პირუტყვი, 3.6 ათასი ცხოველის სადგომი და 30 ჰექტარი საძოვარი. 2014 წელთან შედარებით, დაავადების გამოვლინება და ადამიანებში ლეტალური გამოსავალი შემცირებულია 75%-ით.
- იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 386.2 ათას სულ მსხვილფეხა და 92.4 ათას სულ წვრილფეხა პირუტყვს;
- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფართობმა შეადგინა 498 ჰექტარი, კალიების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ფართობმა - 33.4 ათასი ჰექტარი;
- შემოწმდა პესტიციდების 93 სარეალიზაციო ობიექტი, ლაბორატორიული კვლევებისთვის აღებულ იქნა პესტიციდების 170 ნიმუში. პესტიციდების ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოკვლევებისას უარყოფითი ლაბორატორიული შედეგის საფუძველზე დაჯარიმდა 5, ხოლო სარეალიზაციო ქსელში აღმოჩენილი პესტიციდების მარკირების წესის დარღვევისათვის დაჯარიმდა 3 მეწარმე. ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის უქონლობის გამო დაჯარიმდა 3 მეწარმე.
- ქვეყნის ტერიტორიაზე 9 საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების დასადგენად რეგიონებში აღებული იქნა 365 ნიმუში. აჭარის რეგიონში 3 შემთხვევაში გამოვლინდა კარტოფილის საკარანტინო ორგანიზმი - კარტოფილის კიბო;
- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოკვლეული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 201 ნიმუში. კონტროლქვემდებარე ობიექტების საქმიანობის ინსპექტირების მიზნით შემოწმებული იქნა 230 ობიექტი. მათ შორის: 199 ვეტფთიაქი, 12 ზოომალაზია-ვეტაფთიაქი, 3 ვეტაფთიაქი-ვეტკლინიკა, 4 ზოომალაზია, 6 ვეტკლინიკა, 1 ვეტკლინიკა-ვეტაფთიაქი-ზოომალაზია, 1 ვეტკლინიკა-ზოომალაზია, 3 საბითუმო ბაზა და 1 პრეპარატების დამამზადებელი საწარმო;
- განხორციელდა ლაბორატორიული კვლევა 294.1 ათას ვარგის ნიმუშზე.

10.3. მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისება;
- მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან;
- ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა;
- სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა;
- ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიო ბაზარზე;
- ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება;
- ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის რეალიზაციის აღკვეთა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071.4 ათასი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.
- წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება შენარჩუნდა წლის ბოლომდე ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში ექსპორტირებულია 2 672.2 ათასი ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ. ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი - 1 600.3 ათასი ბოთლი, რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა - 658.7 ათასი ბოთლი, ესტონეთი - 506.1 ათასი ბოთლი, ნიდერლანდები - 51.4 ათასი ბოთლი, საფრანგეთი - 38.0 ათასი ბოთლი, დანია - 34.8 ათასი ბოთლი და სხვა. ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა: აშშ - 248.1 ათასი ბოთლი, კანადა - 157.8 ათასი ბოთლი, იაპონია - 138.3 ათასი ბოთლი. ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში - 185.5 ათასი ბოთლი, ისრაელში - 35.8 ათასი ბოთლი, კორეაში - 24.1 ათასი ბოთლი და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 18 308.2 ათასი ბოთლი, ყაზახეთი - 5 195.5 ათასი ბოთლი, უკრაინა - 3 412.5 ათასი ბოთლი, ჩინეთი - 2 672.2 ათასი ბოთლი და პოლონეთი - 1 600.3 ათასი ბოთლი. მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა.
- ღვინის კომპანიების მიერ 2015 წლის რთველის ფარგლებში მიღებული და გადამუშავებული იქნა 148 349 ტონა ყურძენი, ყურძნის მოსავალი დაბინავდა სრულად.
- ვენახების საკადასტრო ბაზა შევსებული იქნა რაჭა-ლეჩხუმის მონაცემებით. საკადასტრო აზომვებით ყვარელში დადგენილ იქნა ვენახების ფართობები.
- გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ინფორმაცია მიეწოდა ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ცენტრის, მდიდარი გენოფონდის მქონე ქვეყნის შესახებ, რითაც გაიზარდა ინტერესი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალი, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 146 548,6 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 44,9%-ით (ცნობილი

პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა).

- ჩინეთში, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებში: პოლონეთში - 3%, ლიტვა - 4%, ესტონეთი - 54%, ნიდერლანდები - 58%, საფრანგეთი - 190%, დანია - 100%, ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა: აშშ - 31%, კანადა - 48%, იაპონია - 5% ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში - 79%, ისრაელში - 48%, კორეაში - 37% და სხვა.
- ქვეყანაში - რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული.
- მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 16 გამოფენა მსოფლიოს 13 ქვეყანაში. 21 ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია, კონფერენცია, ახალი ღვინის ფესტივალი;
- ყვარელში ორთოფოტოები უპილოტო საფრენი აპარატით გადაღებული იქნა 13 სოფელი, 5 533.4 ჰექტარი ვენახი, რომლებიც წარმოდგენილია 8 588 სავენახე ნაკვეთის სახით, ყვარელის რაიონში დაიწყო მევენახეთა საანკეტო მონაცემებისა და ვენახების ძირითადი პარამეტრების (ჯიში, საძირე, კვების არე, ვენახების მდგომარეობა, რწყვის არსებობა და ა.შ.) შეკრება;
- ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებული იქნა წინა წელთან შედარებით 121,4%-ით მეტი ყურძენი;
- ინსპექტირების პროცესში ლაბორატორიული კვლევისათვის აღებულ იქნა ღვინოპროდუქციის 194 ნიმუში 30 სხვადასხვა კომპანიიდან;
- განხორციელდა ვაზის წიპწის 6 ნიმუშის დათარიღება C14 მეთოდით;

10.4 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები

- ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი ეროვნული სტანდარტის შექმნა;
- ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება;
- ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ადგილობრივი ცხოველთა ჯიშებისა და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ტიპური სულადობის მოძიება და მათი იდენტიფიცირების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაწყებულია კვლევები ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლის მიზნით, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მცენარეთა მოვლა-მოყვანის ბიოლოგიური და ეკოლოგიური ტექნოლოგიების

მიმართულებით და ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების მიმართულებით;

- საკვლევად მოძიებული საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და კომერციულად სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ნიადაგის 500-ზე მეტი შესწავლილი ნიმუში;
- ადგილობრივი ვაზის ჯიშების წარმოებული 53 000 ნამყენი ნერგი;
- ხეხილის წარმოებული 33 000 ცალი ნამყენი ნერგი;
- 1.0 ჰექტარი გაშენებული სატყეო კოლექცია;
- 0.7 ჰექტარი გაშენებული თუთის საკოლექციო და საძირეთა ნაკვეთი;
- შემდგომი კვლევებისთვის მომზადებული ერთწლოვანი კულტურების 19 ჯიშის თესლი;
- საქპატენტზე გასავრცელებლად, დასაშვებად გადაცემული ლობიოს 2 და ბროკოლის 1 ჯიში;
- ხაზთაშორისი ჰიბრიდების კომბინაციები აღებული 3 534 ტარო;
- დამზადებული სელის თესლი 11 კილოგრამი;
- ხელოვნური თვითდამტვერვით მიღებული 12 540 სიმინდის ტარო;
- მოწყობილი 3.1 ჰექტარი ბიოაგროწარმოების საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი;
- შესწავლილი 27 დასახელების ბიოპრეპარატი, ხეხილოვანი კულტურების საბერტყი მანქანა, სატრაქტორო აგრეგატის ექსპერიმენტული საკიდი სისტემა;
- სერთიფიცირებული 651,7 ტონა ხორბლის თესლი;
- შემდგომი კვლევებისთვის მომზადებული ღვინის საკვლევი ნიმუშები საერთო რაოდენობით 2 080 ლიტრი, ხილის გადამამუშავების 133 საკვლევი ნიმუში;
- შემდგომში კვლევებისათვის შესყიდული ქართული მთის ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (16 სული), კახური ღორი (11 სული და ნამატი), ადგილობრივი ქათმის 5 პოპულაცია (150 ფრთა), ჩალისფერი ინდაური (13 ფრთა) და ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის 15 ფუტკრის ოჯახი.

11. პრიორიტეტი – სასამართლო სისტემა

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	49,117.6	48,975.6	48,806.5	48,698.7	107.8
08 01	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,615.0	6,615.0	6,596.7	6,596.7	0.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	31,363.3	3,500.0	27,526.2	3,500.0	24,026.2
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,390.0	3,390.0	3,356.8	3,356.8	0.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,700.0	2,700.0	2,578.1	2,578.1	0.0
26 12	აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	38,071.0	0.0	26,486.1	0.0	26,486.1
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		131,256.9	65,180.6	115,350.3	64,730.3	50,620.1

11.1. საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 09 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა;
- საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება;
- საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები სრულად იქნენ უზრუნველყოფილნი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით;
- განახლდა საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესები სრულად იყო უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსით;
- საზოგადოების ფართო ფენები ინფორმირებული იყვნენ სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით - 100%.
- მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 68.
- ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები - 100%, 119 ნაფიცი მსაჯული.
- მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ მომზადებული სარეკლამო რგოლების/კლიპების/საგაზეთო პუბლიკაციების რაოდენობა. (რადიოგადაცემა - 32, ტელეგადაცემა - 16).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დასახული საბოლოო შედეგები:

- კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სასამართლო სისტემა;

- მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- კვალიფიციური სასამართლო კორპუსი ჩამოყალიბება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- კვალიფიციური კადრებით შევსებული ადგილების რაოდენობა;

12. პრიორიტეტი – გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	2015 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	11,800.0	11,800.0	11,549.4	11,549.4	0.0
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	20,655.0	10,455.0	14,881.4	10,137.3	4,744.1
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	10,006.0	7,087.0	9,815.2	7,475.3	2,339.9
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	6,214.9	6,214.9	6,124.5	6,124.5	0.0
38 05	სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,441.0	677.0	1,601.0	858.1	743.0
38 06	გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	821.0	610.0	1,054.0	875.5	178.5
38 07	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	11,799.3	200.0	11,272.8	587.9	10,684.9
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		62,737.2	37,043.9	56,298.4	37,607.9	18,690.4

12.1. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგები:

- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმა, მათი საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული შემოწმებები;
- გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი;
- სათანადოდ აღჭურვილი გარემოსდაცვითი სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფები;
- კვალიფიკაცია ამაღლებლი თანამშრომლები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა (10 331 ფაქტი);
- 3,6-ჯერ შემცირებული გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებული ოდენობა;
- მეწარმეთა ინფორმირებისა და ვალდებულებების შესრულების შეტყობინების მიზნით დანერგილი ელექტრონული მართვის სისტემები;
- გადამზადებული 27 ინსპექტორი;

12.2. სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა;
- საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა;
- ტყის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;
- აღდგენილი ტყის ეკოსისტემები;
- გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები;
- მოსახლეობის მერქნული რესურსით მომარაგების მოწესრიგებული სისტემა;
- მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა (ტურიზმი და რეკრეაცია, სატყეო მიწების სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, არამერქნული რესურსები და სხვ).

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შემცირდა მავნებლებისგან ზიანის მიყენების რისკი

- შემცირდა ხანძრების რისკი
- გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა
- ახალი ნერგებით შეივსო ტყის ფართობი
- მეტყევე-სპეციალისტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალური ინვენტარით;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მიღებული ცვლილებები ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში და შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში;
- დარეგულირებული ტყითსარგებლობა;
- ნახანძრალ ტერიტორიაზე ნერგების გახარების მაჩვენებელი (საშუალოდ 75%);
- მავნებელი მწერების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიების ეფექტურობა (75%);
- გამოყოფილი სოციალური ჭრის ტყეკაფები 700,4 ათასი მ3 ხე-ტყის მისაღებად;
- ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემული 540,0 ათასამდე მ3 ხე-ტყე.
- შემცირებული მავნებელ-დაავადებათა პროგრესირება 40%-ით;
- მოწყობილი/რეაბილიტირებული სატყეო-სამეურნეო გზები;
- ახალციხისა და ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნების ინვენტარიზაციისთვის ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები (ფართობი 33 500 ჰა);
- გაუმჯობესებული აღრიცხვის სამუშაოების სიზუსტის ხარისხი (95%).
- შექმნილი და განთავსებული საინფორმაციო დაფები და სპეციალური ნიშნები განსაკუთრებით ხანძარსაშიშ უბნებში;
- ხანძრის ლოკალიზებისათვის საჭირო პირველადი ინვენტარით აღჭურვილი ყველა სატყეო სამსახური;

12.3. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- დაცული ტერიტორიების ფართობის ზრდა; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა; ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება; ეკოტურიზმის განვითარება და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ნაკადის ზრდა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები;
- საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვის მიზნით განხორციელებული ზომები;
- შემცირდა მავნებელი მწერების რაოდენობა და დარღვეული ეკოლოგიური მდგომარეობა მიმართულია ბუნებრივი იერსახის დაბრუნებისაკენ;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი 517.7 ათასამდე გაიზარდა;

- შემოსავლებმა 2.2 ათას ლარს მიაღწია;
- მომატებული დაცული ტერიტორიების ცნობადობა;
- გაუმჯობესებული ტურისტული ინფრასტრუქტურა და ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ტყის მერქიანი მცენარეების დაავადებების გამომწვევი მავნებლების შემცირებული რიცხოვნობა და ლოკალიზებული მათი გავრცელების არეალი;
- დაცული ტერიტორიების გაზრდილი ცნობადობა;
- ტურისტული მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების 20%-ით ზრდა.
- შემცირებული მავნებელი ქერქიჭამია მწერების ინტენსივობა, შემცირებული დაზიანებული ხეების რაოდენობა და ლოკალიზებული მავნებლების გავრცელების არეალი
- 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ვიზიტორთა რიცხვის 23%-ით ზრდა;
- 2 ერთეული ტერიტორიული ადმინისტრაციის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ვიზიტორთა სრულყოფილი მომსახურება.
- 4 ტერიტორიული ადმინისტრაციის გაუმჯობესებული შესაძლებლობები;
- სათაფლიის აღკვეთილის ტერიტორიაზე 80 ათასამდე ვიზიტორის შეუფერხებელი მომსახურება;
- მღვიმეში არსებული კლიმატის საჭირო პარამეტრების შენარჩუნება.

12.4. გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და მათი მდგრადი გამოყენება;
- ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყისი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ცხოველთა სახეობების ეფექტური დაცვის მექანიზმების შემუშავება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფის მიზნით გაძლიერდა გარემოსდაცვითი კონტროლი;
- დაიხვეწა გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები, შემუშავდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები.
- ჩატარდა 400 საწარმოს კვლევა საქართველოს მასშტაბით, მოხდა მათი გარემოსდაცვითი მიმართულებების შესწავლა და მომზადდა სათანადო რეკომენდაციები.

- გაიცა 75 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 26 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
- გაიზარდა გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- საქართველოში არსებული ზოგიერთი მსხვილი სუპერმარკეტები შეუერთდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივას და პოლიეთილენის პარკები ჩაანაცვლეს ბიოდეგრადირებადი პარკებით;
- სოციალურ ქსელში გაზრდილია ინტერაქცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- მიღებული ახალი კანონები, შემუშავებული კანონპროექტები, სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები;
- კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვები;
- გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობის მაღალი დონე;
- გაცემული ნებართვით დასაშვებ მინიმუმამდე დაყვანილი გარემოზე მავნე ზემოქმედება.
- სამინისტროს facebook გვერდის მომხმარებელთა გაორმაგებული რიცხვი;
- სოციალურ ქსელში გაშვებული ვიდეო-რგოლების ნახვის მაღალი მაჩვენებელი;
- სამინისტროს ცხელ ხაზზე, ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონზე შემოსული ზარების გაზრდილი რაოდენობა, რაც მიუთითებს საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვით აქტივობებში.

12.5. სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა

დასახული საბოლოო შედეგები:

- ტყისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა/განაშენიანება;
- მუნიციპალიტეტებისა და ქალაქგამწვანების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის სარგავი მასალით (ნერგებით);
- საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი მცენარეების დაცვა-აღდგენის განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ღია გრუნტში დაითესა 1 ტონაზე მეტი თესლი;
- აქცია „მწვანე მომავლის“ ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით უსასყიდლოდ გაიცა 6 927 ნერგი;
- დედოფლისწყაროს რაიონში ქარსაფარი ზოლის გაშენებაზე დაირგო 2 000 ნერგი, ხოლო მუნიციპალიტეტებზე უსასყიდლოდ გაიცა 181 559 ცალი ნერგი;
- შესრულდა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მათ შორის მოეწყო 4 500 მ3 მოცულობის სარწყავი წყლის სარეზერვო აუზი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელთან შედარებით 5-ჯერ გაზრდილი ნერგწარმოება;
- თესლების აღმოცენების მაჩვენებლის ზრდა;

- გაზრდილი ნერგწარმოების შედეგად, მეურნეობის შემოსავლის ზრდა;
- რეალიზებული 14 078 ცალი ნერგი, უსასყიდლოდ გაცემული 181 559 ცალი ნერგი;
- შექმნილი და განახლებული ინფრასტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს, წითელი ნუსხის ხე-მცენარეთა წარმოების ყოველწლიურად 2.5-ჯერ ზრდას;
- გამოყვანილი ნერგების სიმრავლე, რაც საშუალებას იძლევა ბუნებრივ გარემოში მათი სისტემატიური გადარგვისა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს წითელი ნუსხის მცენარეთა გადაშენების საფრთხეს;

12.6. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა;
- სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები;
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება (სულ გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3 150-მა ადამიანმა, მათ შორის: 1 500-მდე მოსწავლემ, 600-მდე სტუდენტმა, 165 პედაგოგმა, 210 ტყის მცველმა, დაცული ტერიტორიების 74 თანამშრომელმა, სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39 ხელმძღვანელმა პირმა და სხვა);
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის განახლდა საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შექმნილი ვებ-გვერდი და მასზე განთავსებული გარემოსდაცვითი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია, გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული გზამკვლევები, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და ა.შ.;
- გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შესახებ შექმნილი მონაცემთა ბაზები;
- შექმნილი გარემოსდაცვითი ელექტრონული ბიბლიოთეკა.

- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის განხორციელებული ტრენინგების რაოდენობა;
- განხორციელებული გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კამპანიების რაოდენობა;
- განხორციელებული ეკოსაგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა;

12.7. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- გაზრდილი მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების სიზუსტე და გამართლებადობა;
- შესაძლო სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული შერბილებული ეკონომიკური ზარალი;
- სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლის გამოირიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა;
- ამინდის პირობებისადმი მგრძობიარე ეკონომიკის დარგების ეფექტურად მართვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- რეკრეაციული დანიშნულებისა და ნაპირდაცვითი ფუნქციის მქონე პლაჟების მდგრადობის შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მიმდებარედ დასახლებული და ქალაქის განაშენებული სანაპირო ტერიტორიების წარცხვისაგან დაცვას;
- ზღვის სანაპირო ზოლში ჭარბი აკუმულაციისა და მყარი ნატანის დეფიციტით შექმნილი ავარიული უბნების გამოვლენა, რაც უზრუნველყოფს წყალქვეშა ფერდის კრიტიკული გადატვირთვით გამოწვეული ნაპირების დამეწყვრა-ჩაქცევის პროცესების პრევენციას;
- ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების ავტომატური სადგურების მონაცემების საშუალებით ჰაერის დაბინძურებაზე უწყვეტი დაკვირვება და ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათის მიღების უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაფართოვდა მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების ქსელი, გაიზარდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტების რაოდენობა;
- წყლის ხარისხისა და დაბინძურების მონიტორინგის გაძლიერების მიზნით ამოქმედდა სინჯების ამღები 3 ავტომატური სისტემა;
- გაფართოვდა ზედაპირული წყლების მონიტორინგის ქსელი;
- დევდორაკ-ამალის ხეობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები ადრეული შეტყობინების სისტემისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების დამონტაჟების მიზნით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაფართოებული და გამართული მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტები (5 მეტეოროლოგიური სადგური, 20 მეტეოროლოგიური საგუშაგო და 10 ჰიდროლოგიური საგუშაგო);

- გაფართოებული ზედაპირული წყლების მონიტორინგის ქსელი;
- დამონტაჟებული დანადგარები მოსალოდნელი სტიქიური პროცესების შესახებ ადრეული შეტყობინებისთვის (ნალექმზომი და წყლის დონის მზომი ხელსაწყოები მდინარეებზე: ვერე, კაბალა, დურუჯი, ჭოროხი, აჭარისწყალი, მაჭახელა და კინტრიში).